

ნუნუ კუტალაძე

ფოსფორის ტრანსფორმაცია აჭარის წითელმიწა ნიადაგში
და ფოსფორიანი სასუქების ეფექტიანობა ჩაის პლანტაციაში

ქ.ბათუმი
2009 წ.

რედაქტორები:

**გოგოლა მარგველაშვილი—სოფლის მეურნეობათა დოქტორი,
სოფლის მეურნეობისმეცნიერებათააკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი**

ალექს კალანდია—ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

რევენზეგბი:

**გალერიან ცანაგა—სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ს.მ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი**

შოთა ლომინაძე—სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

**ნინო კიკნაძე—სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ISBN –978–9941–0–1653–0

მონოგრაფიაში ასახულია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოზე ნუნუ კუტალაძის მიერ დაცული სადოქტორო დისერტაციის ძირითადი დებულებები, დისერტაციის საგამოცემლო ვერსიისადმი დამტკიცებული მოთხოვნების შესაბამისად.

ნუნუ კუტალაძის მონოგრაფია ეძღვნება ფოსფორის ტრანსფორმაციას აჭარის წითელმიწა ნიადაგში და ფოსფორიანი სასუქების ეფექტიანობას ჩაის პლანტაციაში. ნაშრომში განხილულია აჭარის ჩაის პლანტაციით დაკავებული წითელმიწა ნიადაგის ფოსფატური რეჟიმი, ნიადაგში არსებული და შეტანილი სასუქების ფოსფატების ტრანსფორმაცია სასუქების დოზების და შეტანის წესებთან კავშირში; დადგენილია ნიადაგში მოძრავი ფოსფატების შემცველობის სეზონურობა და მიგრაცია ფოსფორით ნიადაგის უზრუნველყოფის დონესთან კავშირში;

დადგენილია ფოსფორიანი სასუქების ოპტიმალური, მეცნიერულად დასაბუთებული დოზები ჩაის კულტურისათვის აჭარის პირობებში.

შესწავლილია ფოსფორიანი სასუქების გავლენა ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობაზე და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

This monograph represents the main thesis for Doctors Degree defended by Nunu Kutaladze, at the Shota Rustaveli State University the department of Agriculture. Nunu Kutaladze's monograph is about trasformation of phosphatein Adjara red-soil ground and effectiveness of phosphate fertilizers in the tea plantation.

In the work it is discussed:

- phosphate rate of red-soil ground in Ajara tea plantation;
- transformation of already existed and newly fertilized phosphate in the soil,according to the doses and standards;
- seasonal prevalence and migration of moving phosphate in the soil providing the soil with phosphate at a needful level.

It is established optimum, scientifically proved doses of phosphate fertilizers for tea in Ajara and studied the influence on phosphate fertilizers on the harvest and qualititative indices of green tea leaves.

შ ე ს ა გ ა ლ ი

უკანასკნელი 12-14 წლის მანძილზე საქართველოში განვითარებული ცნობილი მოვლენების გამო, მეჩაიერებამ დეგრადაცია განიცადა. მეჩაიერების დარგის შესაძლებლობები ამჟამად მხოლოდ 10-15%-ითაა გამოყენებული; დღევანდელ საქართველოში მეჩაიერების განვითარების პრობლემები არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი კანონების კონტექსტში, იგი განსაკუთრებულ მიდგომას და სახელმწიფოებრივ ხედვას საჭიროებს.

საქართველოში ჩაის პლანტაციები ძირითადად მჟავე წითელმიწა და ეწერ ნიადაგებზეა გაშენებული, რომლებიც დაბალი ბუნებრივი ნაყოფიერებით ხასიათდებიან.

ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ძალზე უარყოფითად იმოქმედა სოფლის მეურნეობის ძირითადი საწარმოო საშუალების – ნიადაგის ნაყოფიერების მართვაზე. თითქმის მთლიანად შეწყდა ნიადაგის აგროქიმიური გამოკვლევები, სასუქების შემოტანა და გამოყენება. იგი 2003 წლის მონაცემებით 1 ჰექტარზე 10-12 კგ შეადგენს, რაც ფაქტიურად გერავითარ გავლენას ვერ ახდენს ნიადაგში საპატი ელემენტების შემცველობაზე. ამჟამად, საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის რა თქმა უნდა აჭარაშიც, ყველა ტიპის ნიადაგზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, როგორც წესი, ხდება ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერების ექსპლოატაციის ხარჯზე, რის შედეგადაც ღარიბდება და იფიტება ნიადაგები.

ნიადაგის პროდუქტიულობის ამაღლება უშუალოდ არის დაკავშირებული მინერალური და ორგანული სასუქების ინტენსიურ გამოყენებასთან. ამ მხრივ განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ფოსფორიანი სასუქების გამოყენება.

ჩაის პლანტაციით დაკავებულ ნიადაგებში არსებული ფოსფატების მოქმედება და მათი ეფექტიანობის პირობების შესწავლა საქართველოში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო გ.ნ.ურუშაძის მიერ, რომელიც შემდგომში განავითარეს ფ.ს.დუღაშვილმა, ვ.კუტუბიძემ, შ.ა.ფუტკარაძემ, ო.გ.ონიანმა, თ.ე.ბურჯულაძემ, გ.ნ.მარგველაშვილმა, ნ.ო.კიკნაძემ და სხვა მკვლევარებმა. აღნიშნულ შრომებში ჩვენ ვპოულობთ საქართველოს სხვადასხვა ტიპის ნიადაგებზე ფოსფორიანი სასუქების სწორი გამოყენების საფუძველს და შემდგომი გამოკვლევების პროგრამის ელემენტებს.

ფოსფატებით ნიადაგის უზრუნველყოფის ხარისხი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ნიადაგის ფოსფატურ რეჟიმს და ნაყოფიერებას, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მიღებას. ნიადაგებზე, რომლებიც ხასიათდებიან ფოსფორის დაბალი ან საშუალო შემცველობით ფოსფორიანი სასუქების მეცნიერულად დასაბუთებული გამოყენების გარეშე შეუძლებელია კულტურათა მაღალი მოსავლის მიღება და აზოტ-კალიუმიანი სასუქების ეფექტურობის ამაღლება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შესწავლილ იქნეს აჭარის ჩაის პლანტაციებით დაკავებული წითელმიწა ნიადაგების ფოსფატური რეჟიმი და ფოსფორიანი სასუქების რაციონალური გამოყენების პრაქტიკული გზები.

თავი I. ზოგადი დახასიათება

1.1. სასუქების გამოყენება ჩაის პლანტაციებში

ჩაის ბუჩქი მრავალწლიანი მარადმწვანე მცენარეა, რომელიც ერთიდაიგივე ადგილზე ცოცხლობს 100 წელზე მეტი წელის განმავლობაში. ნორმალურად ექსპლუატირებული, სრულასაკოვანი (8–10 წლიანი და უფრო მეტი) ბუჩქის მიწისზედა ნაწილის სიმაღლე 70-80 სმ-ია და ძლიერ არის შეფოთლილი. ფოთლების თანდათანობითი ცვლა თითქმის მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს, მაგრამ ყველაზე ინტენსიურად გაზაფხულზე (ქ.ე.ბახტაძე, 1971). ფესვთა სისტემა ვითარდება მეტრზე მეტ სიღრმეზე; ფესვთა სისტემის ყველაზე მოქმედი ნაწილი განთავსებულია 0-30 სმ სიღრმეზე. 2-3 ფოთლიანი ახალგაზრდა ნაზარდების-დუუების წარმოქმნა გრძელდება მაისიდან ოქტომბრის ბოლომდე. ჩაის ფოთლის კრეფის დამთავრების შემდეგ წარმოებს ნაზარდების დარჩენილი ნაწილის კრეფა, რომელიც წარმოადგენს მასალას ლაო-ჩაისთვის. ადრე გაზაფხულზე, ჩაის ბუჩქის ვეგეტაციის დაწყების წინ, აწარმოებენ გასხვლას, რომელიც შეესაბამება ჩაის ბუჩქის მდგომარეობას და სტიმულს აძლევს ნაზარდების წარმოქმნას. ჩაის პლანტაციის ასაკის და მისი მოსავლიანობის ზრდასთან ერთად, იზრდება ნიადაგიდან საკვები ელემენტების გამოტანა; რაც უფრო ძლიერ არის განვითარებული ჩაის პლანტაცია, მით უფრო მაღალია მოსავლიანობა, ერთეული ფართობიდან მოსავლით საკვები ელემენტების გამოტანა და შეტანილი სასუქიდან საკვები ელემენტების გამოყენების კოეფიციენტი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ხარისხიანი ჩაის ფოთოლი, რომლის სახითაც იკრიფება მოსავალი, შეიცავს 4,5-5%-მდე აზოტს, 1%-მდე ფოსფორს და 2%-მდე კალიუმს (მშრალ ნივთიერებაზე). გ.ნ.ურუშაძის (1954) მონაცემებით ჩაის პლანტაციას, რომელიც უზრუნველყოფს 4-5 ტონა ფოთლის მიღებას ჰქექტარზე, მოსავალთან ერთად პლანტაციიდან გამოაქვს 55კგ აზოტი, 12კგ ფოსფორი და 22კგ კალიუმი. საკვები ნივთიერებების დაახლოებით ამდენივე რაოდენობა გაიტანება უხეში ფოთლის (მასალა ლაო-ჩას მომზადებისთვის) მოსავლით და ნასხლავი მასალით. ყოველი ამ ელემენტის ნაკლებობა ნიადაგში აუარესებს მცენარის კვების პირობებს და ამცირებს ჩაის პლანტაციის მოსავლიანობას. აზოტიანი, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები წარმოადგენენ ჩაის პლანტაციის ნიადაგებში საკვები ნივთიერებების მარაგის შევსების ძირითად წყაროს.

ჩაის პლანტაციებში სასუქების ეფექტურობის შესწავლა დაწყებული იყო აზოგზე, ფოსფორზე და კალიუმზე ჩაის ბუჩქის მოთხოვნილების გამოსავლენად დაყენებული ცდებით. ცდები ტარდებოდა სხვადასხვა ტიპის ნიადაგებზე და სხვადასხვა ასაკის პლანტაციებში.

საკვებ ელემენტებზე ჩაის ბუჩქის მოთხოვნილების შესასწავლად ჩატარებულმა მინდვრის ცდის შედეგებმა უჩვენეს, რომ განოყიერების სისტემაში პირველ ადგილზე დგას აზოგი (ცხრილი 1).

ცხრილი 1

**ცალკეული ელემენტების გავლენა ჩაის პლანტაციის
მოსავლიანობაზე (კგ/ჰა)**

მ.პ.გაბისონიას მონაცემები; ანასეული, 1961 წელი

| ცდის ვარიანტები | უსასუქო (საკონ- ტროლო) | ცდის ვარიანტები | | | | | | |
|--------------------|------------------------------|-----------------|------|------|------|------|------|------|
| | | K | P | N | PK | NK | NP | NPK |
| მოსავალი, კგ/ჰა | 1306 | 1112 | 1245 | 2538 | 1622 | 2600 | 3872 | 3742 |
| მოსავალი, %-ში | 100 | 85 | 95 | 194 | 124 | 199 | 296 | 287 |

მარტოდენ აზოგის გამოყენება პირველი 7-8 წლის განმავლობაში 2-ჯერ ზრდის ჩაის ფოთლის მოსავლიანობას, რომელიც 2500-2600 კილოგრამს აღწევს ჰექტარზე. მაგრამ, შემდგომ წლებში აღინიშნება აზოგის ეფექტიანობის კლება, რაც სხვა საკვები ელემენტების ნაკლებობით არის გამოწვეული.

მარტოდენ კალიუმის და ფოსფორის შეტანას (აზოგის გარეშე) ეფექტი არ მოუცია. აზოგიანი სასუქების ფონზე ნიადაგში ფოსფორიანი სასუქების შეტანა თითქმის სამჯერ ზრდიდა ფოთლის მოსავალს უსასუქო ვარიანტთან შედარებით. კალიუმის ეფექტიანობა ჩვეულებრივ მედავნდება მხოლოდ 10-15 წლის და უფრო სანდაზმულ ჩაის პლანტაციაში (აზოგიანი და ფოსფორიანი სასუქების სისტემატური შეტანის ფონზე), რაც აიხსნება ჩაის კულტურისათვის წითელმიწების ათვისების დასაწყისში მცენარისათვის მისაწვდომი კალიუმის საკმარისი რაოდენობის არსებობით ნიადაგში.

ჩაის პლანტაციის მოსავლიანობის ამაღლების საქმეში მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ფოსფორიანი სასუქების გამოყენება. ჩაის პლანტაციების განოყიერების საკითხების შესწავლის პირველ პერიოდში დაყენებული იყო ცდები ფოსფორიანი სასუქების სხვადასხვა დოზებისა და ფორმების

ეფექტურობის დასადგენად. იმის გამო, რომ ახლად ათვისებულ, შედარებით ნაკლები ნიადაგებში, რომლებსაც ითვისებდნენ იმ პერიოდში ჩაის კულტურისათვის, მოძრავი ფოსფორის შემცველობა საკმარისი იყო, და რაც მთავარია, ფოსფორიანი სასუქების ოპტიმალური დოზები ჯერ კიდევ არ იყო მეცნიერულად დასაბუთებული – ფოსფორიანი სასუქების მცირე დოზებისაგან ეფექტი დაბალი იყო.

შემდგომში, გ.ნ.ურუშაძის (1942; 1949; 1951; 1953; 1954)), ი.დ.გამყრელიძის (1942, 1961), ვ.ვ.იოსავას (1966), ფ.ს.დუდაშვილის (1955, 1958), ო.გ.ონიანის (1961, 1962, 1964, 1966, 1967, 1968, 1974), ო.გ.ონიანის, თ.ე.ბურჭულაძის, გ.ნ.მარგველაშვილის (1976) და სხვა მკვლევართა მრავალწლიანი მუშაობის შედეგად დადგენილი იყო არა მარტო ფოსფორიანი სასუქების ეფექტიანობა, არამედ, აგრეთვე დამუშავებული იყო სხვა საკვანძო საკითხები, ისეთი როგორიცაა სასუქების რაციონალური დოზები, მოქმედების ხანგრძლივობა, განმეორებითი შეტანის სიხშირე და ა.შ.;

ცხრილი 2

სუპერფოსფატის სხვადასხვა დოზების ეფექტურობა ჩაის პლანტაციაში.

(30 წლის საშუალო)

ურუშაძე, ონიანი, ბურჭულაძის მონაცემები.

(ონიანი 1964)

| ფოსფორის დოზების შემდეგმედების გარიანტები N300K100-ის ფონზე* | სუბტროპიკული ერეა ნიადაგი | | წითელმიწა ნიადაგი | | |
|---|------------------------------|-----|-------------------|-----|---|
| | ც/ჰა | % | ც/ჰა | % | მოსავლის მატე- ბა 1 კგ ფოსფო- რისაგან, კგ-ში; |
| უსასუქო- საკონტროლო | 17,7 | 44 | 20,7 | 54 | - |
| ფონი | 40,5 | 100 | 36,0 | 100 | - |
| P 120 | 49,4 | 122 | 42,1 | 117 | 39 |
| P 240 | 54,5 | 127 | 58,7 | 163 | 44 |
| P 480 | 53,7 | 133 | 75,6 | 209 | 39 |
| P 960 | 55,2 | 136 | 76,8 | 213 | 20 |

- ფოსფორის დოზები შეტანილი იყო 3-ჯერ – 1933, 1934 და 1935 წლებში.

წითელმიწა ნიადაგის პირობებში, ცდის მიმდინარეობის ხანგრძლივობის მიხედვით ფოსფორიანი სასუქების სხვადასხვა ფორმების ეფექტიანობა ჩაის პლანტაციაში განსხვავებული იყო. 1933 წლიდან ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილი იყო, რომ ფოსფორიანი სასუქის სამი ძირითადი ფორმიდან (მარტივი სუპერფოსფატი, ფოსფორიტის ფქვილი და თომასტიდა) ახალგაზრდა ჩაის პლანტაციებში, ახლად ათვისებულ ნაკვეთებზე, პირველი 5-6 წლის განმავლობაში სუპერფოსფატის გამოყენება იძლეოდა საუკეთესო შედეგებს (გ.ნ.ურუშაძე, 1942). ფიზიოლოგიურად მჟავე სასუქების სისტემატური (12-15 წელზე მეტსანს) გამოყენებისას ნიადაგი ძლიერ მჟავდება და ასეთ ნიადაგებზე დიდ ეფექტს იძლევა ფოსფორიტის ფქვილი (ო.გ.ონიანი, 1964).

ფოსფორიანი სასუქებით ხანგრძლივად განოყიერებულ ჩაის პლანტაციის ტიპურ წითელმიწა ნიადაგზე (ანასული) ფოსფორიანი სასუქების სხვადასხვა ფორმების ეფექტურობაზე ჩატარებული მინდვრის ცდის შედეგები მიუთითებენ ფოსფორიტის ფქვილის აშკარა უპირატესობაზე სუპერფოსფატთან და თომასტიდასთან შედარებით (ცხრილი 4). ხარისხიანი ჩაის ფოთლის მოსავლის მატება ფოსფორიტის ფქვილისაგან სუპერფოსფატთან შედარებით, წლების მიხედვით 300-დან 800 კგ/ჰა-მდე მერყეობს, ხოლო თომასტიდასთან შედარებით - - 500-დან 1000 კგ-მდე. როგორც ცხრილიდან ჩანს, შეტანილი ფოსფატების ყველა ფორმის შემთხვევაში ჩაის ფოთლის მოსავალი მნიშვნელოვნად იზრდებოდა, ხოლო, უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში იგი თითქმის სამჯერ გაიზარდა. თომასტიდის შედარებით დაბალი ეფექტურობა, ფოსფატების სხვა ფორმებთან შედარებით, შესაძლოა დაკავშირებული იყოს მასში კალციუმის მაღალ შემცველობასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩაის ფოთლის მოსავლის ამაღლების გარდა, ფოსფორიტის ფქვილი დადებით გავლენას ახდენს ნიადაგში ფოსფორის მოძრავი შენაერთების დაგროვებაზე და ნიადაგის მჟავიანობის რამდენადმე შემცირებაზე. რაც შეეხება თომასტიდას, ეს სასუქი რამდენადმე ანეიტრალუებს ნიადაგის მჟავიანობის ნაწილს, მაგრამ თავისი ეფექტურობით ჩამორჩება ფოსფორიანი სასუქების ზემოთ მითითებულ ფორმებს.

სწავლობდა რა ფოსფორიანი სასუქების ახალ ფორმებს, შ.ა.ფუტკარაძის (1963, 1972) მიერ გამოვლენილია ფტორმოცილებული ფოსფატის და ფოსფატწიდის გარკვეული უპირატესობა მარტივ სუპერფოსფატთან შედარებით.

აღნიშნული ფორმის სასუქებიდან ფოსფორი ნიადაგში შთაინთქმება ნაკლები ხარისხით, უფრო მეტი რაოდენობით არის შესათვისებელ ფორმაში და უფრო სრულად გამოიყენება მცენარის მიერ.

ჩაის პლანტაციებში სუპერფოსფატის პერიოდულად შეტანის ეფექტურობის შესწავლისათვის ჩატარებულია მრავალრიცხოვანი გამოკვლევები, რომლებმაც უჩვენეს, რომ ფოსფორის გადიდებული დოზების ერთდროული შეტანა ორ წელში ერთხელ (ორმაგი დოზა), 4 წელში ერთხელ (ოთხმაგი დოზა) და 8 წელში ერთხელ (რვამაგი დოზა) ისეთივე ეფექტს იძლევა, როგორც ერთი აგროტექნიკური დოზის – P 120 კგ/ჸა ყოველწლიური შეტანა.

ამიტომ, ფოსფორიანი სასუქების მაღალი დოზების 4-8 წელიწადში ერთხელ შეტანა, მაღალ მოსავლიან, შეკრულ ჩაის პლანტაციებში, რომლებიც არ საჭიროებენ ნიადაგის ყოველწლიურ საზამთრო დამუშავებას, უნდა განვიხილოთ, როგორც უფრო რაციონალური და რენტაბელური აგროტექნიკური დონისძიება, რამდენადაც, ასეთი პერიოდული შეტანისას გამორიცხულია ჩაის ფესვთა სისტემის ყოველწლიური დაზიანება და ყოველწლიური შრომითი დანახარჯები ფოსფორიანი სასუქების შეტანაზე.

გ.ლ.გამყრელიძე, ლ.გ.ნემსიწვერიძე, უ.ბ.ახვლედიანის (1976) დაკვირვებებით იმერეთის გაეწრებულ-ყვითელმიწა ნიადაგზე ჩაის პლანტაციაში განსაკუთრებით მაღალ ეფექტურია ფოსფორიანი სასუქების მაღალი დოზების - P 200; P 400 და P 800 კგ/ჸა (ორმაგი; ოთხმაგი და რვამაგი დოზის, შესაბამისად ორ წელში, ოთხ წელში და რვა წელში ერთხელ შეტანით) ერთდროულად შეტანა და მათი დატოვება შემდეგმედებაზე.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აზოტისა და ფოსფორის ეფექტიანობა მნიშვნელოვან წილად მედავნდება ჩაის პლანტაციის ჯერ კიდევ სრული ასაკის მიღწევამდე; საკვებ ელემენტებზე მოთხოვნილება მკვეთრად იზრდება ჩაის ბუჩქის ასაკისა და მოსავლიანობის ზრდასთან ერთად. კალიუმის ეფექტურობასთან დაკავშირებით სხვა მოვლენას აქვს ადგილი.

1.2. საკვლევი ზონის ნიადაგურ-კლიმატური პირობები

დასავლეთ საქართველო, რომელიც ჩაის წარმოების ძირითადი ზონაა, ხასიათდება ტენიანი სუბტროპიკული კლიმატით, რაც მთლიანად განპირობებულია მისი გეოგრაფიული მდებარეობით. კავკასიის შავიზღვისპირეთის ტენიან სუბტროპიკებში შედარებით თბილი ზამთარი და გრილი ზაფხულია. მაღალი მთები, რომლებიც ეკვრიან ზღვის სანაპიროს, ერთის მხრივ, იცავენ მას ჩრდილოეთის ცივი ქარების ზეგავლენისგან და მეორეს მხრივ, წარმოადგენენ ზღუდეს ზღვიდან მონაბერი ქარებისთვის, რომლებსაც მოაქვთ სითბო და ტენი.

ზღვისა და მთების ზეგავლენით აიხსნება ნალექების სიუხვე, ჰაერის მაღალი ტენიანობა და აღნიშნული განედისათვის ჰაერის შედარებით მაღალი ტემპერატურა წლის ცივ პერიოდში.

ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვში წითწლმიწა ნიადაგების გავრცელების ტერიტორიაზე კლიმატი მ.ო.კორძახიას (1961) სქემის მიხედვით თბილი, ძლიერ ტენიანი სუბტროპიკული პროფილისაა.

2004-2006 წლების ზოგიერთი მეტეოროლოგიური მონაცემები ჩაქვის მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვებების მიხედვით მოტანილია მე-12 და მე-13 ცხრილებში.

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მრავალწლიური მონაცემების მიხედვით შეადგენს 14^0 C, ხოლო დაკვირვების წლებში – 2004-2005-2006 წლებში შესაბამისად შეადგინა $14,1; 14,0$ და $14,2^0$ C. ყველაზე დაბალი ტემპერატურა $+5^0$ C აღინიშნა 2004 წლის იანვარში; მაქსიმალური ტემპერატურა $+22,5^0$ C 2006 წლის ივლისში.

კვლევის ჩატარების ცალკეულ წლებში მეტეოროლოგიური მონაცემები განსხვავებულია. განსხვავებულია ისინი ნალექების რაოდენობისა და განაწილების, ტემპერატურის და ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის მიხედვით. აღინიშნა ნალექების არათანაბარი განაწილება წლის დროების მიხედვით.

ცდის ჩატარების პერიოდში ნაკლებ ნალექიანი იყო 2005 წელი (2427 მმ). ნალექების მინიმალური რაოდენობა აღინიშნა აპრილის, მაისის და ივნისის თვეებში. შესაბამისად – 88; 52 და 99 მმ; ამ თვეებში აღინიშნა საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით ჰაერის მაღალი ტემპერატურები, შესაბამისად – $12,2; 16,9$ და $19,9^0$ C;

2004 წელს მოსულმა ნალექებმა შეადგინა 2834 მმ; 2005 წელთან შედარებით ნალექები 407 მმ-ით მეტი აღინიშნა. ნალექების მაქსიმუმი მოვიდა ოქტომბერში და შეადგინა 532 მმ; მაისში, ივნისში და ივლისში მოსული ნალექები აღემატებოდა საშუალო მრავალწლიურ მაჩვენებლებს. ამ თვეების პაროის საშუალო ტემპერატურები (16,4; 19,9 და $22,5^{\circ}$ C) მიახლოებული იყო საშუალო მრავალწლიურ მაჩვენებლებთან.

2006 წელი გამოდგა უხვნალექიანი. ალექების წლიურმა ჯამმა შეადგინა 3159 მმ; კარგად იყო იგი განაწილებული სავეგეტაციო პერიოდში თვეების მიხედვით. მარტში, აპრილში, მაისში, ივნისში და ივლისში მოსულმა ნალექებმა შესაბამისად შეადგინეს 200; 120; 144; 221 და 222 მმ, მაშასადამე, გადააჭარბეს ამ თვეების მრავალწლიურ საშუალო მაჩვენებლებს, რამაც დადებითად იმოქმედა ნიადაგში ტენის დაგროვების ბალანსზე, ჩაის ბუჩქის გეგეტაციაზე და საბოლოო ჯამში მოსავლის დონეზე. აღნიშნულ თვეებში პაროის შეფარდებითმა ტენიანობამ შესაბამისად შეადგინა – 79; 80; 81; 80 და 81%.

მეტეოროლოგიური მონაცემები მინდვრის ცდის ჩატარების პერიოდში
(ჩაქვი)

| თვეები | ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა (C ⁰) | | | | | ნალექების რაოდენობა, მმ | | |
|-------------------|---|-------|------|------|------------------------------|-------------------------|------|------|
| | საშუალო მრავალ- წლიური | წლები | | | საშუალო მრავალ- წლიური | წლები | | |
| | | 2004 | 2005 | 2006 | | 2004 | 2005 | 2006 |
| იანვარი | 6,0 | 5,0 | 5,7 | 6,9 | 246 | 191 | 121 | 183 |
| თებერვალი | 6,1 | 6,8 | 6,2 | 6,1 | 165 | 102 | 217 | 145 |
| მარტი | 8,5 | 8,7 | 8,6 | 8,6 | 156 | 112 | 127 | 200 |
| აპრილი | 11,8 | 12,0 | 12,2 | 13,1 | 134 | 77 | 88 | 120 |
| მაისი | 16,2 | 16,4 | 16,9 | 16,8 | 103 | 140 | 52 | 144 |
| ივნისი | 19,7 | 19,9 | 19,9 | 20,0 | 188 | 261 | 99 | 221 |
| ივლისი | 22,3 | 22,5 | 21,8 | 22,5 | 165 | 236 | 244 | 222 |
| აგვისტო | 22,1 | 22,3 | 21,7 | 22,2 | 208 | 173 | 176 | 272 |
| სექტემბერი | 19,3 | 19,5 | 19,4 | 19,2 | 287 | 357 | 411 | 362 |
| ოქტომბერი | 15,9 | 16,2 | 16,0 | 15,8 | 264 | 532 | 284 | 481 |
| ნოემბერი | 11,7 | 12,0 | 11,5 | 11,6 | 251 | 328 | 394 | 456 |
| დეკემბერი | 8,0 | 7,9 | 8,2 | 8,1 | 242 | 325 | 214 | 353 |
| საშუალო წლიური | 14,0 | 14,1 | 14,0 | 14,2 | 2409 | 2834 | 2427 | 3159 |

მეტეოროლოგიური მონაცემები მინდვრის ცდის ჩატარების პერიოდში
(ჩაქვი)

| თვეები | პარის შეფარდებითი ტენიანობა, % | | | |
|-------------------|--------------------------------|-------|------|------|
| | საშუალო მრავალ- წლიური | წლები | | |
| | | 2004 | 2005 | 2006 |
| იანვარი | 74 | 75 | 74 | 76 |
| თებერვალი | 76 | 77 | 75 | 75 |
| მარტი | 78 | 77 | 76 | 79 |
| აპრილი | 78 | 79 | 77 | 80 |
| მაისი | 81 | 80 | 81 | 81 |
| ივნისი | 79 | 80 | 78 | 80 |
| ივლისი | 80 | 81 | 80 | 81 |
| აგვისტო | 81 | 81 | 80 | 80 |
| სექტემბერი | 81 | 80 | 81 | 81 |
| ოქტომბერი | 80 | 81 | 80 | 81 |
| ნოემბერი | 78 | 79 | 77 | 79 |
| დეკემბერი | 73 | 74 | 75 | 75 |
| საშუალო წლიური | 78 | 79 | 78 | 79 |

საერთო ჯამში, მინდვრის ცდის ჩატარების წლებში, სავაგეტაციო პერიოდის აგრომეტეოროლოგიური პირობები ცალკეული წლების მიხედვით ჩაის ბუჩქის ზრდა-განვითარებისათვის ხელსაყრელი იყო. გვინდა ავღნიშნოთ, რომ მაღალი აგროტექნიკისა და ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების ფონზე 2006 წელს წინა წლებთან შედარებით მიღებული იყო ჩაის მწვანე ფოთლის მაღალი მოსავალი.

დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკების ნიადაგების შესწავლა დიდი ხნის წინათ დაიწყო. ამ შემთხვევაში აუცილებელია ვახსენოთ ისეთი მკვლევარები როგორიცაა – ა.ნ.კრასნოვი (1893); ვ.ვ.დოკუჩაევი (1900);

ბ.ბ.პოლინოვი (1956); კ.დ.გლინჯა (1903); ს.ა.ზახაროვი (1928); დ.ნ.გეღევანიშვილი (1936); მ.ნ.საბაშვილი (1936; 1954; 1965); მ.კ.დარასელია (1949); ვ.მ.ფრიდლანდი (1967); ს.ზონი (1974); დ.დოლიძე (1969); შ.ფალავანდიშვილი (1985; 1987; 1993); ა.რომაშვილი (1974); გ.ტალახაძე და სხვ (1983);

ტენიანი სუბტროპიკული ნიადაგური ზონის საერთო ფართობი ნახევარ მილიონ ჰექტარს აღემატება (546 000 ჰა – 7,9%); მის საფარში ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს ყვითელმიწა-ეწერ და ყვითელმიწა-ეწერლებიან ნიადაგებს – 2,6% (180 000 ჰა), შემდეგ ადგილზეა წითელმიწა, წითელმიწა-გაეწერებული და წითელმიწა გაეწერებულლებიანი ნიადაგები – 2,4% (165 000 ჰა);

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოს წითელმიწების შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს და გამოკვლეულის დიდალი მასალად დაგროვილი, გენეზისისა და კლიფიკაციის საკითხები დღეისათვის ჯერ კიდევ საბოლოოდ დადგენილი არ არის. ს.ზახაროვს (1928), დ.გეღევანიშვილს (1936), მ.საბაშვილს (1954) და სხვა ავტორებს დაჯგუფება – კლასიფიკაციისათვის ამ ნიადაგების განვითარება-სტადიურობასთან ერთად გამოყენებული აქვთ დედაქანის, ჩამორეცხვის, მექანიკური შედგენილობის, კულტურული მდგომარეობისა და სხვა მაჩვენებლები.

ამ ნიადაგების მრავალრიცხოვანი მექანიკური ანალიზის მონაცემებიდან ჩანს, რომ წითელმიწა ნიადაგები მძიმე თიხნარი, თიხა და მძიმე თიხა-მექანიკური შედგენილობით ხასიათდება. $<0,01$ მმ ფრაქციის რაოდენობა – 65 %-ია; მიკრონული ფრაქციის შემცველობა 40%-ს და მეტს აღწევს და ფიზიკური თიხის რაოდენობის ნახევარს და მეტს შეადგენს (ნიადაგური მეგზური, 1974).

წითელმიწა ნიადაგები ხასიათდებიან ერთნახევარი ჟანგეულების მაღალი შემცველობით (30-50%), დაბალი შთანთქმის ტევადობით (8-20 მგ.ექგ.100 გ ნიადაგზე), შთანთქმული ფუძეების სიღარიბით (4-6 მგ.ექგ.100 გ ნიადაგზე); მაღალი მჟავიანობით (pH – მარილის სუსპენზიაში 4-4,5).

წითელმიწა ნიადაგში ჰუმუსის შემცველობა ჰორიზონტების მიხედვით მკვეთრად იცვლება. ასე მაგალითად, თუკი 0-15 სმ ჰორიზონტში ჰუმუსის შემცველობა 3,9-დან 10,75%-მდე აღწევს, ქვედა 15-30 სმ ჰორიზონტში იგი მკვეთრად ეცემა (0,9-6,1%). ფოსფორის მჟავა ამ ნიადაგებში წარმოდგენილია ძნელადხსნადი და მცენარისათვის ნაკლებად შესათვისებელი შენაერთებით. საერთო კალიუმის შემცველობა აღნიშნულ ნიადაგებში 5-10-ჯერ უფრო მაღალია, კიდრე ფოსფორის (0,55-0,99%), ამიტომ, კალიუმიანი სასუქების

ეფექტიანობა ჩაის პლანტაციის გაშენებიდან მხოლოდ 10-15 წლის შემდეგ მულავნდება.

წითელმიწა ნიადაგების ზედა პორიზონგში ჰუმუსისა და აზოტის საკმაოდ მაღალი შემცველობის მიუხედავად, ჩაის მცენარე აზოტით მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია ყამირის ათვისებიდან პირველი 2-3 წლის განმავლობაში, შემდგომ წლებში შეინიშნება აზოტის მკვეთრად გამოხატული უკმარისობა, რაც აღნიშნული ნიადაგების ჰუმუსის თავისებური ქიმიური შედგენილობით აიხსნება.

ვ.ი.ტიურინის (1949), მ.ნ.კონონვას(1963), მ.ლ.ბზიავას(1949) გამოკვლევებით დასაბუთებულია, რომ წითელმიწა ნიადაგების ჰუმუსში, ნაყოფიერებისათვის უფრო ძვირფასი ჰუმინის მუკვების შემცველობა მნიშვნელოვნად ნაკლებია, ნაკლებად ძვირფას ფულვომჟავებთან (კრენისა და აპოკრენის მუკვები) და არაპიდროლიზებულ ნაშთთან შედარებით.

წითელმიწა ნიადაგების ჰუმუსის დაბალი სარისხობრივი მაჩვენებლები განპირობებულია ნიადაგწარმოქმნის თავისებური პირობებით. მაღალი ტემპერატურისა და უხვი ნალექების მოქმედების შედეგად, თითქმის მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს ნიადაგის ორგანული ნივთიერებების ინტენსიური დაშლა. ატმოსფერული ნალექების სიუხვე (2-2,5 ათასი მმ წელიწადში) განაპირობებს ადგილადხსნადი ორგანული და მინერალური შენაერთების ინტენსიურ გამორეცხვას.

1.3. საცდელი ნაკვეთის ნიადაგი, მისი აგროქიმიური დახასიათება (საწყისი ნიადაგი და სასუქების შეტანის შემდეგ)

საცდელი ნაკვეთის ნიადაგის აგროქიმიური დახასიათების მიზნით, ნაკვეთის აგეგმვის შემდეგ, სასუქების შეტანის წინ, მინდვრის ცდის ვარიანტების მიხედვით აღებული იქნა ნიადაგის შერეული ნიმუშები. ყოველ ვარიანტზე, ჩაის რიგთაშორისებში 12 წერტილზე, სამ სიღრმეზე (0-15; 15-30; 30-45 სმ). ჩატარებული ანალიზის შედეგები მოტანილია მე-5 ცხრილში.

როგორც მე-5 ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, საცდელი ნაკვეთის ნიადაგი ხასიათდება პუმუსის და საერთო აზოტის საშუალო შემცველობით. პუმუსის შემცველობა საცდელი ნაკვეთის ნიადაგის 0-15 სმ ფენაში 6,2-6,3% შეადგენს, ხოლო, საერთო აზოტის – 0,31-0,32%; ნიადაგის სიღრმეში მათი შემცველობა იკლებს. პუმუსისა და საერთო აზოტის შემცველობის მიხედვით ვარიანტებს შორის მკვეთრი სხვაობა არ შეიძლება.

საერთო ფოსფორის შემცველობა მაღალია და ნიადაგის 0-15 სმ ფენაში – 0,15-0,16% შეადგენს. მოძრავი ფოსფორის შემცველობა დაბალია და ნიადაგის იგივე ფენაში 10,5 მგ-ს არ აჭარბებს 100 გ ნიადაგზე. სიღრმეში მისი რაოდენობა თანდათან იკლებს.

საკვლევი ნიადაგი ხასიათდება საერთო კალიუმის მაღალი და გაცვლითი კალიუმის დაბალი შემცველობით. საერთო კალიუმის რაოდენობა 0,91-0,92%-ს შეადგენს. გაცვლითი კალიუმი 12-15 მგ/100 გ ფარგლებში მერყეობს. მათი რაოდენობა სიღრმეში იკლებს. როგორც ჩატარებულმა აგროქიმიურმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, საკვლევი ნიადაგი ხასიათდება შთანთქმული ფუძეების დაბალი შემცველობით და მაღალი გაცვლითი მჟავიანობით, რომელიც განპირობებულია მოძრავი ალუმინის დიდი რაოდენობით შემცველობით. ეს ნორმალური პირობებია ჩაისთვის, მაგრამ მოძრავი ალუმინი უურადღებას იმსახურებს იმ თვალსაზრისითაც, რომ წითელმიწა ნიადაგში ის შეიძლება იყოს როგორც ნიადაგში არსებული, ისე სასუქის სახით შეტანილი ფოსფატების ერთ-ერთი ფიქსატორი.

საცდელი ნაკვეთის ნიადაგის აგროქიმიური დახასიათება მინდვრის ცდის დაყენებამდე.

ჩაქვი; წითელმიწა; ჩაის პლანტაცია; 2004 წელი

| გარიანტი | ნიმუშის აღების სიღრმე, სმ; | pH, (KCl) | ჰუმუ- რი, % | მჟავიანობა, მგ.ექგ.100 გ ნიადაგზე | | შთანთქმული ფუძეები, მგ.ექგ. 100 გ ნიადაგზე | | | საერთო, % | | | მგ. 100 გ ნიადაგზე | | |
|------------------------|-------------------------------------|--------------|----------------|---|------------------|--|-----|------|-----------|------|------|-----------------------|---|-----------------------------------|
| | | | | ბაცვ- ლითი | პიდრო- ლიზური | Ca | Mg | ჯამი | N | P | K | პიდრო- ლიზური N | მოძ- რავი P ₂ O ₅ | გაც- ვლითი K ₂ O |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| უსასუქო- საკონტროლო | 0-15 | 3,6 | 6,2 | 7,8 | 15,7 | 3,1 | 1,3 | 4,4 | 0,32 | 0,15 | 0,91 | 5,8 | 8,5 | 13,5 |
| | 15-30 | 3,6 | 4,5 | 8,0 | 12,3 | 2,8 | 1,1 | 3,9 | 0,22 | 0,09 | 0,90 | 3,2 | 6,5 | 11,8 |
| | 30-45 | 3,7 | 3,4 | 8,2 | 11,0 | 2,3 | 0,9 | 3,2 | 0,16 | 0,06 | 0,89 | 1,8 | 2,5 | 9,5 |
| N300K100- ფონი | 0-15 | 3,6 | 6,3 | 8,0 | 18,0 | 2,6 | 1,4 | 4,0 | 0,32 | 0,16 | 0,91 | 6,2 | 10,2 | 14,0 |
| | 15-30 | 3,6 | 4,6 | 8,5 | 16,2 | 2,6 | 1,0 | 3,6 | 0,22 | 0,11 | 0,90 | 3,6 | 6,7 | 11,2 |
| | 30-45 | 3,7 | 3,5 | 8,2 | 13,3 | 2,2 | 0,8 | 3,0 | 0,16 | 0,07 | 0,89 | 1,8 | 2,4 | 9,4 |
| NK+P60 | 0-15 | 3,7 | 6,2 | 8,4 | 16,2 | 3,0 | 1,3 | 4,3 | 0,31 | 0,15 | 0,92 | 5,7 | 9,5 | 13,8 |
| | 15-30 | 3,7 | 4,7 | 8,7 | 12,5 | 2,6 | 1,1 | 3,7 | 0,21 | 0,10 | 0,91 | 3,3 | 6,3 | 11,0 |

| | 30-45 | 3,8 | 3,3 | 8,8 | 11,4 | 2,2 | 0,9 | 3,1 | 0,17 | 0,06 | 0,90 | 1,7 | 2,5 | 9,9 |
|--------------------|-------|-----|-----|-----|------|-----|-----|-----|------|------|------|-----|------|------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| NK+P120 | 0-15 | 3,6 | 6,3 | 8,2 | 18,5 | 3,0 | 1,5 | 4,5 | 0,32 | 0,16 | 0,91 | 6,0 | 8,2 | 12,0 |
| | 15-30 | 3,6 | 4,5 | 8,3 | 16,8 | 2,6 | 1,2 | 3,8 | 0,22 | 0,09 | 0,90 | 3,5 | 6,5 | 8,8 |
| | 30-45 | 3,7 | 3,4 | 8,6 | 13,5 | 2,4 | 0,8 | 3,2 | 0,16 | 0,06 | 0,89 | 1,8 | 2,4 | 6,2 |
| NK+P180 | 0-15 | 3,7 | 6,3 | 7,8 | 17,7 | 2,9 | 1,4 | 4,3 | 0,31 | 0,15 | 0,92 | 5,8 | 10,5 | 14,5 |
| | 15-30 | 3,7 | 4,4 | 8,0 | 15,0 | 2,5 | 1,1 | 3,6 | 0,21 | 0,10 | 0,91 | 3,4 | 6,4 | 11,2 |
| | 30-45 | 3,8 | 3,6 | 8,5 | 12,9 | 2,5 | 0,8 | 3,3 | 0,16 | 0,07 | 0,90 | 1,9 | 2,5 | 9,1 |
| NK+P240 | 0-15 | 3,7 | 6,3 | 8,1 | 19,0 | 3,1 | 1,3 | 4,4 | 0,32 | 0,16 | 0,91 | 6,0 | 8,1 | 15,0 |
| | 15-30 | 3,7 | 4,4 | 8,3 | 15,5 | 2,5 | 1,2 | 3,7 | 0,21 | 0,11 | 0,91 | 3,4 | 6,3 | 11,0 |
| | 30-45 | 3,8 | 3,5 | 8,5 | 13,0 | 2,5 | 0,9 | 3,4 | 0,16 | 0,06 | 0,90 | 1,8 | 2,5 | 9,0 |
| NK+P360 | 0-15 | 3,7 | 6,2 | 8,1 | 18,9 | 3,1 | 1,3 | 4,4 | 0,31 | 0,15 | 0,91 | 6,0 | 9,0 | 15,0 |
| 3 წელში გრობება | 15-30 | 3,7 | 4,6 | 8,2 | 15,4 | 2,5 | 1,2 | 3,7 | 0,21 | 0,10 | 0,91 | 3,5 | 6,5 | 11,1 |
| | 30-45 | 3,8 | 3,5 | 8,6 | 12,9 | 2,5 | 0,9 | 3,4 | 0,16 | 0,07 | 0,90 | 1,4 | 2,5 | 8,0 |
| NK+P540 | 0-15 | 3,6 | 6,2 | 8,2 | 18,6 | 3,0 | 1,5 | 4,5 | 0,31 | 0,15 | 0,90 | 6,2 | 9,5 | 14,2 |
| | 15-30 | 3,7 | 4,5 | 8,4 | 14,8 | 2,3 | 1,3 | 3,6 | 0,21 | 0,10 | 0,90 | 3,6 | 6,4 | 11,3 |
| | 30-45 | 3,7 | 3,6 | 8,7 | 13,2 | 2,4 | 0,8 | 3,2 | 0,16 | 0,07 | 0,89 | 1,5 | 2,4 | 7,0 |

მე-5 ცხრილიდან ჩანს, რომ ნიადაგის არის რეაქცია მჟავეა; pH KCl-ის სუსპენზიაში 3,6-3,7-ია, რაც ჩაის მცენარის ნორმალური ზრდა- განვითარებისთვის სავსებით ნორმალური და შესაფერისია.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მინდვრის ცდის დაყენებიდან სამი წლის განმავლობაში (2004-2006 წ.წ.) ვარიანტების მიხედვით ნიადაგში შეტანილი იყო აზოტი (N) – 900 კგ/ჰა; კალიუმი (K₂O) – 300 კგ/ჰა, ხოლო ფოსფორი (P₂O₅) ვარიანტების მიხედვით 180-720 კგ/ჰა (წლების მიხედვით შეტანილი სასუქების შესახებ მონაცემები მოტანილია მე-14 ცხრილში). მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ცდის ჩატარების პერიოდში ნიადაგში შეტანილია დიდი რაოდენობით აზოტიანი, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები. შეტანილი მინერალური სასუქების ნიადაგის აგროქიმიურ მაჩვენებლებზე გავლენის დასადგენად, 2006 წლის შემოდგომაზე, ჩაის ბუჩქის ვეგეტაციის დასრულებისას, ზემოთ აღნილი მეთოდიკის მიხედვით, მინდვრის ცდის ვარიანტების მიხედვით აღებული იქნა ნიადაგის ნიმუშები, რომლებშიც ჩატარდა სათანადო აგროქიმიური ანალიზები. შედეგები მოტანილია მე-6 ცხრილში.

მე-6 ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ აზოტიანი, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების შეტანის შედეგად, ცდის ვარიანტების მიხედვით შეიმჩნევა ნიადაგის აგროქიმიური მაჩვენებლების ზოგიერთი ცვლილებები. არ შეცვლილა ასევე საერთო აზოტის შემცველობა, ნიადაგის მჟავიანობის მაჩვენებლები და შთანთქმული ფუძეების ჯამი.

მე-6 ცხრილიდან ჩანს, რომ საკვლევ ნიადაგში, საკონტროლო ვარიანტთან შედარებით გაიზარდა ჰიდროლიზური აზოტისა და გაცვლითი კალიუმის შემცველობა. ასე, მაგალითად, თუკი უსასუქო ვარიანტზე გაცვლითი კალიუმის შემცველობა 13 მგ-ია 100 გ ნიადაგზე, დანარჩენ ვარიანტებზე K₂O რაოდენობა ტოლია – 17,2-18,5 მგ/100 გ ნიადაგზე; ჰიდროლიზური აზოტის შემცველობა უსასუქო ვარიანტზე შეადგენს 5,0 მგ 100 გ ნიადაგზე, დანარჩენ ვარიანტებზე კი 12,0-13,5 მგ/100 გ ნიადაგზე;

ცხრილი 6

საცდელი ნაკვეთის ნიადაგის აგროქიმიური დახასიათება მინდვრის ცდის დაყენებიდან 3 წლის შემდეგ;

ჩაქვი; წითელმიწა; ჩაის პლანტაცია; 2006 წელი

| გარიანტი | ნიმუშის აღების სიღრმე, სმ; | pH, (KCl) | ჰუმუ- რი, % | მჟავიანობა, მგ.ექგ.100 გ ნიადაგზე | | შთანთქმული ფუძეები, მგ.ექგ. 100 გ ნიადაგზე | | | საერთო, % | | | მგ. 100 გ ნიადაგზე | | |
|------------------------|-------------------------------------|--------------|----------------|---|------------------|--|-----|------|-----------|------|------|-----------------------|---|-----------------------------------|
| | | | | ბაცვ- ლითი | ჰიდრო- ლიზური | Ca | Mg | ჯამი | N | P | K | ჰიდრო- ლიზური N | მოძ- რავი P ₂ O ₅ | გაც- ვლითი K ₂ O |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| უსასუქო- საკონტროლო | 0-15 | 3,6 | 6,2 | 7,7 | 15,5 | 3,2 | 1,3 | 4,5 | 0,32 | 0,15 | 0,91 | 5,0 | 8,2 | 13,0 |
| | 15-30 | 3,7 | 4,4 | 8,0 | 12,2 | 2,8 | 1,2 | 4,0 | 0,21 | 0,08 | 0,90 | 3,0 | 6,2 | 11,0 |
| | 30-45 | 3,7 | 3,4 | 8,0 | 11,1 | 2,4 | 1,0 | 3,4 | 0,16 | 0,06 | 0,89 | 1,7 | 2,5 | 9,4 |
| N300K100- ფონი | 0-15 | 3,5 | 6,3 | 8,2 | 18,2 | 2,9 | 1,4 | 4,3 | 0,32 | 0,15 | 0,92 | 12,0 | 8,9 | 17,2 |
| | 15-30 | 3,5 | 4,7 | 8,6 | 16,3 | 2,6 | 1,0 | 3,6 | 0,22 | 0,11 | 0,91 | 6,5 | 6,3 | 13,2 |
| | 30-45 | 3,7 | 3,4 | 8,2 | 13,0 | 2,3 | 0,9 | 3,2 | 0,16 | 0,07 | 0,89 | 2,0 | 2,4 | 9,5 |
| NK+P60 | 0-15 | 3,6 | 6,3 | 8,5 | 16,4 | 3,3 | 1,3 | 4,6 | 0,30 | 0,16 | 0,92 | 12,0 | 15,5 | 18,0 |
| | 15-30 | 3,6 | 4,7 | 8,7 | 12,6 | 2,7 | 1,1 | 3,8 | 0,22 | 0,10 | 0,91 | 6,1 | 8,0 | 13,3 |

| | 30-45 | 3,7 | 3,4 | 8,8 | 11,5 | 2,2 | 1,0 | 3,2 | 0,17 | 0,06 | 0,90 | 2,0 | 2,7 | 10,0 |
|--------------------|-------|-----|-----|-----|------|-----|-----|-----|------|------|------|------|------|------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| NK+P120 | 0-15 | 3,7 | 6,5 | 8,3 | 18,7 | 3,0 | 1,5 | 4,5 | 0,32 | 0,16 | 0,92 | 12,8 | 18,0 | 17,6 |
| | 15-30 | 3,6 | 4,6 | 8,4 | 16,8 | 2,7 | 1,1 | 3,8 | 0,23 | 0,10 | 0,91 | 6,0 | 10,5 | 13,0 |
| | 30-45 | 3,6 | 3,4 | 8,6 | 13,5 | 2,4 | 0,7 | 3,1 | 0,16 | 0,06 | 0,89 | 2,0 | 3,3 | 8,3 |
| NK+P180 | 0-15 | 3,6 | 6,5 | 8,0 | 17,8 | 3,1 | 1,3 | 4,4 | 0,32 | 0,15 | 0,92 | 13,0 | 22,1 | 18,5 |
| | 15-30 | 3,7 | 4,5 | 8,2 | 15,0 | 2,6 | 1,2 | 3,8 | 0,22 | 0,10 | 0,91 | 5,8 | 12,8 | 13,4 |
| | 30-45 | 3,7 | 3,6 | 8,5 | 13,1 | 2,5 | 0,9 | 3,4 | 0,16 | 0,07 | 0,90 | 1,9 | 4,0 | 9,0 |
| NK+P240 | 0-15 | 3,6 | 6,5 | 8,3 | 19,4 | 3,1 | 1,3 | 4,4 | 0,32 | 0,16 | 0,92 | 13,0 | 23,4 | 18,5 |
| | 15-30 | 3,6 | 4,5 | 8,3 | 15,5 | 2,6 | 1,2 | 3,8 | 0,21 | 0,11 | 0,91 | 6,5 | 13,5 | 13,5 |
| | 30-45 | 3,7 | 3,6 | 8,5 | 13,0 | 2,5 | 0,9 | 3,4 | 0,16 | 0,06 | 0,90 | 1,8 | 4,5 | 9,0 |
| NK+P360 | 0-15 | 3,7 | 6,4 | 8,3 | 19,4 | 3,2 | 1,3 | 4,5 | 0,31 | 0,16 | 0,91 | 13,5 | 17,3 | 18,1 |
| 3 წელში გრობება | 15-30 | 3,7 | 4,7 | 8,3 | 15,4 | 2,6 | 1,2 | 3,8 | 0,21 | 0,10 | 0,91 | 6,4 | 10,0 | 13,3 |
| | 30-45 | 3,8 | 3,5 | 8,5 | 13,2 | 2,5 | 0,6 | 3,1 | 0,16 | 0,07 | 0,90 | 1,8 | 3,0 | 9,0 |
| NK+P540 | 0-15 | 3,6 | 6,4 | 8,3 | 18,8 | 3,2 | 1,4 | 4,6 | 0,31 | 0,16 | 0,91 | 13,0 | 18,2 | 18,3 |
| | 15-30 | 3,7 | 4,5 | 8,4 | 14,9 | 2,4 | 1,4 | 3,8 | 0,21 | 0,11 | 0,90 | 6,5 | 11,8 | 13,4 |
| | 30-45 | 3,6 | 3,6 | 8,7 | 13,2 | 2,4 | 0,8 | 3,2 | 0,16 | 0,07 | 0,89 | 1,8 | 3,5 | 9,1 |

მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ვარიანტები მოძრავი ფოსფორის შემცველობის მიხედვით. სუპერფოსფატის დოზების გაზრდასთან ერთად კანონზომიერად იზრდება მოძრავი ფოსფორის შემცველობა ნიადაგში. ასე, მაგალითად, უსასუქო ვარიანტზე მისი შემცველობა სიღრმეების მიხედვით შეადგენს – 8,2-6,2-2,5 მგ 100 გ ნიადაგზე, ხოლო, NK+P 240 კგ/ჰა ვარიანტზე მაქსიმუმს აღწევს და შესაბამისად შეადგენს – 23,4-13,5-4,5 მგ/100 გ ნიადაგზე; ამრიგად, აღნიშნულ ვარიანტზე მოძრავი ფოსფორის შემცველობა ნიადაგის ზედა ფენაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ მიღებული ინდექსების მიხედვით პკლავ დაბალ უზრუნველყოფილია ამ საკვები ელემენტის შემცველობით და აუცილებელია ფოსფორიანი სასუქების შეტანა.

მე-6 ცხრილის მონაცემების განხილვისას, ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ვარიანტები – NK+P180 და NK+P540, რომლებზეც 2006 წლისათვის შეტანილია P_2O_5 - ის თანაბარი რაოდენობა, მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მოძრავი ფოსფორის შემცველობის მიხედვით. ასე, მაგალითად, ვარიანტზე NK+P180, ნიადაგის 0-15 სმ ფენაში P_2O_5 - ის შემცველობა შეადგენს 22,1 მგ, ხოლო, NK+P540 ვარიანტზე 18,2 მგ/100 გ ნიადაგზე.

აღნიშნული მოვლენა იმით აიხსნება, რომ ვარიანტზე NK+P540 კგ/ჰა, ფოსფორის მთლიანი რაოდენობა შეტანილია ერთჯერად (სამი წლის წინ) და დატოვებულია შემდეგქმედებაზე. ამ ვარიანტზე შეტანილი ხსნადი ფოსფატები უკვე გადასულია ძნელადხსნად, ნაკლებად მოძრავ ფორმაში. ხოლო, ვარიანტზე NK+P180 კგ/ჰა ფოსფორიანი სასუქები შეიტანებოდა ყოველწლიურად. ამ ვარიანტზე - 180 კგ/ჰა ფოსფორი ახლად შეტანილია (2006 წ.). იგი უფრო მოძრავი, უფრო ხსნადია და ჯერ კიდევ არ არის გადასული ძნელადხსნად და ძნელად მისაწვდომ ფორმაში.

თავი II ექსპერიმენტული ნაწილი

2.1. კვლევის ჩატარების მეთოდიკა

ნიადაგში შეტანილი სასუქების ფოსფორის გარდაქმნის ბუნებისა და მექანიზმის შესასწავლად და ჩაის პლანტაციაში ფოსფორიანი სასუქების რაციონალური დოზებისა და შეტანის წესების დასადგენად, აჭარაში, სუბტროპიკულ კულტურათა და მრეწველობის სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება ჩაქვის ფილიალში საცდელ ნაკვეთზე ტიპიურ წილელმიწა ნიადაგზე დაყენებული იქნა მინდვრის ცდა.

კვლევის ძირითად მეთოდად გამოყენებული იყო სტაციონარული მინდვრის ცდის და ლაბორატორიული კვლევის მეთოდები.

მინდვრის ცდა დაყენებული იქნა საერთოდ მიღებული მეთოდიკით (შ.თ.ჭანიშვილი, 1973). გამოკვლევები ჩატარდა 2004-2006 წლებში.

საცდელ ნაკვეთზე ჩაის პლანტაცია გაშენებულია გასული საუკუნის 40-იან წლებში, ჯიში „კოლხიდა“.

საცდელი ნაკვეთის ნიადაგი – ტიპური წილელმიწა, განვითარებული ანდეზიტო-ბაზალტის გამოფიტვის ქერქზე, ხასიათდება საშუალო ნაყოფიერებით. ნიადაგის პირველადი დამუშავება ჩატარებულია პლანტაციის წესით 45 სმ სიღრმეზე. პლანტაცია გაშენებულია შპალერული წესით. მწკრივთაშორის მანძილი 1,5 მეტრი; ბუჩქებს შორის - 0,35 მეტრი.

მინდვრის ცდის დასაყენებლად ნაკვეთი დაყოფილი იქნა დანაყოფებად; თითოეულ დანაყოფში შედიოდა 4 სააღრიცხვო და 2 დამცველი რიგი; ორ დანაყოფს შორის მანძილი შეადგენდა 3 მეტრს; დანაყოფის სიგრძე – 8 მეტრს; დანაყოფის საერთო ფართობი – 72 მ²; სააღრიცხვო ფართობი – 48 მ²; დამცველი ფართობი – 24;

მინდვრის ცდა ჩატარდა შემდეგი სქემით:

1. უსასუქო (საკონტროლო)
2. N300K100 – ფონი
3. NK + P60 ერთეულწლიური შეტანა.
4. NK + P120 _____,_____
5. NK + P180 _____,_____
6. NK + P240 _____,_____
7. NK + P360 3 წელში ერთხელ შეტანა.

8. NK + P540 3 წელში ერთხელ შეტანა.
ცდის განმეორება იყო სამჯერადი;
სამი წლის განმავლობაში მინდვრის ცდის გარიანტების მიხედვით
შეტანილი ფოსფორიანი სასუქების რაოდენობა წლების მიხედვით
წარმოდგენილია მე-14 ცხრილში.

2.2. ფოსფორის მინერალური ფორმები ნიადაგში და მათი ტრანსფორმაცია ფოსფორიანი სასუქების სხვადასხვა დოზით და წესით გამოყენების პირობებში

საკვები ელემენტების შენაერთების შემცველობა და ფორმები ასახავენ ნიადგწარმოქმნის პროცესის ხასიათს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნიადაგის გაკულტურების ხარისხის დიაგნოსტიკურ მაჩვენებლად. ნ.პ.კარპინსკის (1970) აზრით, ნიადაგწარმოქმნასთან და გაკულტურების ხარისხთან ყველაზე ძლიერო კავშირი აქვს ფოსფატების საერთო რაოდენობას და მისი შენაერთების ფორმებს. საერთო ფოსფორის და მისი სხვადასხვა ჯგუფისა და ფრაქციის განაწილების მაჩვენებლები წარმოდგენას გვაძლევენ ნიადაგის ფოსფატურ რეჟიმზე ადამიანის სამეურნეო მოქმედების გავლენის შესახებ.

ნიადაგში ფოსფორის სხვადასხვა ფორმების განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდებიდან უნდა აღინიშნოს დინის (1939), დავთიანის (1939) და ჩირიკოვის (1939) მეთოდები.

ნიადაგში მინერალური ფოსფატების განსაზღვრისათვის უფრო გავრცელება ჰანგისა და ჯეკსონის (1957) მეთოდმა. აღნიშნული მეთოდის არსი მდგომარეობს სხვადასხვა გამხსნელებით ნიადაგის ერთი წონაკის თანმიმდევრულ დამუშავებაში, რომელთაგან თითოეული ნიადაგის მინერალური ფოსფატების განსაზღვრულ ფრაქციას აძევებს.

ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, ჩანგისა და ჯეკსონის მეთოდი გამოიყენება დ.ლ.ასკინაზი, გინზბურგი, ლებედევას (1963) მოდიფიკაციით.

შემდგომში, გინზბურგმა და ლებედევამ (1971) შემოგვთავაზეს ნიადაგში მინერალური ფოსფორის განსაზღვრის რამდენადმე განსხვავებული ვარიანტი. გინზბურგ-ლებედევას მეთოდი საშუალებას იძლევა გამოყოფილ იქნეს კალციუმის ფოსფატის სამი ფრაქცია, განსხვავებულნი ფუძიანობით და კრისტალიზაციის ხარისხით, ანუ ხსნადობით და მცენარისათვის შესათვისებლობით.

გ.ნ.მარგველაშვილი, ნ.ო.კიკნაძე (2009) საქართველოს ძირითადი ტიპის ნიადაგებში მინერალური ფოსფატების ფრაქციონირებისათვის რეკომენდაციას აძლევენ ჩანგი-ჯეკსონისა და გინზბურგ-ლებედევას მეთოდებს. ჩანგი-ჯეკსონის მეთოდს დასავლეთ საქართველოს მუავე ნიადაგებზე, ხოლო, გინზბურგ-ლებედევას მეთოდს როგორც დასავლეთ საქართველოს მუავე, ისე აღმოსავლეთ საქართველოს კარბონატულ ნიადაგებზე.

საქართველოს წითელმიწა ნიადაგებში (ანასეული, ოზურგეთი) ფოსფატების ფრაქციული შემადგენლობა ო.გ.ონიანის (1966;1974;), ო.გ.ონიანი, ო.ებურჭულაძის, გ.ნ.მარგველაშვილის (1976) მიერ შესწავლილი იყო ჩანგისა და ჯეპსონის მეთოდით. აკტორები მივიღნენ დასკვნამდე, რომ წითელმიწა ნიადაგში შეტანილი სასუქების ფოსფატები გროვდება ალუმინის ფოსფატების ფორმით და დროთა განმავლობაში თანდათან გადადიან რკინის ფოსფატებში, ე.ი. აღნიშნულ ნიადაგებში რკინის ფოსფატები წარმოადგენენ ფოსფორის გარდაქმნის საბოლოო პროცესს.

გ.ნ.მარგველაშვილის მიერ (1971), იმერეთის გაეწრებულ-ყვითელმიწა ნიადაგებში ფოსფორის მინერალური ფორმები განსაზღვრული იქნა ჩანგისა და ჯეპსონის მეთოდით. დადგინდა, რომ გაეწრებულ-ყვითელმიწა ნიადაგებში „აქტიური ფოსფატები“ წარმოდგენილია ძირითადად ერთნახევარი ჟანგეულების ფოსფატების სახით. საკონტროლო ვარიანტიდან აღებულ ნიმუშებში (სასუქის შეტანის გარეშე), რკინისა და ალუმინის ფოსფატები წარმოდგენილი იყო თანაბარი რაოდენობით. ხსნადი ფოსფორიანი სასუქების შეტანის შედეგად კი ძირითადად ალუმინის ფოსფატები წარმოიქმნებოდა.

ნ.ო.კიკნაძის (1991; 2003), მიერ დასავლეთ საქართველოს ჩაის პლანტაციების წითელმიწა ნიადაგებში (ანასეული, ოზურგეთი) ფოსფორის მინერალური ფორმები შესწავლილ იქნა გინზბურგ-ლებედევას მეთოდით. დადგენილ იქნა, რომ აღნიშნულ ნიადაგებში ჭარბობს ერთნახევარი ჟანგეულების ფოსფატები, რომლებიც „აქტიური“ მინერალური ფოსფატების მთელი ჯამის 70-80%-ს შეადგენენ. კალციუმის ფოსფატები ნიადაგში წარმოდგენილია შედარებით მცირე რაოდენობით და არ აჭარბებს 20-30%. ფოსფატების 55-წლიანი შემდეგქმდების ვარიანტებზე, ერთნახევარი ჟანგეულების ფოსფატებიდან ჭარბობს რკინის ფოსფატები (46-55%). 55 წლის განმავლობაში ფოსფორიანი სასუქების (სუპერფოსფატი) სისტემატურად – P 120 კგ/ჰა დოზით შეტანისას, ყველაზე დიდი რაოდენობით გროვდება Al- ის ფოსფატები (48,5%).

აჭარის წითელმიწა ნიადაგში ფოსფორის მინერალური ფორმების განსაზღვრისათვის ჩვენს მიერ გამოყენებული იყო ჩანგისა და ჯეპსონის მეთოდი ზოგიერთი ცვლილებებით, რომელიც შეტანილი იყო ვ.ვ.დოკუჩაევის სახ. ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის აგროქიმიის ლაბორატორიის მიერ (ი.ბ. ასკინაზი, გინზბურგი და ლებედევა, 1963).

უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარის წითელმიწა ნიადაგში ფოსფატების ტრანსფორმაციის შესწავლისას ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა მხოლოდ სამი გამონაწური:

1. ალუმინის ფოსფატების გამოსაძევებლად ნიადაგის წონაკი დამუშავდა ამონიუმის ფტორიდის $0,5 \text{ n}$ ხსნარით $\text{pH}=8,5$;

2. რკინის ფოსფატების გამოსაძევებლად ნიადაგის იგივე წონაკი დამუშავდა $0,1 \text{ n}$ NaOH -ით 1 საათიანი ნჯდრევისა და შემდეგ 24 საათიანი დაყოვნების გზით.

3. კალციუმის ფოსფატების გამოსაძევებლად ნიადაგის იგივე წონაკი დამუშავდა $0,5 \text{ n}$ -ის H_2SO_4 ხსნარით 1 საათიანი ნჯდრევის გზით.

აჭარის წითელმიწა ნიადაგში ფოსფორის გარდაქმნასთან დაკავშირებით გამოკვლევები ჩატარდა ნიადაგის ნიმუშებში, რომლებიც აღებული იყო ჩაის პლანტაციაში სუპერფოსფატის სხვადასხვა დოზითა და წესით შეტანის ეფექტიანობის დასაღვენად დაყენებული მინდვრის ცდის დანაყოფებიდან.

მინდვრის ცდის სქემა და ჩატარებული ანალიზის შედეგები წარმოდგენილია მე-7 ცხრილში და პირველ დიაგრამაზე., რომლებშიც მოტანილია სხვადასხვა ფრაქციებში ფოსფორის შემცველობის აბსოლუტური რაოდენობები (P_2O_5 მგ/100 გ ნიადაგზე) და შეფარდებითი მაჩვენებლები (%-ში გამოძევებული მინერალური ფოსფატების მთლიანი ჯამიდან). როგორც მე-15 ცხრილიდან და პირველი დიაგრამიდან ჩანს, საკვლევ წითელმიწა ნიადაგში, როგორც წესი, ძალზე დაბალია კალციუმის ფოსფატების შემცველობა. განსაკუთრებით დაბალია იგი უსასუქო და ფონის ვარიანტებზე – შესაბამისად 2,2 და 2,6 მგ 100 გ ნიადაგზე, ანუ „აქტიური“ ფოსფატების მთლიანი ჯამის – 8-9%; ფოსფორიანი სასუქების შეტანით აღინიშნება კალციუმის ფოსფატების რაოდენობის გაზრდა, თუმცა ამ შემთხვევაშიც მათი რაოდენობა ცდის ყველა ვარიანტზე მნიშვნელონად დაბალია Al -ისა და Fe -ის ფოსფატებთან შედარებით.

დიდ ინტერესს იწვევს მჟავე წითელმიწა ნიადაგში ალუმინისა და რკინის ფოსფატების შეფარდებითი შემცველობა. მე-15 ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ფოსფორიანი სასუქების შეტანით იზრდება ფოსფორის თითოეული ფრაქციის რაოდენობა და მაშასადამე, შესაბამისად „აქტიური“ ფოსფატების ჯამიც. მაგრამ, თითოეული ფრაქციის გამდიდრების ხარისხი განსხვავებულია. ყველაზე მკვეთრად იზრდება ალუმინის ფოსფატების ფრაქცია. ალუმინის ფოსფატების რაოდენობის გაზრდასთან ერთად, იმატებს რკინის ფოსფატების რაოდენობაც, მაგრამ მათი დაგროვების ტემპი დაბალია

ალუმინის ფოსფატებთან შედარებით. ასე, მაგალითად, უსასუქო ვარიანტზე – Al-P შეადგენს 7,3 მგ 100 გ ნიადაგზე, ხოლო, Fe-P 17,5 მგ 100 გ ნიადაგზე; NK+ P240 კგ/ჰა ვარიანტზე Al-P იზრდება 33 მგ-მდე, Fe-P კი 23 მგ-მდე 100 გ ნიადაგზე.


შევჩერდებით ფოსფორიანი სასუქების ყოველწლიურად და პერიოდულად შეტანის ვარიანტებზე „აქტიური“ ფოსფატების შემცველობის მონაცემებზე. როგორც ცხრილიდან ჩანს, მინდვრის ცდის სქემის მიხედვით მე-8 ვარიანტზე ფოსფორიანი სასუქი შეიტანება სამმაგი დოზით – P 540 კგ/ჰა სამ წელში ერთხელ (სასუქი შეტანილი იყო 2004 წელს ადრე გაზაფხულზე). აღნიშნულ ვარიანტზე ფოსფორიანი სასუქის შეტანიდან მესამე წლის ბოლოს (2006 წლის სექტემბერი) აქტიური ფოსფატების პროცენტული შემცველობა ნიადაგის 0-15 სმ-იან ფენაში შეადგენს: Ca-P – 13,9%; Al-P – 40,1%; Fe-P - 46%, მაშინ როცა, P 180 კგ/ჰა ყოველწლიურად შეტანის ვარიანტზე, სადაც სამი წლის განმავლობაში შეტანილია იგივე რაოდენობით (540) ფოსფორიანი სასუქი, როგორიც პერიოდულად შეტანის ვარიანტზე (მე- 8 ვარიანტი), აქტიური ფოსფატების პროცენტული შემცველობა ასეთია: Ca-P - 15,4%; Al-P - 45,5% და Fe-P - 39,1%; ამრიგად, ფოსფორიანი სასუქების სამმაგი დოზის ერთდროულად შეტანით და მათი ხანგრძლივი ურთიერთმოქმედებით ნიადაგთან (სამი წლის შემდეგქმედება) თანდათან მცირდება Ca-P და Al-P რაოდენობა და იზრდება Fe-P რაოდენობა. შეფარდება Al-P/Fe-P ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ფოსფატების ტრანსფორმაციაზე დროთა განმავლობაში. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ რაც უფრო დიდია აღნიშნული შეფარდების Al-P/Fe-P მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია ნიადაგის ფოსფატების შესათვისებლობა მცენარისათვის და პირიქით. ჩვენს ცდაში, ნიადაგის ზედა სიდრმეში (0-15 სმ) აღნიშნული მაჩვენებელი მერყეობს – 0,42-დან 1,43-ის ფარგლებში. ყველაზე დაბალია იგი უსასუქო ვარიანტზე და ყველაზე მაღალი ფოსფორიანი სასუქის შეტანის ვარიანტებზე.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ სასუქების სახით შეტანილი ხსნადი კალციუმის ფოსფატები აჭარის წითელმიწა ნიადაგში ჯერ გადადიან ალუმინის ფოსფატებში, ხოლო შემდეგ იწყებენ რკინის ფოსფატებში გადასვლას. ანალოგიური შედეგებია მიღებული ო.გ.ონიანის (1966) და ნ.ო.კიკნაძის (1991;2003) მიერ ანასეულის წითელმიწებზე და გ.ნ.მარგველაშვილის მიერ (1971) გაეწრებულ-ყვითელმიწებზე იმერეთის ზონაში.

ფოსფორის მინერალური ფორმები წითელმიწა ნიადაგში

ჩაქვის საცდელი სადგური; 2006 წელი

| ვარიანტი | სიღ-რმე, სმ | „აქტ-ოური ფოს-ფატე-ბის“ ჯამი | Ca-P | | Al-P | | Fe-P | | <u>Al-P</u> <u>Fe-P</u> |
|---------------------------|-------------|------------------------------|-----------------------------|------|-----------------------------|------|-----------------------------|------|----------------------------|
| | | | გვ. 100 ნიად- აგზე | % | გვ. 100 ნიად- აგზე | % | გვ. 100 ნიად- აგზე | % | |
| უსასეუქო | 0-15 | 27 | 2,2 | 8 | 7,3 | 27,0 | 17,5 | 65,0 | 0,42 |
| | 15-30 | 18 | 1,6 | 9 | 4,3 | 24,0 | 12,1 | 67,0 | 0,35 |
| | 30-45 | 16 | 1,2 | 7,5 | 3,8 | 24,0 | 11,0 | 68,5 | 0,35 |
| N300K100-ფონი | 0-15 | 29 | 2,6 | 9 | 9,0 | 31,0 | 17,4 | 60,0 | 0,52 |
| | 15-30 | 19 | 1,5 | 8 | 5,5 | 29,0 | 12,0 | 63,0 | 0,46 |
| | 30-45 | 18 | 1,2 | 7 | 5,0 | 28,0 | 11,8 | 65,0 | 0,42 |
| NK+P 60 | 0-15 | 34 | 3,0 | 9 | 13,0 | 38,0 | 18,0 | 53,0 | 0,72 |
| | 15-30 | 20,3 | 2,1 | 10 | 6,0 | 30,0 | 12,2 | 60,0 | 0,49 |
| | 30-45 | 18,5 | 1,5 | 8 | 5,0 | 27,0 | 12,0 | 65,0 | 0,42 |
| NK+P 120 | 0-15 | 48,5 | 6,5 | 13,4 | 22,0 | 45,4 | 20,0 | 41,2 | 1,1 |
| | 15-30 | 24,2 | 3,0 | 12,4 | 8,5 | 35,1 | 12,7 | 52,5 | 0,7 |
| | 30-45 | 19,7 | 1,7 | 8,6 | 6,0 | 30,4 | 12,0 | 61,0 | 0,5 |
| NK+P 180 | 0-15 | 55 | 8,5 | 15,4 | 25,0 | 45,5 | 21,5 | 39,1 | 1,16 |
| | 15-30 | 26,9 | 4,2 | 16 | 9,7 | 36,0 | 13,0 | 48,0 | 0,75 |
| | 30-45 | 22,2 | 2,1 | 9,5 | 7,8 | 35,1 | 12,3 | 55,4 | 0,63 |
| NK+P 240 | 0-15 | 66 | 10,0 | 15 | 33,0 | 50,0 | 23,0 | 35,0 | 1,43 |
| | 15-30 | 30,6 | 5,3 | 17,3 | 12,0 | 39,2 | 13,3 | 43,5 | 0,9 |
| | 30-45 | 23,3 | 2,4 | 10,3 | 8,5 | 36,5 | 12,4 | 53,2 | 0,7 |
| NK+P 360 სამ წელი გრობები | 0-15 | 46,5 | 6,0 | 13 | 18,5 | 40,0 | 22,0 | 47,0 | 0,84 |
| | 15-30 | 23,9 | 3,0 | 12,5 | 8,0 | 33,5 | 12,9 | 54,0 | 0,62 |
| | 30-45 | 19,9 | 1,5 | 7,5 | 6,0 | 30,2 | 12,4 | 62,3 | 0,48 |
| NK+P 540 სამ წელი გრობები | 0-15 | 54,1 | 7,5 | 13,9 | 21,7 | 40,1 | 24,9 | 46,0 | 0,87 |
| | 15-30 | 26,5 | 4,0 | 15 | 8,7 | 33,0 | 13,8 | 52,0 | 0,63 |
| | 30-45 | 19,9 | 1,6 | 8,0 | 5,5 | 27,6 | 12,8 | 64,4 | 0,43 |




დიაგრამა 1. ფოსფორის მინერალური ფორმები აჭარის წითელმიწა ნიადაგში; 0-15 სმ ფენა



Ca-P



Al-P



Fe-P

2.3. მოძრავი ფოსფორის სეზონური დინამიკა ნიადაგში

დაკვირვებები საკვები ელემენტების სეზონურ დინამიკაზე ნიადაგში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-30-იანი წლებიდან დაიწყო. მოძრავი ფოსფორის სეზონურ დინამიკასთან დაკავშირებული ლიტერატურული მონაცემების შეჯამების საფუძველზე, შეიძლება აღინიშნოს, რომ მკვლევართა შორის არ არსებობს ერთიანი აზრი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ნიადაგში მოძრავი ფოსფატების სეზონურ ცვალებადობაზე მიუთითებენ ა.ა.შმუკი (1950), ნ.მ.გლაზუნოვა (1964) და მრავალი სხვა. მათი აზრით შესათვისებელი ფოსფორის შემცველობა სხვადასხვა ნიადაგში იკლებს გაზაფხულიდან ზაფხულისაკენ და იმატებს შემოდგომისაკენ. აღნიშნულ მოვლენას ისინი ნიადაგის ტენის ცვალებადობით ხსნიან, რომელიც სეზონურ ხასიათს ატარებს.

ავტორთა მეორე ნაწილი (ზაკქ, 1973; კიარბლანე, 1981 და მრავალი სხვა) განაზოგადებენ რა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ მასალებს, აკეთებენ დასკვნას, რომ მოძრავი ფოსფატების ყველაზე დაბალი შემცველობა შეიმჩნევა მარტში, ივლისისათვის ის რამდენადმე იზრდება, ხოლო, შემოდგომისაკენ კვლავ იკლებს; აღნიშნულ ავტორთა დაკვირვებებით, რაც უფრო მაღალია ნიადაგში მოძრავი ფოსფატების საწყისი შემცველობა და რაც უფრო მაღალი დოზითაა შეტანილი ფოსფორიანი სასუქები, მით უფრო მკვეთრადაა გამოხატული მოძრავი ფოსფატების ცვალებადობა ვეგეტაციის პერიოდში.

საქართველოში მოძრავი ფოსფატების დინამიკაზე დაკვირვებები ჩატარებულია სხვადასხვა ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებში. გ.ნ.ურუშაძის (1949), ი.დ.გამყრელიძის (1942), ფ.ს.დუდაშვილის (1955), ო.გ.ონიანის (1967), გ.ნ.მარგველაშვილის (1970), ნ.ო.კიკნაძის (2003), გ.ნ.მარგველაშვილი, ნ.ო.კიკნაძის (2009) გამოკვლევებით, ჩაის კულტურით დაკავებულ წითელმიწა და გაეწრებულ-ყვითელმიწა ნიადაგებში მჟავასხსნადი ფოსფორის შემცველობა სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში იცვლება, მაგრამ არა დიდი ინტერვალით.

ი.ი.ბოლქვაძემ, შ.რ.ვაჩნაძემ, ც.ბ.კვინიკაძემ (1988), ო.გ.დოლიძემ (1987), გ.ნ.მარგველაშვილმა (1989) შეისწავლეს ფოსფატების სეზონური ცვალებადობა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ტიპის ნიადაგებში. მიღებულმა მონაცემებმა უჩვენეს, რომ მდელოს-ყავისფერ, შავმიწა, კარბონატულ ყავისფერ და მდელოს ალუვიურ უკარბონატო ნიადაგებში, მარცვლეული, ბოსტნეული და

ტექნიკური კულტურების ქვეშ მოძრავი ფოსფატების შემცველობა სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში იცვლება მცირე ინტერვალით.

მოძრავი ფოსფორის სეზონური დინამიკა ჩაის პლანტაციით დაკავებულ ჩაქვის წითელმიწა ნიადაგში ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ფოსფორის დოზების და შეტანის წესების ეფექტიანობაზე დაყენებული მინდვრის ცდის ბაზაზე. მინდვრის ცდის ვარიანტების მიხედვით აღებულ ნიადაგის ნიმუშებში მოძრავი ფოსფორის შემცველობას ვსაზღვრავდით ონიანის მეთოდით. ნიმუშები სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში აღებული იყო 4-ჯერ. ანალიზის შედეგები მოტანილია მე-16 ცხრილში.

მე-8ცხრილიდან ჩანს, რომ მოძრავი ფოსფორის შემცველობა ნიადაგში კორელაციურ დამოკიდებულებაშია შეტანილ ფოსფორიან სასუქებოან. განსაკუთრებით მეღავნდება ეს ფოსფორიანი სასუქების მაღალი დოზების შეტანის ვარიანტებზე.

უსასუქო ვარიანტზე მოძრავი ფოსფორის შემცველობა საჭმაოდ დაბალია და წლების მიხედვით თითქმის არ იცვლება. ასე მაგალითად, P_2O_5 -ის შემცველობა აღნიშნულ ვარიანტზე 2005 წლის ვეგეტაციის დასაწყისში (აპრილი) სიღრმეების მიხედვით შეადგენდა – 9,0-6,5-2,5 მგ/100 გ ნიადაგზე, ხოლო, 2006 წლის ბოლოს – ოქტომბერში 8,0-6,1-2,4 მგ/100 გ ნიადაგზე.

მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მოძრავი ფოსფორის შემცველობის მიხედვით ფოსფორის სხვადასხვა დოზით შეტანის ვარიანტები. შუპერფოსფატის დოზების გაზრდასთან ერთად კანონზომიერად იზრდება ნიადაგში მოძრავი ფოსფორის შემცველობა. ასე, მაგალითად, თუკი საკონტროლო ვარიანტზე მოძრავი P_2O_5 -ის შემცველობა სიღრმეების მიხედვით შეადგენს 8,5-6,3-2,5 მგ/100 გ ნიადაგზე (აპრილი, 2006 წელი), P_2O_5 -240 კგ/ჰა შეტანის ვარიანტზე, სადაც უკვე შეტანილია 720 კგ P_2O_5 პექტარზე, მოძრავი ფოსფორის შემცველობამ სიღრმეების მიხედვით შეადგინა 26,0-14,4-5,5 მგ/100 გ ნიადაგზე.

ცხრილში მოტანილი მონაცემები უჩვენებენ, რომ აჭარის წითელმიწა ნიადაგში მოძრავი ფოსფორის სეზონური ცვალებადობა სუსტად არის გამოხატული. ვეგეტაციის ბოლოს მოძრავი ფოსფატების რაოდენობამ განოყიერებულ ვარიანტებზე შეადგინა აპრილში შემცველობის 85-86%, ე.ი. შემცირდა 14-15%-ით. ხოლო, უსასუქო ვარიანტზე შემოდგომისთვის მათმა რაოდენობამ შეადგინა 94%.

მოძრავი ფოსფორის დინამიკა ნიადაგში სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში.

წითელმიწა (ჩაქვი)

P_2O_5 გვ/100 გ ნიადაგზე

| გარიანტი | ნიმუშის აღების სიღრმე, სმ; | მინდვრის ცდის დაყენე- ბამდე, 2004 წ. 12.03; | 2005 წელი | | | | | 2006 წელი | | | | |
|-----------------------------|-------------------------------------|--|-----------|--------|-----------------|----------------|---|-----------|--------|-----------------|----------------|---|
| | | | აპრილი | ივლისი | სექტემ- ბერი | ოქტომ- ბერი | შემოდ- გომის- თვის დარჩე- ნილი, % საწყისი- დან; | აპრილი | ივლისი | სექტემ- ბერი | ოქტომ- ბერი | შემოდ- გომის- თვის დარჩე- ნილი, % საწყისი- დან; |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| უსასუქო- საკონტ- როლო | 0-15 | 8,5 | 9,0 | 8,8 | 8,7 | 8,5 | 94 | 8,5 | 8,3 | 8,2 | 8,0 | 94 |
| | 15-30 | 6,5 | 6,5 | 6,5 | 6,5 | 6,5 | | 6,3 | 6,2 | 6,2 | 6,1 | |
| | 30-45 | 2,5 | 2,5 | 2,5 | 2,5 | 2,5 | | 2,5 | 2,5 | 2,5 | 2,4 | |
| N300K100 გონი | 0-15 | 10,2 | 10,5 | 10,3 | 10,0 | 9,8 | 93 | 9,3 | 9,1 | 8,9 | 8,6 | 93 |
| | 15-30 | 6,7 | 6,7 | 6,6 | 6,7 | 6,7 | | 6,5 | 6,4 | 6,3 | 6,3 | |
| | 30-45 | 2,4 | 2,5 | 2,4 | 2,5 | 2,5 | | 2,5 | 2,5 | 2,5 | 2,5 | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
|---------|-------|------|------|------|------|------|----|------|------|------|------|----|
| NK+P60 | 0-15 | 9,5 | 13,3 | 12,8 | 12,1 | 11,4 | 86 | 17,0 | 16,0 | 15,5 | 14,6 | 86 |
| | 15-30 | 6,3 | 7,6 | 7,3 | 7,0 | 7,0 | | 8,6 | 8,2 | 8,0 | 7,8 | |
| | 30-45 | 2,5 | 3,0 | 3,0 | 2,8 | 2,6 | | 3,3 | 3,0 | 2,7 | 2,7 | |
| NK+P120 | 0-15 | 8,2 | 16,5 | 15,5 | 15,0 | 14,2 | 86 | 19,8 | 19,0 | 18,0 | 17,0 | 86 |
| | 15-30 | 6,5 | 9,0 | 9,0 | 8,6 | 8,5 | | 11,5 | 10,8 | 10,5 | 10,1 | |
| | 30-45 | 2,4 | 3,7 | 3,7 | 3,5 | 3,0 | | 4,2 | 3,7 | 3,3 | 3,2 | |
| NK+P180 | 0-15 | 10,5 | 20,4 | 19,0 | 18,4 | 17,3 | 85 | 23,5 | 22,2 | 21,1 | 20,0 | 85 |
| | 15-30 | 6,4 | 11,5 | 11,0 | 10,4 | 10,0 | | 13,4 | 13,0 | 12,8 | 12,0 | |
| | 30-45 | 2,5 | 3,9 | 3,6 | 3,4 | 3,2 | | 5,0 | 4,5 | 4,0 | 3,5 | |
| NK+P240 | 0-15 | 8,1 | 23,9 | 22,0 | 21,5 | 20,3 | 85 | 26,0 | 24,9 | 23,4 | 22,1 | 85 |
| | 15-30 | 6,3 | 13,3 | 12,7 | 11,8 | 11,0 | | 14,4 | 14,0 | 13,5 | 13,0 | |
| | 30-45 | 2,5 | 4,8 | 4,4 | 4,2 | 4,0 | | 5,5 | 5,0 | 4,5 | 4,2 | |
| NK+P360 | 0-15 | 9,0 | 21,5 | 20,4 | 19,6 | 18,3 | 85 | 19,0 | 18,0 | 17,3 | 16,1 | 85 |
| | 15-30 | 6,5 | 12,7 | 12,0 | 11,5 | 11,3 | | 11,0 | 10,4 | 10,0 | 9,4 | |
| | 30-45 | 2,5 | 4,5 | 4,0 | 4,0 | 3,4 | | 3,6 | 3,2 | 3,0 | 2,8 | |
| NK+P540 | 0-15 | 9,5 | 24,0 | 23,0 | 21,8 | 20,6 | 86 | 22,8 | 21,9 | 20,0 | 19,6 | 86 |
| | 15-30 | 6,4 | 14,0 | 13,5 | 12,9 | 12,2 | | 12,7 | 12,0 | 11,8 | 11,5 | |
| | 30-45 | 2,4 | 5,0 | 4,8 | 4,7 | 4,0 | | 4,5 | 4,1 | 3,5 | 3,3 | |


მე-8 ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ჩაის კულტურით დაკავებულ წითელმიწა ნიადაგში მჟავასსნადი P_2O_5 -ის შემცველობა სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში იცვლება, მაგრამ არა დიდი ინტერვალით. აღინიშნება ასეთი ტენდენცია: მოძრავი ფოსფატების შემცველობა მაღალია ვეგეტაციის დასაწყისში, შემდეგში, ვეგეტაციის შუა და ბოლო პერიოდისაკენ თანდათან იკლებს. შედარებით მეტი ხარისხით ვლინდება იგი ფოსფორით განოფიერებულ დანაყოფებზე, რამდენადმე სუსტად კი საკონტროლო ვარიანტზე. ასე, მაგალითად, ვარიანტზე NK+P180 კგ/ჰა მოძრავი ფოსფორის რაოდენობა დინამიკაში (2006 წ.) შემდეგნაირად იცვლებოდა: აპრილი – 23,5-13,4-5,0; ივლისი – 22,2-13,0-4,5; სექტემბერი – 21,1-12,8-4,0 და ოქტომბერი – 20,0-12,0-3,5; ხოლო, საკონტროლო ვარიანტზე შესაბამისად - 8,5-6,3-2,5 (აპრილი); 8,3-6,2-2,5(ივლისი); 8,2-6,2-2,5 (სექტემბერი); 8,0-6,1-2,4 (ოქტომბერი);

მოძრავი ფოსფორის სეზონური დინამიკა ჩაის პლანტაციით დაკავებულ წითელმიწა ნიადაგში სასუქების გამოყენებასთან კავშირში, თვალსაჩინოდ არის გამოსახული მე-2 დიაგრამაზე. დიაგრამიდან ჩანს, რომ აღნიშნულ მინდვრის ცდაში შეიმჩნევა მოძრავი ფოსფატების შემცველობის კანონზომიერი შემცირება გაზაფხულიდან შემოდგომისაკენ. მეტი ხარისხით ვლინდება იგი ფოსფორით განოფიერებულ ვარიანტებზე და რამდენადმე სუსტად – საკონტროლოზე.

მე-2 დიაგრამიდან ჩანს, რომ მოძრავი ფოსფორის შემცველობის დინამიკის გამომსახველი მრუდები ფოსფორიანი სასუქების შეტანიდან მესამე წელს (2006 წ.) უფრო მაღლაა გავლებული, ვიდრე მეორე წელს (2005 წ.). აღნიშნული ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ფოსფორიანი სასუქების შეტანით ნიადაგის ნაყოფიერება მოძრავი ფოსფატების შემცველობის მიხედვით თანდათან მაღლდება.

უსასუქო ვარიანტზე კი, როგორც დიაგრამიდან ჩანს, მოძრავი ფოსფორის შემცველობის მიხედვით აღინიშნება ნიადაგის ნაყოფიერების კლების ტენდენცია.

ნიადაგში მოძრავი ფოსფატების სეზონური მერყეობის მიზეზები ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის ახსნილი. როგორც ჩანს აქ ადგილი აქვს ბიოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური ფაქტორების მთელი კომპლექსის გავლენას; რათქმაუნდა ნიადაგის ფოსფატების განსაზღვრული ნაწილი გამოიყენება ჩაის მცენარის ზრდა-განვითარებისათვის და გამოიტანება მოსავლით. შეტანილი ფოსფატების ნაწილი კი გადადის ფიქსირებულ მდგომარეობაში.



დიაგრამა № 2. მოძრავი ფოსფორის სეზონური დინამიკა აჭარის წითელმიწა ნიადაგში ჩაის პლანტაციაში სასუქების გამოყენებასთან კავშირში.

— Kjorbo; - - - NK+P60; - · - · - NK+P120; —··— NK+P180; - + - + - NK+P240;

P_2O_5 -ის შედარებით მაღალი შემცველობა ვეგეტაციის დასაწყისში, გამოწვეულია ძირითადი სასუქების შეტანით. შესაძლებელია აგრეთვე, რომ მაისში მოსულმა ნალექებმა და ტემპერატურის ზრდამ განაპირობეს ნიადაგში მოძრავი P_2O_5 -ის შემცველობის ზრდა. წითელმიწა ნიადაგში მოძრავი ფოსფატების სუსტი სეზონური ცვალებადობა, ჩვენის აზრით, განპირობებილია ტემპერატურისა და ტენიანობის ოპტიმალური პირობებით მთელი საგეგეტაციო პერიოდის განმავლობაში, აქტიური ბიოლოგიური ცხოველმყოფელობით, რომელიც განაპირობებს ნიადაგის ძნელადებესნადი ფოსფატების გადასვლას შესათვისებელ მდგომარეობაში.

მოტანილი ლიტერატურული მონაცემები, აგრეთვე ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლეული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გარკვეულწილად ხსნიან ნიადაგში მოძრავი ფოსფატების სეზონური მერყეობის მიზეზებს. ამასთან, აღნიშნული მოვლენა მოითხოვს ნიადაგის ნიმუშების აღების ვადების მკაცრად დაცვას. იგი დაკავშირებული უნდა იყოს კონკრეტულ პერიოდთან. მისმა დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს არასწორი წარმოდგენა ნიადაგში მოძრავი ფოსფატების რეალურ მარაგებზე, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს არაობიექტური რეკომენდაციების გაწვევას სხვადასხვა კულტურისათვის, ფოსფორიანი სასუქების დოზებთან დაკავშირებით.

2.4. ფოსფატების მიგრაცია ნიადაგის სიღრმეში

კვების სხვა ელემენტებისაგან განსხვავებით ფოსფორი ნიადაგში ჩემულებრივ ენერგიულად შთაინთქმება ფუძეებით, ნიადაგის კოლოიდებით, თიხა მინერალებით და მიკროორგანიზმებით; ამიტომ, საერთოდ, მიღებულად ითვლება აზრი იმის შესახებ, რომ არ არსებობს ფოსფორის შესამჩნევი მიგრაცია ნიადაგის პროფილში და მით უმეტეს, გრუნტის წყლებით გამორეცხვა.

ნიადაგში ფოსფატების მიგრაცია ძალზე რთული პროცესია და განისაზღვრება მთელი რიგი ფაქტორების კომპლექსური ზემოქმედებით:

1. ნიადაგის თვისებებით (მექანიკური შედგენილობა, კოლოიდების შემცველობა, ქიმიური შემადგენლობა, არის რეაქცია, ორგანული ნივთიერებების შემცველობა, წყლის რეჟიმი და სხვა).
2. კლიმატური პირობებით (ნალექი, ტენი, ტემპერატურა).
3. მცენარეული საფარით.
4. თანამგზავრი სასუქებით.
5. ფოსფორიანი სასუქების ფორმებით.

დ.ნ.პრიანიშნიკოვი (1963) მიუთითებდა, რომ ნიადაგში შეტანილი სასუქის ფოსფორი არ გადამოძრავდება ნიადაგში და რჩება იმავე ფენაში, სადაც ის არის შეტანილი და შერეული.

ნიადაგის სიღრმეში ფოსფორის უმნიშვნელო გადაადგილებაზე მიუთითებენ ქართველი მკვლევარები: ი.დ.გამყრელიძე (1942); გ.ნ.ურუშაძე (1954); მ.კ.დარასელია (1961); ფ.ს.დუდაშვილი (1958); შ.ა.ფუტკარაძე (1963); გ.ნ.მარგველაშვილი (1970;1989); ნ.ო.კიქნაძე (2003) და სხვა. მათი გამოკვლევებით ნიადაგში შეტანილი ფოსფორი ძირითადად ფიქსირდება შეტანის ზონაში და ძალიან უმნიშვნელოდ გადაადგილდება ქვედა სიღრმეში.

მეორე მხრივ, ლიტერატურაში არსებობს მონაცემები ნიადაგის სიღრმეში ფოსფატ-იონის მნიშვნელოვანი მიგრაციისა და ფესვთა სისტემის ზონიდან მათი დაკარგვის შესახებ. ავტორთა (ფოჭინი და სხვ., 1973; ლარსენი, 1967; ონიანი, 1967; გონზალესი, 1977; კუკი, 1975 და სხვა) აზრით, ნიადაგის ზედაპირზე შეტანილი ფოსფორი შეიძლება გადაადგილდეს 20-დან 45 სმ-მდე და უფრო მეტ სიღრმეში, რაც დამოკიდებულია შეტანილი ფოსფატების ქიმიურ ფორმაზე და შეტანის წესზე.

შეიძლება მოყვანილი იქნეს აგრეთვე მრავალი სხვა მონაცემები ნიადაგში ფოსფორის გადაადგილებასთან დაკავშირებით, მაგრამ ზემოთ აღნიშნული, ვფიქრობთ საჭმარისია იმისათვის, რომ წარმოდგენა გვქონდეს იმ განსხვავებულ შეხედულებებსა და მონაცემებზე, რომელიც მოპოვებულია სხვადადსხვა მკლევარის მიერ ნიადაგში ფოსფატ-იონის მიგრაციასთან დაკავშირებით; ასეთი განსხვავებული მონაცემების არსებობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აიხსნება იმით, რომ მისი შესწავლა ჩატარდა სხვადასხვა პირობებში და განსხვავებული მეთოდიკით.

ნიადაგში შეტანილი ფოსფორის მიგრაცია ჩვენს მიერ ისწავლებოდა აჭარის ჩაის პლანტაციით დაკავებულ წითელმიწა ნიადაგში. გამოყენებული იყო აღნიშნულ ნიადაგზე დაყენებული მინდვრის ცდა. 2004 წელს ფოსფორიანი სასუქების შეტანამდე მინდვრის ცდის ვარიანტებზე 0-10, 10-20, 20-30, 30-40 და 40-50 სმ სიღრმეზე აღებული იქნა ნიადაგის ნიმუშები და განსაზღვრული მოძრავი ფოსფორი ონიანის მეთოდით. მინდვრის ცდის დაყენებიდან 3 წლის შემდეგ (2006 წ, სექტემბერი) ვარიანტების მიხედვით განმეორებით იქნა აღებული ნიადაგის ნიმუშები იგივე სიღრმეზე, რომლებშიც კვლავ განისაზღვრა მოძრავი ფოსფორი.

აჭარის წითელმიწა ნიადაგში შეტანილი ფოსფატების გადამოძრავება მის სიღრმეში წარმოდგენილია მე-17 ცხრილში.

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ აღნიშნულ ნიადაგში ადგილი აქვს შეტანილი ფოსფატების მცირე ნაწილის გადაადგილებას მის სიღრმეში. შეტანილი ფოსფატების ძირითადი ნაწილი შეკავებულია 0-30 სმ ფენაში, მაგრამ მათი გარკვეული ნაწილი გადაადგილებულია 40-50 სმ სიღრმის ფენაში.


დადგენილი იქნა, რომ რაც უფრო მაღალია ნიადაგში შეტანილი ფოსფორის დოზა, მით უფრო მეტია ფოსფატების გადაადგილება ნიადაგის ქვედა ფენებში. ასე, მაგალითად, უსასუქო ვარიანტზე წითელმიწა ნიადაგის 30-40 და 40-50 სმ სიღრმის ფენაში P_2O_5 -ის შემცველობა შეადგენს შესაბამისად 1,3-0,4 მგ/100 გ ნიადაგზე; P 240 კგ/ჰა ყოველწლიურად შეტანის ვარიანტზე შესაბამისად 6,0-2,9 მგ P_2O_5 100 გ ნიადაგზე, მაშინ, როცა ვარიანტზე - P 60 კგ/ჰა, სადაც წინა ვარიანტთან შედარებით შეტანილია ფოსფორიანი სასუქის მნიშვნელოვნად ნაკლები რაოდენობა, მუავასნადი P_2O_5 -ის შემცველობა 30-40 და 40-50 სმ სიღრმეში შეადგენს შესაბამისად 3,5 და 1,75 მგ P_2O_5 100 გ ნიადაგზე.

ცხრილი 9

ფოსფორის მიგრაცია წითელმიწა ნიადაგში

(ჩაქვის საცდელი სადგური, ჩაის პლანტაცია 2004-2006 წ.წ.)

| გარიანტი | ნიადაგის ნიმუშის აღ- ბის სიდრომე, სმ | P ₂ O ₅ მგ/100 გ ნიადაგზე | | |
|------------------------|---|---|---|------------------------------|
| | | მინდვრის ცდის დაყენე- ბამდე, 2004 წ. | მინდვრის ცდის დაყენებიდან 3 წლის შემდეგ, 2006წ. | მატება სასუქის შეტანით |
| უსასუქო- საკონტროლო | 0-10 | 9,0 | 8,7 | - |
| | 10-20 | 7,5 | 7,0 | - |
| | 20-30 | 4,3 | 4,0 | - |
| | 30-40 | 1,5 | 1,3 | - |
| | 40-50 | 0,6 | 0,4 | - |
| NK+P60 | 0-10 | 10,0 | 16,8 | 6,8 |
| | 10-20 | 8,0 | 10,4 | 2,4 |
| | 20-30 | 4,4 | 6,6 | 2,2 |
| | 30-40 | 1,7 | 3,5 | 1,8 |
| | 40-50 | 0,8 | 1,75 | 0.95 |
| NK+P120 | 0-10 | 8,5 | 18,7 | 10,2 |
| | 10-20 | 7,1 | 10,6 | 3,5 |
| | 20-30 | 4,1 | 6,8 | 2,7 |
| | 30-40 | 1,3 | 4,2 | 2,9 |
| | 40-50 | 0,4 | 2,1 | 1,7 |
| NK+P180 | 0-10 | 11,0 | 22,0 | 11,0 |
| | 10-20 | 8,4 | 10,7 | 2,3 |
| | 20-30 | 4,4 | 7,3 | 2,9 |
| | 30-40 | 1,4 | 5,2 | 3,8 |
| | 40-50 | 0,7 | 2,5 | 1,8 |
| NK+P240 | 0-10 | 8,8 | 24,4 | 15,6 |
| | 10-20 | 7,4 | 10,9 | 3,5 |
| | 20-30 | 4,0 | 7,3 | 3,3 |
| | 30-40 | 1,3 | 6,0 | 4,7 |
| | 40-50 | 0,5 | 2,9 | 2,4 |



დიაგრამა 3. მოძრავი ფოსფორის მიგრაცია წითელმიწა ნიადაგში;

(მინდვრის ცდა ჩაის პლანტაციაში, 2006 წ.);

* – % ნიადაგის 0-50 სმ-იან ფენაში არსებული ფოსფატების საერთო ჯამიდან

ფოსფორის მიგრაცია წითელმიწა ნიადაგში თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი მე-3 დიაგრამაზე, რომლიდანაც ჩანს, რომ უსასუქო ვარიანტზე ნიადაგის 0-50 სმ სიღრმის ფენაში არსებული მოძრავი ფოსფატების მთლიანი რაოდენობის 91% მოთავსებულია 30 სმ-მდე სიღრმის ფენაში; 9% კი განაწილებულია 30-40 და 40-50 სმ სიღრმის ფენაში (სიღრმის მიხედვით შესაბამისად – 6,5 და 2,5%). ფოსფორიანი სასუქების შეტანის ვარიანტებზე კი, ნიადაგის 0-50 სმ სიღრმის ფენაში არსებული ფოსფატების მთლიანი რაოდენობის 83-87% დამაგრებულია 30 სმ-მდე სიღრმის ფენაში, ხოლო 13-17% მიგრირებულია 30-40 და 40-50 სმ სიღრმის ფენაში (სიღრმეების მიხედვით, შესაბამისად 9-12 და 4-5%).

ამრიგად, ფოსფორის მიგრაციის საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ აჭარის წითელმიწა ნიადაგში შეტანილი ფოსფორი ძირითადად იძოჭება შეტანის სიღრმეზე და მათი მხოლოდ მცირე ნაწილი გადაადგილდება ნიადაგის სიღრმეში.

თავი III

3.1. ფოსფორიანი სასუქების მზარდი დოზების გავლენა ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალზე

ფოსფორით დარიბ წითელმიწა ნიადაგზე ფოსფორიანი სასუქის მზარდი დოზების გავლენა ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალზე ნაჩვენებია მე-20 ცხრილში, რომელშიც მოსავლიანობის მონაცემები მოტანილია ცალკეული წლების მიხედვით. მიღებული მონაცემების საფუძველზე აკლიმატიზებული შემდეგას:

2004 წელს უსასუქო ვარიანტზე მიღებული მოსავალი დაბალია – 950 კილოგრამს არ აღემატება პექტარზე; აზოტ-კალიუმიანი სასუქების შეტანის ვარიანტზე ჩაის ფოთლის მოსავალი შესამჩნევად გაიზარდა და 670 კგ/ჰა ანუ 70%-ით გადააჭარბა უსასუქო ვარიანტს. აზოტ-კალიუმიანი სასუქების ასეთი მაღალი ეფექტიანობა შეიძლება აიხსნას პიდროლიზური აზოტის დაბალი შემცველობით ნიადაგში და ჩაის მცენარის მაღალი მოთხოვნილებით აღნიშნულ ელემენტზე.

ფოსფორიანი სასუქის მზარდი დოზების ყოველწლიური შეტანა ჩაის ფოთლის მოსავლის შესამჩნევ მატებას გვაძლევს. ფოსფორის დოზის – P 60 კგ/ჰა შეტანისას მოსავლის მატებამ ფონთან შედარებით შეადგინა 292 კგ/ჰა ანუ 18%; P120 კგ/ჰა შეტანისას მოსავლის მატებამ შეადგინა 535 კგ/ჰა ანუ 33%; სუპერფოსფატის დოზის გაზრდამ P 180 კგ/ჰა-მდე, კიდევ უფრო გაზარდა მოსავალი; მატებამ აღნიშნულ ვარიანტზე 745 კგ/ჰა ანუ 46% შეადგინა; ჩაის ფოთლის მოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა ფოსფორიანი სასუქის მაღალი დოზის – P240 კგ/ჰა შეტანით და მან 2511 კგ/ჰა შეადგინა, მატება ფონთან შედარებით 891 კგ/ჰა ანუ 55%-ია, ხოლო წინა დოზასთან შედარებით 11%.

ფოსფორიანი სასუქების უფრო მაღალი დოზებით – P360 და P540 კგ/ჰა შეტანისას მიღებულია ჩაის ფოთლის ყველაზე მაღალი მოსავალი და მან შესაბამისად შეადგინა – 2592 და 2705 კგ/ჰა, მატება ფონთან შედარებით შესაბამისად 972 და 1085 კგ/ჰა ანუ 60 და 67%-ია. ამ შემთხვევაში, აღნიშნულ ვარიანტებზე (P360 და P540 კგ/ჰა) წინა ვარიანტთან (P240 კგ/ჰა) შედარებით მატება შესაბამისად 5 და 12%-ია.

ფოსფორიანი სასუქისაგან მიღებული ასეთი მაღალი ეფექტი საკვლევ ნიადაგში შესათვისებელი ფოსფორის დაბალი შემცველობით უნდა აიხსნას.

ცხრილი 10

სუპერფოსფატის მზარდი დოზების გავლენა ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალზე.
ჩაქვი; წითელმიწა ნიადაგი

| გარიანტი | 2004 წელი | | | 2005 წელი | | | 2006 წელი | | |
|-------------------------------|--------------------|--------|----|--------------------|--------|----|--------------------|--------|------|
| | მოსავალი, გგ/ჸა | მატება | | მოსავალი, გგ/ჸა | მატება | | მოსავალი, გგ/ჸა | მატება | |
| | | გგ/ჸა | % | | გგ/ჸა | % | | გგ/ჸა | % |
| უსასუქო- საკონტროლო | 950 | - | - | 1320 | - | - | - | 1400 | - |
| N300K100 – ფონი | 1620 | - | - | 2395 | - | - | - | 2580 | - |
| NK+P 60 | 1912 | 292 | 18 | 2874 | 479 | 20 | 8,0 | 3199 | 619 |
| NK+P 120 | 2155 | 535 | 33 | 3305 | 910 | 38 | 7,6 | 3767 | 1187 |
| NK+P 180 | 2365 | 745 | 46 | 3832 | 1437 | 60 | 8,0 | 4592 | 2012 |
| NK+P 240 | 2511 | 891 | 55 | 3952 | 1557 | 65 | 6,5 | 4618 | 2038 |
| NK+P 360 3 წელში ერთხელ | 2592 | 972 | 60 | 3640 | 1245 | 52 | 6,9 | 3689 | 1109 |
| NK+P 540 3 წელში ერთხელ | 2705 | 1085 | 67 | 4024 | 1629 | 68 | 6,0 | 4386 | 1806 |
| P, % | 6,5 | | | 7,0 | | | 7,4 | | |
| კ.ა.ს.(0,95),გ/ჸა | 148 | | | 225 | | | 314 | | |

2005 წელს, მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით უკეთესი მეტეოროლოგიური პირობები არ იყო, ცდის ყველა ვარიანტზე გაზრდილია ჩაის ფოთლის მოსავალი.

უსასუქო ვარიანტზე მოსავალმა შეადგინა 1320 კგ/ჰა, ე.ი. 370 კგ-ით გადააჭარბა წინა წელს მიღებულ მოსავალს, რაც განპირობებულია მთელ საცდელ ნაკვეთზე შექმნილი მაღალი აგროტექნიკური ფონით. გაიზარდა მოსავალი აზოტ-კალიუმიანი სასუქების შეტანის ვარიანტზეც და 2395 კგ/ჰა შეადგინა. ფოსფორიანი სასუქების მზარდი დოზების ყოველწლიური შეტანა მოსავლის მნიშვნელოვან მატებას იძლევა. N300K100 – ის ფონზე შეტანილი ფოსფორიანი სასუქები ჩაის ფოთლის მოსავლის შემდეგ მატებას იძლევიან: P 60 კგ/ჰა ყოველწლიურად შეტანისას – 479 კგ/ჰა ანუ 20%;

ფოსფორის დოზის გაზრდამ P120 კგ/ჰა-მდე ასევე გაზარდა ჩაის ფოთლის მოსავალი როგორც ფონის, ისე წინა დოზასთან (P60) შედარებით. მატებამ ფონთან შედარებით 910 კგ/ჰა ანუ 38% შეადგინა, ხოლო, წინა დოზასთან შედარებით 431 კგ/ჰა ანუ 14,9%;

კიდევ უფრო მაღალია მოსავალი P180 კგ/ჰა ყოველწლიურად შეტანის ვარიანტზე, რომელზეც ჩაის ფოთლის მოსავალი 3832 კგ-ია ჰექტარზე; მატება ფონთან შედარებით 1437 კგ/ჰა ანუ 60%; წინა დოზასთან (P120 კგ/ჰა) შედარებით კი მატება – 527 კგ/ჰა ანუ 16%;

ფოსფორის დოზის შემდგომმა გაზრდამ P240 კგ/ჰა-მდე, კიდევ უფრო გაზარდა მოსავალი, რომელმაც შეადგინა – 3952 კგ/ჰა; მატება ფონთან შედარებით 1557 კგ/ჰა ანუ 65%-ია, ხოლო, წინა დოზასთან შედარებით მხოლოდ 120 კგ/ჰა ანუ 8,3%;

2006 წელს წინა ორ წელთან შედარებით, ცდის ყველა ვარიანტზე მიღებულია მაღალი მოსავალი, რაც მაღალ აგროტექნიკურ ფონთან ერთად ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გავლენით უნდა აიხსნას. სუპერფოსფატის მზარდი დოზების ყოველწლიურად შეტანის ვარიანტებიდან საუკეთესოა NK+P 180 კგ/ჰა, სადაც ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალმა 4592 კილოგრამი შეადგინა ჰექტარზე; მატება ფონთან შედარებით 2012 კგ/ჰა ანუ 78%-ია, წინა დოზასთან (P120 კგ/ჰა) შედარებით – 825 კგ/ჰა ანუ 21,9%; ფოსფორის შემდეგი დოზა – P240 კგ/ჰა, ასევე დადებითად მოქმედებს მოსავლის სიდიდეზე, მაგრამ მატება წინა დოზასთან შედარებით დაბალია. ფოსფორის აღნიშნული

დოზის შეტანის შემთხვევაში ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის მატებამ N300K100 ვარიანტთან შედარებით შეადგინა 2038 კგ/ჰა ანუ 79%, ხოლო, წინა დოზასთან (P180 კგ/ჰა) შედარებით მხოლოდ 26 კგ/ჰა ანუ 0,6%;

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ შეტანილი სასუქების, ჩვენს შემთხვევაში – ფოსფორიანი სასუქის ეფექტიანობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ ყოველი 1 კგ შეტანილი სასუქისაგან (მოქმედი ნივთიერება) მიღებული მოსავლის მატებით. ამ თვალსაზრისით, ფოსფორიანი სასუქების ყოველწლიურად შეტანის სხვადსხვა დოზებიდან ეფექტური აღმოჩნდა - P180 კგ/ჰა, რომლის შეტანით (N300K100-ის ფონზე), ყოველ ერთ კილოგრამ ფოსფორზე მიღებულმა მოსავლის მატებამ შეადგინა 11,2 კილოგრამი. ფოსფორის შემდეგი დოზა - P240 კგ/ჰა, ასევე დადებითად მოქმედებს მოსავლის სიდიდეზე, მაგრამ მატება წინა დოზასთან შედარებით ნაკლებია (8,9 კგ).

მე-10 ცხრილიდან ჩანს, რომ მინდვრის ცდის დაყენების შემდეგ საკონტროლო ვარიანტზე, სადაც არ შეიტანებოდა სასუქები, მოსავალი ყოველწლიურად იზრდებოდა და ცდის დაყენებიდან მესამე წელს 1400 კგ/ჰა მიაღწია.

ჩაის ფოთლის მოსავლის დონეზე გავლენა მოახდინა არა მარტო შეტანილმა სასუქებმა და ხელსაყრელმა მეტეოროლოგიურმა პირობებმა, არამედ, აგრეთვე ჩაის პლანტაციაში განხორციელებულმა აგროტექნიკური დონისძიებების მაღალმა ფონმა. უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ფინანსურად გაუჭირდა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს. აღნიშნულის გამო, ჩვენს მიერ შერჩეულ საცდელ ნაკვეთზე მინდვრის ცდის დაყენებამდე არ ხდებოდა სასუქების შეტანა და არ ტარდებოდა ჩაის პლანტაციის მოვლის აგროტექნიკური დონისძიებები; ჩვენს მიერ ჩატარებული დონისძიებების (სისტემატური გაწმენდა სარეველებისაგან, საზამთრო გადაბარვა, მწვრივთაშორისების რეგულარული გაფხვიერება, გასხვლა) შედეგად გაუმჯობესდა ჩაის კვების პირობები, რამაც განაპირობა ჩაის პლანტაციის მოსავლიანობის კანონზომიერი ზრდა.

11-ე ცხრილში მოტანილია ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის სამი წლის საშუალო მონაცემები, როგორც კილოგრამობით პექტარზე, ისე პროცენტობით; ცხრილიდან ჩანს, რომ სამი წლის საშუალო მონაცემებით ძირითადად

სუპერფოსფატის მზარდი დოზების გავლენა ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალზე

| ვარიანტი | მოსავალი, (2004+2005+2006 წლების ჯამი), კგ/ჰა | მოსავალი, 2004-2006 წლების საშუალო, კგ/ჰა | 2004-2006 წლების საშუალო მოსავლის მატება; | | |
|-------------------------------|--|---|--|----|--------------------------------|
| | | | კგ/ჰა | % | 1 კგ P2O5 – ბე, კგ-ობით; |
| უსასუქო- საკონტროლო | 3670 | 1223 | - | - | - |
| N300K100 – ფონი | 6595 | 2198 | - | - | - |
| NK+P 60 | 7985 | 2661 | 463 | 22 | 7,7 |
| NK+P 120 | 9227 | 3076 | 878 | 40 | 7,3 |
| NK+P 180 | 10789 | 3596 | 1398 | 64 | 7,8 |
| NK+P 240 | 11081 | 3694 | 1496 | 68 | 6,2 |
| NK+P 360 3 წელში ერთხელ | 9921 | 3307 | 1109 | 50 | 9,2 |
| NK+P 540 3 წელში ერთხელ | 11115 | 3705 | 1507 | 69 | 8,4 |
| P, % | | | 6,4 | | |
| უ.ა.ს.(0,95), კ/ჰა | | | 230 | | |

შენარჩუნებულია ცალკეულ წლებში მიღებული კანონზომიერებანი ფოსფორიანი სასუქების გავლენის შესახებ ჩაის ფოთლის მოსავალზე.

11-ე ცხრილიდან ჩანს, რომ დაბალია მოსავალი უსასუქო ვარიანტზე – 1223 კგ/ჰა; შესამჩნევად არის გაზრდილი მოსავალი აზოტ-კალიუმიანი სასუქების

შეტანით, სადაც მატებამ უსასუქოსთან შედარებით შეადგინა 975 კგ/ჰა ანუ 79,7%;

ფოსფორიანი სასუქების - P_2O_5 60 - 240 კგ/ჰა შეტანით (ყოველწლიურად) მოსავლის საშუალო მატებამ ფონთან შედარებით შეადგინა 463-1496 კგ/ჰა ანუ 22-68%.

ფოსფორიანი სასუქების გამოცდილი დოზებიდან საუკეთესო აღმოჩნდა დოზა P_2O_5 180 კგ/ჰა ყოველწლიური შეტანა. ფოსფორის შემდეგი დოზა - P_2O_5 240 კგ/ჰა, ასევე დადებითად მოქმედებს მოსავლის სიდიდეზე, მაგრამ მატება წინა დოზასთან შედარებით უმნიშვნელოა.

აღნიშნულ მინდვრის ცდაში, სუპერფოსფატის ყოველწლიურად შეტანასთან ერთად ცდის სქემის მიხედვით გათვალისწინებულია ფოსფორის მაღალი დოზების – 360 და 540 კგ/ჰა P_2O_5 -ის ერთდროულად შეტანის გარიანტები.

ცხრილიდან ჩანს, რომ ვარიანტზე – P_2O_5 120 კგ/ჰა დოზის ყოველწლიურად შეტანის პირობებში, სადაც ცდის ჩატარების სამი წლის განმავლობაში უკვე შეტანილია 360 კგ P_2O_5 ჰექტარზე, მოსავლის მატებამ ცდის ჩატარების მეორე წელს (2005 წ.) შეადგინა - 38%, ხოლო, მესამე წელს (2006 წ.) - 46% (ცხრილი 10);

ვარიანტზე, სადაც სამი წლის დოზა (P_2O_5 -360 კგ/ჰა) შეტანილია ერთჯერად (2004 წ.) და დატოვებულია შემდეგმედებაზე, მოსავლის მატებამ შესაბამისად შეადგინა – 52% (მეორე წელს) და 43% (მესამე წელს). მაშასადამე, აღნიშნული ვარიანტი, ბოლო 2 წლის განმავლობაში მიღებული მოსავლის მატების მიხედვით აჭარბებს ყოველწლიურად შეტანის ვარიანტს (პირდაპირქმედების ვარიანტს).

ვარიანტზე – $NK+P_2O_5$ 180 კგ/ჰა, სადაც ცდის ჩატარების სამი წლის განმავლობაში შეტანილმა ფოსფორიანმა სასუქმა ჯამში შეადგინა 540 კგ P_2O_5 ჰექტარზე, მოსავლის მატებამ 2005 წელს შეადგინა 60%, ხოლო 2006 წელს 78%; ვარიანტზე, სადაც 540 კგ/ჰა P_2O_5 შეტანილია ერთჯერადად და დატოვებულია შემდეგმედებაზე, მოსავლის მატებამ წლების მიხედვით შესაბამისად შეადგინა 68 და 70%, ე.ი. ფოსფორიანი სასუქების ერთდროული შეტანა არ განსხვავდება ყოველწლიური შეტანისაგან, ისინი პრაქტიკულად ერთნაირია. თუმცა, ცდის ჩატარების სამი წლის განმავლობაში საცდელი კულტურების შეჯამებული პროდუქტიულობა ფოსფორიანი სასუქის პერიოდელად შეტანის ვარიანტებზე

გაცილებით მაღალი იყო, მათი ყოველწლიურად შეტანასთან შედარებით (ცხრილი 11);

ამრიგად, ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ წითელმიწა ნიადაგში სამი წლის განმავლობაში ყოველწლიურად შეტანილი P_2O_5 180 კგ/ჰა ითვლება ოპტიმალურ დოზად, რომელიც უზრუნველყოფს ჩაის ფოთლის მაღალი, სტაბილური მოსავლის მიღებას. აღნიშნულ დოზას უპირატესობა გააჩნია ფოსფორის შედარებით დაბალი დოზის - P_2O_5 120 კგ/ჰა ყოველწლიურად შეტანის ვარიანტთან შედარებით.

საუკეთესო აღმოჩნდა ასევე ვარიანტი $NK+P_2O_5$ 540 კგ/ჰა, სადაც აღნიშნული დოზა შეტანილია ერთდროულად სამ წელში ერთხელ და დატოვებულია შემდეგქმედებაზე. ფოსფატების ხანგრძლივი ეფექტური შემდეგქმედება წითელმიწა ნიადაგზე ჩაის პლანტაციის პირობებში, უნდა განვიხილოთ, როგორც ფოსფორიანი სასუქის გამოყენების კოეფიციენტის ამაღლების ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორი.

მე-10 და 11-ე ცხრილებში მოტანილია ცდის სიზუსტის დამახასიათებელი ძირითადი მაჩვენებლები:

1) ცდის სიზუსტე. ჩვენს შემთხვევაში:

$$P = 6,5\% \quad (2004 \text{ წ.});$$

$$P = 7,0\% \quad (2005 \text{ წ.});$$

$$P = 7,4\% \quad (2006 \text{ წ.});$$

მრავალწლიანი კულტურებისთვის დასაშვებია ცდის სიზუსტე 7–8%-მდე. ჩვენს შემთხვევაში, წლების მიხედვით მიღებული მაჩვენებლები მიუთითებს, რომ ფოსფორის მზარდი დოზების ეფექტურობაზე დაყენებული მინდვრის ცდა მთლიანობაში ზუსტია და მიღებული შედეგები დამაჯერებელია.

2) უმცირესი არსებული სხვაობა (უ.ა.ს.)

ცნობილია, რომ თუკი რომელიმე შესაძარებელ წყვილ ვარიანტს შორის სხვაობა აჭარბებს უმცირეს არსებულ სხვაობას (უ.ა.ს.), მაშინ ამ ვარიანტებს შორის არსებული სხვაობა სარწმუნოა, დამაჯერებელია. ჩვენს შემთხვევაში:


უ.ა.ს. = 148 კგ/ჰა (2004 წ.);

უ.ა.ს. = 225 კგ/ჰა (2005 წ.);

უ.ა.ს. = 314 კგ/ჰა (2006 წ.);

როგორც მე-10 ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ფოსფორის დოზების ყველა ვარიანტი მოსავლის მატების მაჩვენებლის მიხედვით განსხვავდება „საკონტროლოსაგან“ და „ფონისაგან“ უფრო მეტად, ვიდრე უ.ა.ს. –ის მაჩვენებლებია.

სუპერფოსფატის მზარდი დოზების გავლენა ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალზე აჭარის ტიპურ წითელმიწა ნიადაგზე (ჩაქვი) თვალსაჩინოდ არის გამოხატული მე-4 დიაგრამაზე. დიაგრამიდან ჩაის, რომ ფოსფორიანი სასუქები დადებითად მოქმედებენ ჩაის ფოთლის მოსავალზე; ფოსფორიანი სასუქის ყოველწლიურად შეტანის პირობებში ჩაის პლანტაციაში ოპტიმალურია დოზა NK+ P₂O₅ 180 კგ/ჰა,



დიაგრამა 4. ფოსფორიანი სასუქების მზარდი დოზების გავლენა ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალზე.
(2004-2006 წ.წ. საშუალო); ჩაქვი, ტიპური წითელმიწა;

3.2. ფოსფორიანი სასუქების გავლენა ჩაის ფოთლის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე

ჩაის ბუჩქი მიეკუთვნება იმ მცენარეთა რიცხვს, რომლებიც საკმაოდ მგრძნობიარეა ნიადაგში შეტანილი სასუქებისადმი. სასუქების მოქმედება, მათი დოზებისგან დამოკიდებულებით, საკმაოდ მკვეთრად მუდავნდება არა მარტო ჩაის ფოთლის საერთო მოსავალზე, არამედ აგრეთვე, ფოთლის და მზა პროდუქციის შედგენილობასა და ხარისხზე. ლიტერატურაში არსებობს ურთიერთ საწინააღმდეგო მოსაზრება ჩაის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე სასუქების მოქმედებასთან დაკავშირებით. მკვლევარების ერთი ნაწილი, ჩაის ნედლეულისა და მზა პროდუქციის ხარისხის დაცემის მიზეზად აზოტის, ფოსფორის და კალიუმის გამოყენებას მიიჩნევს, რადგანაც ამ დროს ადგილი აქვს: ტანინების შებოჭვას და მათ უხსნად მდგომარეობაში გადასვლას ფერმენტაციის პროცესში, ვეგეტატიური ორგანოების გაძლიერებულ ზრდას, დუების გაღარიბებას ტანინით და ექსტრაქტული ნივთიერებებით. სხვები ამას უარყოფენ და აღნიშნულ სასუქებს თვლიან ჩაის ხარისხზე დადებითად მოქმედ ფაქტორებად (გამყრელიძე, 1942; გაბუნია, 1948; ურუშაძე, 1954; ბახტაძე, 1971).

ფოსფორის რთული ორგანული შენაერთების როლი ჩაის ფოთლის ნივთიერებათა ცვლაში და მათი გავლენა ჩაის ხარისხზე შესწავლილია მრავალი მეცნიერის მიერ. დადგენილია, რომ ფოსფორის დოზების გაზრდა იწვევს ფოსფორული ეთერების – შაქრების შემცველობის ამაღლებას, მარტივი შაქრების ხარჯვის გაძლიერებას და ფოთლების მიერ ტანინის გამომუშავების უნარის ამაღლებას. ფოსფორმჟავა მონაწილეობს ნახშირმჟავა კომპლექსის მთრიმლავ ნივთიერებად გარდაქმნაში (ნიუარაძე, 1946; კურსანოვი, 1952; ნაკაიძე, 1962). გამოვლენილია აგრეთვე კონცენტრირებული (ორმაგი სუპერფოსფატი, პრეციპიტატი) და თერმული, ქიმიურად ნეიტრალური (ფოსფატწილა, ფტორმოცილებული ფოსფატი) ფოსფატების უპირატესობა ფიზიოლოგიურად მჟავე სუპერფოსფატთან შედარებით, რაც გამოიხატა კარგი ხარისხობრივი მაჩვენებლების მქონე ჩაის ფოთლის მაღალი მოსავლის მიღებაში (ონიანი, 1962; 1974).

ფოსფორიანი სასუქების დადებითი გავლენა ჩაის ფოთლის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დადგენილ იქნა ასევე გ.ნ.მარგაველაშვილის (1970) მიერ იმერეთის პირობებში და ნ.ო.კიქნაძის (2003) მიერ ანსეულის წითელმიწა ნიადაგზე.

ა.ნ.ნიუარაძე (1946) აღნიშნავს, რომ „ფოსფორიანი სასუქების შეტანა ამაღლებს ფოსფორული ეთერების შემცველობას ჩაის ფოთლებში და ამით ამაღლებს ფოთლების უნარს გამოიმუშავოს ტანინები”. ა.ჯ.მენალარიშვილი (1966) თავისი გამოკვლევების საფუძველზე მიუთითებს, რომ ჩაის ფოთლის ხარისხზე დადებითად მოქმედებს პირველ რიგში ფოსფორი, შემდეგ მოდის კალიუმი და აზოტი და ბოლო ადგილი უჭირავს ცდის უსასუქო ვარიანტს. კალიუმიანი სასუქები ხელს უწყობენ ტანინების, ექსტრაქტული ნივთიერებების, კოფეინის, ნაცრის ელემენტების, ქლოროფილის შემცველობის გადიდებას და ამცირებს ნახშირწყლების რაოდენობას (ონიანი, 1957; ნაცაიძე, 1962). არსებობს საწინააღმდეგო შეხედულებაც, რომ კალიუმიანი სასუქები უარყოფით გავლენას ახდენენ ჩაის ფოთლის ხარისხზე, ამცირებენ მასში ტანინების შემცველობას (გაბუნია, 1948).

რიგმა მკვლევარებმა – ვ.ე.ვორონცოვმა (1946), ი.ა.ხოჭოლავამ (1947) და სხვებმა დაადგინეს კავშირი ჩაის ხარისხსა და მის ძირითად შემადგენელ ნაწილებს – კოფეინს, ტანინებს, ხსნადი ნივთიერებების ჯამსა და ნაცრის ელემენტებს შორის. კერძოდ, ტანინების შემცველობა ერთიდაიგივე ჯიშის ჩაიში, ყველა დანარჩენ თანაბარ პირობებში, პირდაპირ დამოკიდებულებაშია ჩაის ხარისხისაგან, რადგანაც, რამდენადაც ახალგაზრდაა ფოთლი, მით მეტ მორიმლავ ნივთიერებებს შეიცავს იგი. მთრიმლავი ნივთიერებები წარმოადგენენ თავისებურ ძირითად გემოვნებით ბაზას, რომლის ფონზე წარმოიქმნება არომატული და დამატებითი გემოვნებითი საწყისები (ვორონცოვი, 1946).

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა ფოსფორიანი სასუქების მზარდი დოზების გავლენა ჩაის ფოთლის ძირითად ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. საანალიზოდ აღებული იქნა ორ-სამ ფოთლიანი დუყები, რომლებშიც განისაზღვრა ტენი, მშრალი ნივთიერება, ტანინი და ექსტრაქტული ნივთიერებები.

12-ე ცხრილიდან ჩანს, რომ ტენის რაოდენობა ჩაის 2-3 ფოთლიან დუყებში ყველაზე მაღალია მაისის თვეში და იგი ორი წლის საშუალო მონაცემებით 77-78%-ის ფარგლებში მერყეობს. საგეგეტაციო პერიოდის განმავლობაში თვეების მიხედვით ტენის შემცველობა თანდათან იკლებს და ყველაზე დაბალია აგვისტოს თვეში – 70-71%; რაოქმაუნდა, შესაბამისად აგვისტოში მაღალია მშრალი ნივთიერების შემცველობა.

ფოსფორიანი სასუქების მზარდი დოზების გავლენა ჩაის მწვანე ფოთოლში ტენისა და მშრალი ნივთიერების
შემცველობაზე, % 2005-2006 წ.წ.საშუალო

| ვარიანტი | მაისი | | ივნისი | | ივლისი | | აგვისტო | | სექტემბერი | |
|-------------------------------|-------|---------------------------|--------|---------------------------|--------|---------------------------|---------|---------------------------|------------|---------------------------|
| | ტენი | მშრალი ნივთიე- რება | ტენი | მშრალი ნივთიე- რება | ტენი | მშრალი ნივთიე- რება | ტენი | მშრალი ნივთიე- რება | ტენი | მშრალი ნივთიე- რება |
| უსასუქო- საკონტროლო | 77,9 | 22,1 | 77,0 | 23,0 | 75,0 | 25,0 | 70,0 | 30,0 | 75,8 | 24,2 |
| N300K100- ფონი | 77,5 | 22,5 | 77,0 | 23,0 | 75,3 | 24,7 | 71,0 | 29,0 | 76,0 | 24,0 |
| NK+P 60 | 77,9 | 22,1 | 77,2 | 22,8 | 75,0 | 25,0 | 70,0 | 30,0 | 75,9 | 24,1 |
| NK+P 120 | 78,5 | 21,5 | 76,8 | 23,2 | 75,4 | 24,6 | 70,2 | 29,8 | 76,0 | 24,0 |
| NK+P 180 | 77,9 | 22,1 | 76,5 | 23,5 | 75,3 | 24,7 | 70,0 | 30,0 | 76,0 | 24,0 |
| NK+P 240 | 77,6 | 22,4 | 77,0 | 23,0 | 75,0 | 25,0 | 71,0 | 29,0 | 75,9 | 24,1 |
| NK+P 360 3 წელში ერთხელ | 78,4 | 21,6 | 77,3 | 22,7 | 75,9 | 24,1 | 71,0 | 29,0 | 75,8 | 24,2 |
| NK+P 540 3 წელში ერთხელ | 78,5 | 21,5 | 77,6 | 22,4 | 75,8 | 24,2 | 71,0 | 29,0 | 75,9 | 24,1 |

სუპერფოსფატის სხვადასხვა დოზების გავლენა ჩაის ახალგაზრდა ყლორტებში ტანინისა და ექსტრაქტული ნივთიერებების შემცველობაზე ნაჩვენებია 12-ე და 13-ე ცხრილებში. მოგრანილი მონაცემების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ჩაის დუექტი უზრუნველყოფილია ტანინით. უსასუქო ვარიანტზეც კი მისი შემცველობა 2005-2006 წლებში 18,5-23% აღწევს. ამასთან, ტანინის შემცველობის მიხედვით, ფონის ვარიანტი რამდენადმე ჩამორჩება უსასუქოს და იგი 17,8-21,9%-ის ფარგლებში მერყეობს. აღნიშნულის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს აზოტიანი სასუქების უარყოფითი გავლენა ჩაის ფოთოლში ტანინების შემცველობაზე. აღნიშნული ეფექტი კიდევ უფრო დრმავდება იმ გარემოებით, რომ ფონის ვარიანტზე აზოტი იმყოფება კალიუმთან (და არა ფოსფორთან) შეთანაწყობაში, რომელიც ასევე ამცირებს ხსნადი ტანინის რაოდენობას და იწვევს ჩაის ფოთლის ხარისხის გაუარესებას. უსასუქო ვარიანტზე სამივე ძირითადი საკვები ელემენტის (N,P,K) შემცველობა მეტნაკლებად დარეგულირებულ მდგომარეობაშია. ფონის ვარიანტზე კი ნიადაგის ფოსფორს არ ძალუქს წინააღმდევგობა გაუწიოს მარტოოდენ აზოტ-კალიუმიანი სასუქების შეტანით გამოწვეულ არასასურველ ცვლილებებს ჩაის ნედლეულის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

უსასუქო და ფონის ვარიანტთან შედარებით, ხსნადი ტანინის რაოდენობა შესამჩნევად იმატებს ფოსფორიანი სასუქების შეტანის ვარიანტებზე. NK+P 60 კგ/ჰა შეტანის ვარიანტზე ტანინის შემცველობამ 2005 წლის აგვისტოში შეადგინა 24,6%; NK+P 120 ვარიანტზე – 25,5, ხოლო, NK+P 180 და NK+P 240 ვარიანტებზე შესაბამისად – 26,0 და 26,2%; ანალოგიური კანონზომიერება აღინიშნა 2006 წელსაც. ტანინის ყველაზე მაღალი პროცენტული შემცველობა აღინიშნა P180 და P 240 კგ/ჰა ვარიანტებზე, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს შეტანილი ფოსფორიანი სასუქის ხელსაყრელ გავლენას (NK – სასუქებთან შეთანაწყობით) ჩაის ფოთოლში ტანინის სინთეზის გაძლიერებაზე.

უსასუქო და ფონის ვარიანტებთან შედარებით P 360 და P540 3 წელში ერთხელ შეტანის ვარიანტებზე აღინიშნა ჩაის დუექტი ტანინის რაოდენობის 4-5%-ით გაზრდა. ტანინის შემცველობის მიხედვით ვარიანტი - P 360 კგ/ჰა 3 წელში ერთხელ შეტანით – უტოლდება P 120 კგ/ჰა ყოველწლიურად შეტანის ვარიანტს, ხოლო, ვარიანტი - P540 კგ/ჰა 3 წელში ერთხელ შეტანა – უტოლდება P 180 კგ/ჰა ყოველწლიურად შეტანის ვარიანტს.

ფოსფორიანი სასუქების მზარდი დოზების გავლენა ჩაის მწვანე ფოთოლში ტანინის შემცველობაზე, %-ობით
აბსოლუტურად მშრალ ნივთიერებაზე

| ვარიანტი | 2005 წელი | | | | | 2006 წელი | | | | |
|--------------------|-----------|--------|--------|---------|------------|-----------|--------|--------|---------|------------|
| | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი |
| უსასუქო-საკონტროლო | 18,7 | 20,5 | 22,0 | 23,0 | 22,0 | 18,5 | 20,1 | 21,6 | 22,9 | 22,2 |
| N300K100-ფონი | 18,0 | 19,6 | 21,5 | 21,8 | 21,6 | 17,8 | 19,0 | 20,2 | 21,9 | 21,7 |
| NK+P 60 | 19,3 | 22,0 | 24,0 | 24,6 | 24,2 | 19,5 | 21,5 | 23,0 | 24,7 | 24,4 |
| NK+P 120 | 20,1 | 22,4 | 24,9 | 25,5 | 25,0 | 20,7 | 22,7 | 24,4 | 25,7 | 25,3 |
| NK+P 180 | 21,5 | 23,0 | 25,1 | 26,0 | 25,4 | 21,9 | 23,4 | 25,7 | 26,1 | 26,0 |
| NK+P 240 | 22,0 | 23,5 | 25,3 | 26,2 | 25,8 | 22,0 | 23,8 | 25,7 | 26,3 | 26,1 |
| NK+P 360 | | | | | | | | | | |
| 3 წელში ერთხელ | 21,7 | 23,5 | 25,0 | 26,0 | 25,5 | 20,5 | 22,9 | 24,5 | 25,9 | 25,2 |
| NK+P 540 | | | | | | | | | | |
| 3 წელში ერთხელ | 23,0 | 24,0 | 25,2 | 26,5 | 26,0 | 21,6 | 23,0 | 25,8 | 26,2 | 26,0 |

13-ე ცხრილიდან ჩანს, რომ ჩაის მცენარის ვებგეტაციის პერიოდში ტანინის შემცველობა დუყებში მაისიდან დაწყებული ყოველთვიურად იზრდება და მაქსიმუმს აღწევს აგვისტოში. აღნიშნული კანონზომიერება შენარჩუნებულია ცდის ყველა ვარიანტზე.

საცდელი ნაკვეთიდან, ცდის ვარიანტების მიხედვით აღებულ ჩაის დუყებში, ექსტრაქტული ნივთიერებების შემცველობა საკმარისი რაოდენობითაა (36,5-44,5%); ვარიანტების მიხედვით მათი განაწილება ემთხვევა ტანინის განაწილების კანონზომიერებებს: ფონის ვარიანტი რამდენადმე ჩამორჩება უსასუქოს, რაც NK სასუქების უარყოფითი გავლენის შედეგია. მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ექსტრაქტული ნივთიერებები ფოსფორიანი სასუქების მაღალი დოზების შეტანის ვარიანტებზე. ასე, მაგალითად, ვარიანტზე – NK+P 60 კგ/ჰა – ექსტრაქტული ნივთიერებების შემცველობა დუყებში 2006 წლის აგვისტოში – 39,8%-ია; P120 კგ/ჰა ვარიანტზე – 42,1; P180 კგ/ჰა ვარიანტზე – 43,6% და P 240 კგ/ჰა ვარიანტზე – 44,5%; მოტანილი ციფრობრივი მაგალითიდან ჩანს, რომ აზოტ-კალიუმიანი სასუქების ფონზე შეტანილი ფოსფორიანი სასუქი მნიშვნელოვნად ზრდის ექსტრაქტული ნივთიერებების შემცველობას ჩაის ფოთოლში, რითაც აუმჯობესებს ნედლეულის ხარისხს (ცხრილი 14).

ისე როგორც ტანინის, ექატრაქტული ნივთიერებების შემცველობაც ჩაის დუყებში განიცდის სეზონურ ცვალებადობას. მათი მინიმალური რაოდენობა აღინიშნება მაისში, ხოლო, მაქსიმალური აგვისტოში. ასე, მაგალითად, ვარიანტზე – NK+P 180 კგ/ჰა – ექსტრაქტული ნივთიერებების შემცველობა ჩაის დუყებში 2006 წლის ვებგეტაციის პერიოდში შემდგნაირად იცვლებოდა: მაისი – 40,5; ივნისი – 41,8; ივლისი – 43,3; აგვისტო – 43,6 და სექტემბერი – 43,2% (ცხრილი 24).

13-ე და 14-ე ცხრილის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ფოსფორიანი სასუქების შეტანის ორივე წესი – ყოველწლიური და პერიოდული შეტანა – ჩაის ფოთლის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე მოქმედების მიხედვით თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. 2006 წლის აგვისტოში ვარიანტზე – NK+P180 კგ/ჰა (ყოველწლიური შეტანა), სადაც სამი წლის განმავლობაში შეტანილმა ფოსფორის რაოდენობამ შეადგინა 540 კგ/ჰა, ექსტრაქტული ნივთიერებების შემცველობა – 43,6%-ია; ხოლო, ვარიანტზე – P 540 კგ/ჰა, რომელიც შეტანილი იყო ცდის დაყენების პირველ წელს და შემდეგ დატოვებული შემდეგმედებაზე, ექსტრაქტული ნივთიერების რაოდენობამ შეადგინა 43,5%;

ცხრილი 14

ფოსფორიანი სასუქების მზარდი დოზების გავლენა ჩაის მწვანე ფოთოლში ექსტრაქტული ნივთიერებების
შემცველობაზე, %-ობით აბსოლუტურად მშრალ ნივთიერებაზე

| ვარიანტი | 2005 წელი | | | | | 2006 წელი | | | | |
|--------------------|-----------|--------|--------|---------|------------|-----------|--------|--------|---------|------------|
| | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი |
| უსასუქო-საკონტროლო | 37,5 | 37,7 | 38,0 | 38,9 | 38,0 | 37,3 | 37,8 | 38,2 | 39,0 | 38,3 |
| N300K100-ფონი | 36,7 | 37,0 | 37,2 | 37,7 | 37,3 | 36,5 | 37,2 | 37,5 | 37,9 | 37,5 |
| NK+P 60 | 38,5 | 39,0 | 39,3 | 39,5 | 38,9 | 38,4 | 39,1 | 39,4 | 39,8 | 39,6 |
| NK+P 120 | 39,7 | 40,7 | 41,5 | 41,9 | 41,2 | 39,5 | 41,0 | 41,7 | 42,1 | 41,5 |
| NK+P 180 | 40,8 | 41,4 | 43,2 | 43,5 | 43,0 | 40,5 | 41,8 | 43,3 | 43,6 | 43,2 |
| NK+P 240 | 42,0 | 43,0 | 44,0 | 44,2 | 44,0 | 41,8 | 42,7 | 44,0 | 44,5 | 44,0 |
| NK+P 360 | | | | | | | | | | |
| 3 წელი ერთხელ | 41,0 | 41,5 | 43,3 | 43,7 | 43,2 | 40,0 | 41,1 | 41,5 | 42,0 | 41,4 |
| NK+P 540 | | | | | | | | | | |
| 3 წელი ერთხელ | 43,0 | 43,5 | 44,2 | 44,5 | 44,0 | 40,4 | 42,0 | 43,0 | 43,5 | 43,3 |

ამრიგად, მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს ერთხელ კიდევ დავრწმუნდეთ ფოსფატების მაღალი დოზების (კერძოდ P 540 კგ/ჸა) პერიოდულად შეტანის მიზანშეწონილობაში, რაც არ გულისხმობს მათი მცირე დოზებით – P₆ 180 კგ/ჸა ყოველწლიურად შეტანის უგულვებელყოფას. ფოსფორიანი სასუქების გამოყენების აღნიშნული წესები უზრუნველყოფენ ჩაის ფოთლის მაღალი და ხარისხობრივი მოსავლის მიღებას ხანგრძლივად განოყიერებულ წითელმიწა ნიადაგებზე. ამასთან, ფოსფორიანი სასუქების შეტანის აღნიშნული წესების შედარებისას, შეიძლება აღინიშნოს პერიოდულად შეტანის უპირატესობა ყოველწლიურად შეტანასთან შედარებით..

3.3. ძირითადი საკვები ელემენტების (NPK) შემცველობა და გამოტანა ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლით

საკვები ელემენტების საერთო შემცველობა მცენარეში წარმოდგენას გვაძლევს საკვები ნივთიერებებით ნიადაგის უზრუნველყოფის დონეზე სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში. საკვები ელემენტების საერთო შემცველობის გარდა საზღვრავენ აგრეთვე მათ მიხერალურ ფორმებს. ამასთან, საკვები ელემენტების განსაზღვრა უფრო სასარგებლო ინფორმაციას იძლევა ამ ელემენტებით მცენარის უზრუნველყოფის შესახებ, და მით უმეტეს, თუ განსაზღვრა ტარდება სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში მცენარის განვითარების ფაზების მიხედვით.

ბალანსის შესწავლის პირველი ეტაპია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიერ საკვები ნივთიერებების გამოტანის აღრიცხვა. ნიადაგიდან საკვები ელემენტების გამოტანა მოსავლით სამართლიანად ითვლება გასავლის ძირითად სტატიად საკვები ნივთიერებების ბალანსში. მოსავლის მიერ გატანილი ელემენტების რაოდენობის განსაზღვრა კი საქმაოდ რთულ საქმედ ითვლება.

ცნობილია, რომ ერთიდაიმავე სახის და ჯიშის კულტურული მცენარეების ქიმიური შედგენილობა მუდმივი არ არის. იგი მეტნაკლებად მნიშვნელოვნად იცვლება ნიადაგურ-კლიმატური და ამინდის პირობების, აგროტექნიკის დონის, გამოყენებული სასუქების დოზების და შეთანაწყობის, აგრეთვე, სხვა გარემოებებისაგან დამოკიდებულებით. მცენარის ორგანოებში საკვები ნივთიერებების შემცველობის ცოდნა საშუალებას იძლევა განისაზღვროს აღნიშნული ნივთიერებების გამოტანა მოსავლით.

მრავალრიცხვანი გამოკვლევებით დადგენილია, რომ სასუქების გამოყენება არსებითად ცვლის საკვები ელემენტების რაოდენობას მოსავალში, როგორც წესი, ზრდის გამოტანას (ჭანიშვილი, 1953; ურუშაძე, 1954; სარიშვილი, მენადარიშვილი, ნაკაიძე, 1960; გამყრელიძე, ბზიავა, გაბისონია, 1961; ზარდალიშვილი, 1977; ონიანი, მარგველაშვილი, 1981; 1983; მარგველაშვილი, 1981; 1989; გეტმანეცი და სხვა, 1979; 1986; და მრავალი სხვა).

ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო – საწარმოო გაერთიანების და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის აგროქიმიის და ზოგადი მიწათმოქმედების კათედრის მიერ ჩაის

კულტურაზე ჩატარებული ცდებით დადგენილია ნიადაგიდან ყოველი ტონა ჩაის ფოთლის მოსავლით საკვები ელემენტების გამოტანის მაჩვენებლები.

ჩაის კულტურა მომთხოვნია კვების ელემენტების მიმართ. როგორც მრავალწლიან მარადმწვანე მცენარეს, ნიადაგიდან ყოველწლიურად გამოაქვს ერთიდაიგივე საკვები ნივთიერებანი, დაახლოებით ერთიდაიმავე შეფარდებით.

ხარისხიანი ჩაის ფოთოლი, რომლის სახითაც იკრიფება მოსავალი, შეიცავს 4,5-5% აზოტს, 1,2% ფოსფორს და 2,1% კალიუმს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გ.ნ.ურუშაძის (1954) მონაცემებით, საშუალო მოსავლიან ჩაის პლანტაციას, რომელიც 4000-5000 კგ ჩაის მწვანე ფოთოლს იძლევა ჰექტარზე, მოსავალთან ერთად გამოაქვს 55 კგ აზოტი, 12 კგ ფოსფორი და 22 კგ კალიუმი. დაახლოებით ასეთი რაოდენობის საკვები ელემენტები გამოიტანება ჩაის უხეში ფოთლის (ლაო-ჩას მოსამზადებელი მასალა) მოსავლით და ნასხლავი მასალით. საკვები ელემენტების მნიშვნელოვანი რაოდენობა მოიხმარება ჩაის მცენარის მიერ ბუჩქის ცალკეული ორგანოების ფორმირებისთვის (ბუჩქზე დარჩენილი ფოთლები, ყლორტები, ტოტები, ყვავილები, თესლი და ფესვები). ამრიგად, საშუალო მოსავლიანი ჩაის პლანტაცია ყოველწლიურად ხარჯავს 150 კგ აზოტს, 25 კგ ფოსფორს და 50 კგ კალიუმს ჰექტარზე; აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული აგრეთვე აღნიშნული ელემენტების მოხმარება ნიადაგის მიკროორგანიზმების მიერ.

ბუნებრივია, ძლიერი ჩაის პლანტაციის პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს 10-12 ტონა ფოთლის მოსავლის მიღებას ჰექტარზე, მოთხოვნილება კვების მინერალურ ელემენტებზე შესაბამისად იზრდება.

გ.ჩხაიძის (1996) მონაცემებით ჩაის მწვანე ფოთლის 60-80 კ/კა მოსავლით ნიადაგიდან გამოიტანება 80 კგ აზოტი, 46 კგ ფოსფორი და 40 კგ კალიუმი. დაახლოებით ასეთი რაოდენობა საკვები ელემენტებისა გამოიტანება ფოთლების ჩამონაცვენით, უხეში ფოთლის მოსავლით და განასხლავი მასალით.

საკვები ელემენტების მნიშვნელოვანი რაოდენობა მოიხმარება ჩაის მცენარის მიერ ბუჩქის ცალკეული გეგეტაციური და გენერაციული ორგანოების ჩამოყალიბებისათვის და აგრეთვე ნიადაგის მიკროორგანიზმების მიერ.

ამრიგად, ჩაის სრულმოსავლიანი ბუჩქები ერთ ჰექტარზე ყოველწლიურად იყენებენ დაახლოებით 160 კგ აზოტს, 90 კგ ფოსფორს და 80 კგ კალიუმს.

ჩაის მწვანე ფოთლის ქიმიური ანალიზის და მიღებული მონაცემების დახმარებით გავიანგარიშეთ ძირითადი საკვები ელემენტების გამოტანა მოსავლით კგ/ჰა-ზე.

აზოტის, ფოსფორის და კალიუმის საერთო შემცველობა ჩაის 2-3 ფოთლიან დუებში განსაზღვრული იქნა ჩაის მცენარის განვითარების ფაზების მიხედვით. შედეგები მოტანილია 25-ე, 26-ე და 27-ე ცხრილებში.

15-ე ცხრილიდან ჩანს, რომ ჩაქვის წითელმიწა ნიადაგზე გაშენებულ ჩაის პლანტაციაში საერთო აზოტის შემცველობა ჩაის 2-3 ფოთლიან დუებში უსასუქო ვარიანტზე დაბალია და 4-4,2 %-ს შეადგენს; აზოტიანი სასუქების შეტანა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩაის ფოთოლში აზოტის შემცველობაზე; ამონიუმის გვარჯილის N 300 კგ/ჰა დოზით შეტანის პირობებში საერთო აზოტის შემცველობა ჩაის ფოთოლში 4,3 – 4,7% აღწევს. ფოსფორიანი სასუქების მზარდი დოზების შეტანა გავლენას არ ახდენს ჩაის ფოთოლში აზოტის შემცველობაზე. 25-ე ცხრილიდან ჩანს, რომ გამოკვლევების ჩატარების ორივე წელს აღინიშნა საერთო აზოტის რაოდენობრივი ცვალებადობის ერთნაირი კანონზომიერება მცენარის განვითარების ფაზების მიხედვით.

საერთო აზოტის მაქსიმალური შემცველობა ჩაის ფოთოლში აღინიშნა მაისის თვეში, ხოლო, შემდეგში, მცენარის განვითარების ფაზების მიხედვით მისი რაოდენობა თანდათან იკლებს. უსასუქო ვარიანტზე მაისის თვეში მოკრეფილ დუებში იგი 4,2%-ია, ხოლო, აზოტიანი სასუქის შეტანის ვარიანტებზე – 4,6-4,7%-ის ფარგლებში მერყეობს.

16-ე ცხრილიდან ჩანს, რომ საერთო კალიუმის შემცველობა ჩაის 2-3 ფოთლიან დუებში უსასუქო ვარიანტზე 1,95 – 2,1 %-ის ფარგლებში მერყეობს. კალიუმიანი სასუქების შეტანით გაიზარდა ჩაის ფოთოლში საერთო კალიუმის შემცველობა. K₂O 100 კგ/ჰა დოზის შეტანის პირობებში საერთო კალიუმის რაოდენობა ჩაის ფოთოლში 2,2 – 2,4 %-ის ფარგლებში მერყეობს. 26-ე ცხრილიდან ჩანს, რომ გამოკვლევების ჩატარების ორივე წელს საერთო კალიუმის შემცველობა ჩაის 2-3 ფოთლიან დუებში სეზონურ დინამიკას არ განიცდიდა.

17-ე ცხრილიდან ჩანს, რომ საერთო ფოსფორის შემცველობა ჩაის 2-3 ფოთლიან დუებში უსასუქო ვარიანტზე 0,96-0,98%-ია; აზოტ-კალიუმიანი სასუქების შეტანამ დადებითი გავლენა მოახდინა ჩაის ფოთოლში საერთო ფოსფორის შემცველობაზე (1,02–1,06%). ფოსფორიანი სასუქების შეტანა

ფოსფორიანი სასუქების გავლენა ჩაის 2-3 ფოთლიან დუუბში აზოტის შემცველობაზე,
%-ობით აბსოლუტურად მშრალ ნიადაგზე

| ვარიანტი | 2005 წელი | | | | | 2005 წელი | | | | |
|--------------------|-----------|--------|--------|---------|------------|-----------|--------|--------|---------|------------|
| | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი |
| უსასუქო-საკონტროლო | 4,2 | 4,2 | 4,2 | 4,1 | 4,0 | 4,2 | 4,2 | 4,1 | 4,1 | 4,0 |
| N300K100 – ფონი | 4,6 | 4,5 | 4,5 | 4,45 | 4,3 | 4,6 | 4,4 | 4,5 | 4,41 | 4,33 |
| NK+P 60 | 4,6 | 4,4 | 4,52 | 4,48 | 4,4 | 4,6 | 4,4 | 4,5 | 4,44 | 4,41 |
| NK+P120 | 4,7 | 4,5 | 4,52 | 4,44 | 4,3 | 4,7 | 4,4 | 4,52 | 4,43 | 4,35 |
| NK+P180 | 4,6 | 4,4 | 4,5 | 4,46 | 4,4 | 4,6 | 4,5 | 4,5 | 4,45 | 4,44 |
| NK+P240 | 4,7 | 4,4 | 4,5 | 4,47 | 4,3 | 4,7 | 4,5 | 4,5 | 4,42 | 4,33 |

ცხრილი 16

ფოსფორიანი სასუქების გავლენა ჩაის 2-3 ფოთლიან დუკებში კალიუმის შემცველობაზე,
%-ობით აბსოლუტურად მშრალ ნიადაგზე

| ვარიანტი | 2005 წელი | | | | | 2005 წელი | | | | |
|--------------------|-----------|--------|--------|---------|------------|-----------|--------|--------|---------|------------|
| | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი |
| უსასუქო-საკონტროლო | 2,0 | 1,95 | 2,0 | 2,0 | 2,1 | 1,95 | 1,99 | 2,1 | 2,1 | 2,1 |
| N300K100 – ფონი | 2,2 | 2,3 | 2,3 | 2,3 | 2,3 | 2,29 | 2,27 | 2,28 | 2,3 | 2,3 |
| NK+P 60 | 2,2 | 2,1 | 2,2 | 2,3 | 2,3 | 2,21 | 2,25 | 2,3 | 2,3 | 2,27 |
| NK+P120 | 2,2 | 2,3 | 2,3 | 2,4 | 2,2 | 2,2 | 2,28 | 2,3 | 2,3 | 2,2 |
| NK+P180 | 2,3 | 2,3 | 2,2 | 2,3 | 2,3 | 2,22 | 2,3 | 2,28 | 2,4 | 2,32 |
| NK+P240 | 2,1 | 2,3 | 2,4 | 2,3 | 2,3 | 2,3 | 2,25 | 2,3 | 2,3 | 2,3 |

ფოსფორიანი სასუქების გავლენა ჩაის 2-3 ფოთლიან დუყებში ფოსფორის შემცველობაზე,
%-ობით აბსოლუტურად მშრალ ნიადაგზე

| გარიანტი | 2005 წელი | | | | | 2005 წელი | | | | |
|--------------------|-----------|--------|--------|---------|------------|-----------|--------|--------|---------|------------|
| | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი |
| უსასუქო-საკონტროლო | 0,96 | 0,96 | 0,97 | 0,98 | 0,96 | 0,96 | 0,97 | 0,96 | 0,98 | 0,96 |
| N300K100 – ფონი | 1,02 | 1,02 | 1,03 | 1,06 | 1,02 | 1,01 | 1,03 | 1,04 | 1,06 | 1,03 |
| NK+P 60 | 1,10 | 1,11 | 1,11 | 1,15 | 1,11 | 1,09 | 1,10 | 1,13 | 1,15 | 1,11 |
| NK+P120 | 1,13 | 1,15 | 1,16 | 1,19 | 1,13 | 1,13 | 1,15 | 1,17 | 1,19 | 1,16 |
| NK+P180 | 1,16 | 1,17 | 1,19 | 1,22 | 1,18 | 1,17 | 1,19 | 1,20 | 1,22 | 1,19 |
| NK+P240 | 1,20 | 1,21 | 1,22 | 1,24 | 1,21 | 1,21 | 1,22 | 1,22 | 1,23 | 1,21 |

მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საერთო ფოსფორის შემცველობაზე ჩაის 2-3 ფოთლიან დუეტში. ასე, მაგალითად, ფოსფორის P_2O_5 60 კგ/ჰა დოზის შეტანა, საერთო ფოსფორის შემცველობას ჩაის ფოთლში ზრდის – 0,08%-ით; 120 კგ/ჰა შეტანა – 0,11%-ით; 180 კგ/ჰა – 0,14%-ით და 240 კგ/ჰა შეტანა – 0,18%-ით (2005 წელი, მაისი). ანალოგიური კანონზომიერება დაკვირვების ორივე წელს შენარჩუნებულია ვეგეტაციის მთელ პერიოდში; რაც შეეხება ჩაის ფოთოლში საერთო ფოსფორის შემცველობის სეზონურ ცვალებადობას უნდა აღინიშნოს, რომ მისი შემცველობა ყველაზე მაღალია აგვისტოს თვეში აღებულ ჩაის ფოთოლში, შემდეგ კი, ვეგეტაციის ბოლოსაკენ იკლებს.

18-ე ცხრილიდან ჩანს, რომ ჩაის ფოთლის მოსავლის მატებასთან ერთად იზრდება საკვები ელემენტების გამოტანა. საკვები ელემენტების გამოტანა უსასუქო ვარიანტზე მცირეა: 17,6 კგ/ჰა აზოტი; 4,12 კგ/ჰა ფოსფორი და 8,8 კგ/ჰა კალიუმი. როგორც ცხრილიდან ჩანს, ფოსფორიანი სასუქების მზარდი დოზების შეტანით, გაიზარდა ჩაის ფოთლის მოსავალი (მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით) და საკვები ელემენტების გამოტანაც. ასე, მაგალითად, P_2O_5 60 კგ/ჰა შეტანის პირობებში მოსავალი 960 კგ-ია პექტარზე; ამ შემთხვევაში N-ის გამოტანამ შეადგინა 44,2 კგ/ჰა; ფოსფორის გამოტანამ – 11,04 და კალიუმის გამოტანამ – 22,1 კგ/ჰა; ხოლო, P_2O_5 180 კგ/ჰა შეტანის ვარიანტზე – მოსავალი 1378 კგ-ია პექტარზე; აზოტის გამოტანა – 63,4 კგ/ჰა, ფოსფორის – 17 და კალიუმის 33,1 კგ/ჰა; ფოსფორიანი სასუქის P_2O_5 240 კგ/ჰა შეტანის პირობებში მოსავალი 1385 კგ-ია პექტარზე; აზოტის გამოტანა შეადგენს 65,1 კგ/ჰა-ს; ფოსფორის – 17,2 და კალიუმის – 33,2 კგ/ჰა; მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზმა უჩვენა, რომ ჩაის ფოთლის მოსავლის მატებასთან ერთად იზრდება საკვები ელემენტების გამოტანაც. 28-ე ცხრილიდან ჩანს, რომ ჩაის ფოთლის მოსავლით ყველაზე მეტი გამოიტანება აზოტი;

ჩაის ფოთლის მოსავლით გამოტანის მიხედვით საკვები ელემენტები ლაგდება შემდეგი კლებადი რიგით: N>K>P; სამივე საკვები ელემენტის საერთო გამოტანიდან – 56-57% მოდის აზოტზე; 14-15% - ფოსფორზე და 28-29% კალიუმზე;

ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა ჩაის მცენარის მიერ აზოტის, ფოსფორის და კალიუმის გამოყენების კოეფიციენტი შეტანილი სასუქებიდან.

ცხრილი 18

ფოსფორიანი სასუქების მზარდი დოზების გავლენა ჩაის ფოთლის მოსავლით
ძირითადი საკები ელემენტების გამოტანაზე 2006 წელი

| ვარიანტი | მოსავალი, კგ/ჰა (მშრალი ნივთიერება) | საკები ელემენტების შემცველობა 2-3 ფოთლიან დუებში (%) | | | გამოტანა ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლით (2-3 ფოთლიანი დუებით), კგ/ჰა | | |
|-----------------------------|---|---|------|-----|--|-------|------|
| | | N | P | K | N | P | K |
| უსასუქო-საკონტროლო | 420 | 4,2 | 0,98 | 2,1 | 17,6 | 4,12 | 8,8 |
| N300K100 – ფონი | 774 | 4,6 | 1,06 | 2,3 | 35,6 | 8,2 | 17,8 |
| NK+P 60 | 960 | 4,6 | 1,15 | 2,3 | 44,2 | 11,04 | 22,1 |
| NK+P120 | 1130 | 4,6 | 1,19 | 2,4 | 52,0 | 13,45 | 27,1 |
| NK+P180 | 1378 | 4,6 | 1,22 | 2,4 | 63,4 | 17,0 | 33,1 |
| NK+P240 | 1385,4 | 4,7 | 1,24 | 2,4 | 65,1 | 17,2 | 33,2 |
| NK+P360 3 წელი ერთხელ | 1106,7 | 4,6 | 1,22 | 2,5 | 51,0 | 13,5 | 27,7 |
| NK+P540 3 წელი ერთხელ | 1316 | 4,7 | 1,26 | 2,5 | 62,0 | 16,6 | 32,9 |

შეტანილი მინერალური სასუქებიდან ძირითადი საკვები ელემენტების გამოყენების კოეფიციენტები ჩვენს მიერ გამოანგარიშებული იქნა სხვაობის მეთოდით. ცნობილია, რომ მცენარის მიერ საკვები ელემენტების შეთვისება ხდება არა მარტო ნიადაგში შეტანილი სასუქიდან, არამედ, აგრეთვე, ნიადაგში არსებული საკვები ნივთიერებებიდანაც. მათი ერთმანეთისაგან აბსოლუტური განცალკევება მინდვრის ცდებში ძალზე ძნელია. მიტომ, ნიადაგში შეტანილი სასუქის გამოყენების პირობითი კოეფიციენტი განხილულ უდა იქნეს როგორც მიახლოებითი და არა აბსოლუტური მაჩვენებელი.

.19-ე ცხრილიდან ჩანს, რომ აჭარის წითელმიწა ნიადაგზე ჩაის პლანტაციაში დაყენებულ მინდვრის ცდაში შეტანილი სასუქებიდან აზოტის გამოყენების კოეფიციენტი 39,95-51,4%-ის ფარგლებში მერყეობს; ფოსფორის – 11,3-13,6% და კალიუმის 20,4-26,8%-ის ფარგლებში.

ცხრილი 19

შეტანილი მინერალური სასუქების გამოყენების კოეფიციენტები; 2006 წ.

| გარიანტი | ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალი, კგ/ჰა | მოსავლის მატება, ტ/ჰა | გამოყენების კოეფიციენტი, % | | |
|------------------------------|--|-----------------------------|----------------------------|------|------|
| | | | N | P | K |
| N300K100 – ფონი | 2580 | - | - | - | - |
| NK+P 60 | 3199 | 6,2 | 47,5 | 11,9 | 23,8 |
| NK+P120 | 3767 | 11,9 | 45,6 | 11,8 | 23,7 |
| NK+P180 | 4592 | 20,1 | 51,4 | 13,6 | 26,8 |
| NK+P240 | 4618 | 20,4 | 39,95 | 10,5 | 20,4 |
| NK+P360 3 წელში ერთხელ | 3689 | 11,1 | 42,55 | 11,3 | 23,1 |
| NK+P540 3 წელში ერთხელ | 4386 | 18,1 | 47,3 | 12,7 | 25,1 |

საკვები ელემენტების გამოყენების კოეფიციენტები ყველაზე მაღალია ვარიანტზე – N300K100 + P180 კგ/ჰა - N – 51,4%; P – 13,6%; კალიუმის – 26,8%; ფოსფორის დოზის შემდგომი გაზრდით P240 კგ/ჰა – მდგ, საკვები ელემენტების გამოყენების კოეფიციენტები მცირდება, რაც აღნიშნულ ვარიანტზე მოსავლის კლების შედეგია. N- ის გამოყენების კოეფიციენტი ამ ვარიანტზე 39,95%-ია; ფოსფორის – 10,5 და კალიუმის – 20,4%;

ფოსფორიანი სასუქების პერიოდულად შეტანის ვარიანტებიდან საკვები ელემენტების გამოყენების კოეფიციენტები მაღალია P540 კგ/ჰა 3 წელში ერთხელ შეტანის ვარიანტზე – N- 47,3%; P – 12,7% და K – 25,1%;

3.4. ფოსფორიანი სასუქების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა ჩაის პულტურისათვის

ძირითადი მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკურად რამდენად ხელსაყრელია ესათუის აგროტექნიკური დონისძიება, არის მათი აგროეკონომიკური ეფექტიანობის დადგენა. მინერალური სასუქების გამოყენების ეფექტურობა პრაქტიკაში ხშირად გამოისახება საკონტროლო გარიანტებთან შედარებით მიღებული მოსავლის მატებით. სასუქების რაციონალურად გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს მოსავლის მაქსიმალური მატება და პროდუქციის თვითდირებულების შემცირება, რაც მოითხოვს მათთან დაკავშირებული ხარჯების სისტემატურ აღრიცხვას და მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრას. ფოსფორიანი სასუქების გამოყენების ნამდვილი ეფექტის დადგენისათვის აუცილებელია განისაზღვროს მათ გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯები, მიღებული წმინდა შემოსავალი, რენტაბელობა და მიღებული პროდუქციის თვითდირებულება.

აჭარის წითელმიწა ნიადაგზე გაშენებულ ჩაის პლანტაციაში ფოსფორიანი სასუქების გამოყენების ეპინიმიკური ეფექტიანობა ჩვენს მიერ გამოანგარიშებული იქნა 2005 და 2006 წლებში. შედეგები მოტანილია 20-ე და 21-ე ცხრილში. ეკონომიკური ეფექტიანობის გამოანგარიშებისას მხედველობაში იქნა მიღებული სასუქების შეტანასთან, ნამატი მოსავლის აღებასთან, ტრანსპორტირებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული მექანიზებული თუ ხელით სამუშაოები.

ფოსფორიანი სასუქების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების მონაცემები (ცხრილი 20 და 21) უჩვენებენ, რომ ფოსფორიანი სასუქების სხვადასხვა დოზით შეტანა განსხვავებულად მოქმედებს ეკონომიკურ ეფექტიანობაზე.

20-ე ცხრილიდან ჩანს, რომ ფოსფორით დარიბ წითელმიწა ნიადაგში ჩაის პლანტაციაში ფოსფორიანი სასუქების სხვადასხვა დოზებიდან მათი ყოველწლიურად შეტანის პირობებში საუკეთესო აღმოჩნდა P 180 კგ/ჰა (NK ფონზე); აღნიშნულ ვარიანტზე მოსავლის მატებამ ფონთან შედარებით შეადგინა 1437 კგ/ჰა, დირებულებით 1581 ლარი; პირობითი წმინდა შემოსავალი

ცხრილი 20

ფოსფორიანი სასუქების სხვადასხვა დოზების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა ჩაის პულტურისათვის.

ჩაქვი 2005 წელი

| ვარიანტი | მოსავლის მატება ფონთან შედარებით, კგ/ჰა | ნამატი მოსავლის დირებულება, ლარი | ხარჯები (სასუქის დირებულება, გადა- ზიდვა, შეტანა, მო- სავლის აღება, რეა- ლიზაცია), ლარი | პირობითი წმინდა შემოსავალი, ლარი/ჰა | რენტაბუ- ლობა, % | შპუგება ჟოველ დახარჯულ ლარზე, ლარებში | 1 კბ ნამატი მოსავლის თვითდირე- ბულება, ლარებში |
|------------------------------|---|---|---|--|---------------------|---|---|
| N300K100 – ფონი | - | - | - | - | - | - | - |
| NK+P 60 | 479 | 527 | 253 | 274 | 108 | 2,1 | 0,53 |
| NK+P120 | 910 | 1001 | 443 | 558 | 126 | 2,26 | 0,49 |
| NK+P180 | 1437 | 1581 | 658 | 923 | 140 | 2,4 | 0,46 |
| NK+P240 | 1557 | 1713 | 771 | 942 | 122 | 2,22 | 0,49 |
| NK+P360 3 წელში ერთხელ | 1245 | 1370 | 311 +200=511 | 1059 | 200 | 2,68 | 0,3 |
| NK+P540 3 წელში ერთხელ | 1629 | 1792 | 407 +300=707 | 1385 | 195 | 2,53 | 0,39 |

ფოსფორიანი სასუქების სხვადასხვა დოზების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა ჩაის კულტურისათვის.

ჩაქვი 2006წელი

| ვარიანტი | მოსავლის მატება ფონთან შედარებით, კგ/ჰა | ნამატი მოსავლის დირებულება, ლარი | ხარჯები (სასუქის დირებულება, გადა- ზიდვა, შეტანა, მო- სავლის აღება, რეა- ლიზაცია), ლარი | პირობითი წმინდა შემოსავალი, ლარი/ჰა | რენტაბუ- ლობა, % | შპუგება ჟოველ დახარჯულ ლარზე, ლარებში | 1 კბ ნამატი მოსავლის თვითდირე- ბულება, ლარებში |
|------------------------------|---|---|---|--|---------------------|---|---|
| N300K100 – ფონი | - | - | - | - | - | - | - |
| NK+P 60 | 619 | 681 | 288 | 393 | 136 | 2,4 | 0,46 |
| NK+P120 | 1187 | 1306 | 513 | 793 | 154 | 2,5 | 0,43 |
| NK+P180 | 2012 | 2213 | 802 | 1411 | 176 | 2,8 | 0,40 |
| NK+P240 | 2038 | 2242 | 891 | 1351 | 152 | 2,5 | 0,44 |
| NK+P360 3 წელში ერთხელ | 1109 | 1220 | 277 | 943 | 340 | 4,4 | 0,25 |
| NK+P540 3 წელში ერთხელ | 1806 | 1987 | 451 | 1536 | 340 | 4,4 | 0,25 |

923 ლარია პექტარზე; 1 კგ ჩაის მწვანე ფოთლის თვითდირებულებამ შეადგინა 46 თეთრი, ყოველ დახარჯულ ლარზე უკუგებამ – 2,4 ლარი, ხოლო, რენტაბელობამ – 140%;

ფოსფორიანი სასუქების ყოველწლიურად შეტანის დანარჩენი დოზები – P 60; 120 და 240 – ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლების მიხედვით ჩამორჩებოდნენ P 180 კგ/ჰა ყოველწლიურად შეტანას.

ფოსფორიანი სასუქების გადიდებული დოზების ერთდროულად შეტანის გარიანტებიდან ეკონომიკური ეფექტიანობის მაღალი მაჩვენებლები მიღებულ იქნა P 540 კგ/ჸა (NK ფონზე) გარიანტზე, სადაც პირობითმა წმინდა შემოსავალმა შეადგინა 1385 ლარი/ჸა; რენტაბელობამ – 340 %; ყოველ დახარჯულ ლარზე უკუგებამ 4,4 ლარი და ერთი კილოგრამი ნამატი მოსავლის თვითდირებულებამ 25 თეთრი.

განსაკუთრებით მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობით გამოირჩეოდა 2006 წელი. ამ წელს, წინა წელთან შედარებით მიღებულია ჩაის ფოთლის მაღალი მოსავალი. მართალია, გაზრდილია მოსავლის მისაღებად გაწეული ხარჯებიც, მაგრამ გაზრდილი მოსავლის რელიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა გადაფარა გაწეული ხარჯები და უზრუნველყო ყოველ პექტარ ფართობზე მეტი მოგების მიღება.

როგორც 21-ე ცხრილიდან ჩანს ფოსფორიანი სასუქების ყოველწლიურად შეტანის გარიანტებზე, სასუქის დოზის გაზრდასთან ერთად იზრდებოდა ჩაის ფოთლის მოსავალი და მაღლდებოდა ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებიც. ასე, მაგალითად, P 60 კგ/ჸა დოზის გამოყენების პირობებში ჩაის ფოთლის მოსავლის მატებამ ფონის გარიანტთან შედარებით შეადგინა 619 კგ/ჸა; პირობითი წმინდა შემოსავალი აღნიშნულ გარიანტზე – 393 ლარია, რენტაბელობა 136%; უკუგება 1 ლარზე – 2,4 ლარი და თვითდირებულება – 46 თეთრი. P 120 კგ/ჸა გარიანტზე კი აღნიშნული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენენ – 1187 კგ/ჸა; 793 ლარი/ჸა; 154%; 2,5 ლარი და 43 თეთრი.

ფოსფორიანი სასუქების ყოველწლიურად შეტანის გარიანტებიდან განსაკუთრებით მაღალი ეფექტურობით გამოირჩეოდა P 180 კგ/ჸა. აღნიშნულ გარიანტზე ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის მატებამ ფონთან შედარებით შეადგინა 2012 კგ/ჸა; პირობითმა წმინდა შემოსავალმა – 1411 ლარი პექტარზე; რენტაბელობამ – 176%; ყოველ დახარჯულ ერთ ლარზე უკუგებამ – 2,8 ლარი, ხოლო, ერთ კილოგრამი ჩაის ფოთლის თვითდირებულებამ – 40 თეთრი.

ფოსფორიანი სასუქის შემდეგი დოზა – P 240 კგ/ჰა, ასევე დადებითად მოქმედებს ჩაის ფოთლის მოსაფალზე. მატება ფონთან შედარებით 2038 კილოგრამია ჰექტარზე, მაგრამ, აღნიშნულ ვარიანტზე ფოსფორიანი სასუქების შეტანასთან დაკავშირებული ხარჯები გაზრდილია, რის გამოც ეპონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები ჩამორჩება წინა ვარიანტს (P 180 კგ/ჰა).

როგორც ზემოთ ავღნიშნავდით, მე-7 და მე-8 ვარიანტებზე ფოსფორიანი სასუქი შეტანილია შესაბამისად - P 360 და P 540 კგ/ჰა სამ წელში ერთხელ. მაშასადამე, აღნიშნულ ვარიანტებზე სასუქების შეტანასთან დაკავშირებული ხარჯები სამჯერ არის შემცირებული.

P 360 და P 540 კგ/ჰა ვარიანტებზე პირობითი წმინდა შემოსავალი შესაბამისად 943 და 1536 ლარია ჰექტარზე; რენტაბელობა 340 და 340%; უკუგება ყოველ დახარჯულ ერთ ლარზე - 4,4 და 4,4 ლარი; თვითდირებულება შესაბამისად – 0,25 და 0,25 ლარი.

რეზიუმე

აჭარის წითელმიწა ნიადაგი (ჩაქვი) მძიმე მექანიკური შედგენილობისაა. საკვლევი ნიადაგი ხასიათდება შთანთქმული ფუძეების დაბალი შემცველობით და მაღალი გაცვლითი მუავიანობით; ჰუმუსისა და საერთო აზოტის საშუალო და საერთო ფოსფორისა და კალიუმის მაღალი შემცველობით; მოძრავი ფოსფორისა და ჰიდროლიზური აზოტის შემცველობის მიხედვით ნიადაგი დარიბია, გაცვლითი კალიუმის შემცველობით კი საშუალოდ უზრუნველყოფილი.

აზოტიანი, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების სამი წლის განმავლობაში სისტემატური შეტანა არ ახდენს გავლენას შთანთქმული ფუძეების, მუავიანობის, ჰუმუსის, აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის საერთო ფორმების შემცველობაზე.

აღინიშნება ძირითადი საკვები ელემენტების (NPK) მოძრავი ფორმების შემცველობის მიხედვით ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება.

სუპერფოსფატის ყოველწლიური გამოყენება განაპირობებს წითელმიწა ნიადაგის გამდიდრებას მოძრავი ფოსფორით. ოუკი NK+P 180 კგ/ჸა ვარიანტზე მინდვრის ცდის დაყენების წინ (2004 წ.) მოძრავი ფოსფორის შემცველობა 0-15 სმ ფენაში შეადგენდა 10,5 მგ/100 გ ნიადაგზე, ფოსფორიანი სასუქის სამი წლის განმავლობაში ყოველწლიურად შეტანის შედეგად, მინდვრის ცდის დასასრულს (2006 წ.) მისმა შემცველობამ შეადგინა 21,1 მგ/100 გ ნიადაგზე.

აჭარის წითელმიწა ნიადაგში მოძრავი ფოსფორის შემცველობის სეზონური დინამიკის შესწავლის საფუძველზე დადგენილ იქნა მისი რაოდენობის ცვალებადობა სავეგეტაციო პერიოდის ვადების მიხედვით. მოძრავი ფოსფორის მაქსიმალური რაოდენობა აღინიშნა გაზაფხულზე (ვეგეტაციის დაწყებისას). შემდგომში, ადგილი აქვს მის თანდათან კლებას შემოდგომისკენ. შედარებით მეტი ხარისხით ვლინდება იგი ფოსფორით განვითერებულ ვარიანტზე, რამდენადმე სუსტად კი – საკონტროლო და ფონის გარიანტებზე.

აჭარის ჩაის პლანტაციების წითელმიწა ნიადაგებში ჰარბობს ერთნახევარი უანგეულების ფოსფატები, რომლებიც „აქტიური“ მინერალური ფოსფატების მთელი ჯამის 91-92 %-ს შეადგენენ. კალციუმის ფოსფატები ნიადაგში წარმოდგენილია მცირე რაოდენობით – 8-9%; ფოსფორიანი სასუქების მზარდი დოზების შეტანით საკვლევ ნიადაგში მნიშვნელოვნად იზრდება აქტიური მინერალური ფოსფატების ჯამი. სასუქის ფოსფორი მაქსიმალურად გროვდება ალუმინის ფოსფატების ფრაქციაში.

წითელმიწა ნიადაგში სუპერფოსფატის ყოველწლიურად და პერიოდულად – 3 წელში ერთხელ შეტანის ვარიანტები, ფოსფატური ფონდის სტრუქტურის მიხედვით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. აღნიშნულ ვარიანტებზე ფოსფატების მინერალური ფორმები, მათი როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი რაოდენობის მიხედვით, ლაგდება შემდეგი კლებადი რიგით: Al-P>Fe-P>Ca-P;

აჭარის წითელმიწა ნიადაგში შეტანილი ფოსფორი ძირითადად ფიქსირდება შეტანის სიღრმეზე და მათი მხოლოდ მცირე ნაწილი გადაადგილდება ქვედა ფენებში. შეტანილი ფოსფატების 83-87% დამაგრებულია 30 სმ-მდე სიღრმის ფენაში, ხოლო 13-17% მიგრირებულია 30-40 და 40-50 სმ სიღრმის ფენებში (სიღრმეების მიხედვით შესაბამისად 9-12 და 4-5%).

აჭარის წითელმიწა ნიადაგზე ჩატარებულ სტაციონარულ მინდვრის ცდაში ფოსფორ-კალიუმიანი სასუქების ფონზე შეტანილი სუპერფოსფატი მკვეთრად ამაღლებს ჩაის ფოთლის მოსავალს. 3 წლის განმავლობაში სუპერფოსფატის ყოველწლიურად შეტანის პირობებში ოპტიმალური აღმოჩნდა დოზა – 180 კგ P₂O₅ პექტარზე; დოზის შემდგომ გაზრდას მოსავლის მნიშვნელოვანი მატება არ გამოუწევია.

სუპერფოსფატის შეტანის წესების შედარებითმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ჩაის კულტურის ქვეშ ფოსფორის მაღალი დოზების ერთდროულად შეტანა თავისი ეფექტურობით არ ჩამორჩება მათი შესაბამისი დოზების ყოველწლიურად შეტანას.

ჩაის ფოთლის მოსავლიანობის ამაღლებისა და სასუქების შენახვაზე, ტრანსპორტირებაზე და შეტანაზე გაწეული შრომითი დანახარჯების მნიშვნელოვანი შემცირების ხარჯზე სასუქების პერიოდულად შეტანის წესი ეკონომიკურად მომგებიანია.

აზოტ-კალიუმიანი სასუქების ფონზე შეტანილი ფოსფორიანი სასუქები ჩაის ფოთლის მოსავლის გაზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად ამაღლებენ ჩაის მწვანე ფოთოლში ტანინისა და ექსტრაქტული ნივთიერებების რაოდენობას. მათი რაოდენობა დაბალია უსასუქო ვარიანტზე და შესაბამისად შეადგენს – 22,9 და 39 % (2006წ. 08.). N300K100+ P 180 ვარიანტზე აღნიშნული მაჩვენებლები იზრდება და შესაბამისად შეადგენენ – 26,1 და 43,6% (2006წ. 08.)

ტანინისა და ექსტრაქტული ნივთიერებების შემცველობა ჩაის დუებში განიცდის სეზონურ ცვალებადობას. მათი შემცველობა დუებში მასიდან დაწყებული ყოველთვიურად იზრდება და მაქსიმუმს აღწევს აგვისტოში.

ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზმა უჩვენა, რომ აჭარის წითელმიწა ნიადაგზე ჩაის კულტურისათვის ფოსფორიანი სასუქების გამოყენება ეკონომიკურად მაღალეფექტურია. ოპტიმალურ ვარიანტზე - NK+ P 180 კგ/ჰა, პირობითი წმინდა შემოსავალი – 1411 ლარია პეტრაზე; თვითღირებულება – 0,40 ლარი/კგ; ყოველ დახარჯულ ლარზე უკუგება – 2,8 ლარი; რენტაბელობა – 176%;

რეკომენდაცია წარმოებას

აჭარის ტიპურ წითელმიწა ნიადაგზე და ანალოგიურ ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებში ჩაის პლანტაციებში რეკომენდირებულია:

- ფოსფორით დარიბ ნიადაგში ($P_2O_5 < 30$ მგ 100 გ ნიადაგზე) ფოსფორიანი სასუქების შეტანა დოზით P 180 კგ/ჰა $N300K100$ – ის ფონზე; ჩაის ფოთლის მოსავალი ამ შემთხვევაში შეადგენს 4,8-5,0 ტ/ჰა;
- ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები ნიადაგში შეტანილ უნდა იქნეს ნიადაგის საზამთრო გადაბარვისას ჩაის მწკრივთაშორისის მთელ ფართობზე ბუჩქის ყელიდან 10 სმ დაშორებით.
- აზოტიანი სასუქი (ამონიუმის გავრჯილა) შეიტანება წილადობრივად: 60% 1 მარტიდან 1 აპრილამდე, დანარჩენი 40% კი ივლისში; სასუქი თანაბრად ნაწილდება მწკრივთაშორის მთელ ფართობზე, ფესვის ყელიდან 10 სმ დაშორებით 5 სმ სიღრმეზე;
- სასუქების შენახვაზე, ტრანსპორტირებაზე და შეტანაზე გაწეული შრომითი დანახარჯების მნიშვნელოვანი შემცირებისთვის და ჩაის მწვანე ფოთლის მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მიღებისათვის მიზანშეწონილია ფოსფორიანი სასუქის სამმაგი დოზის – P 540 კგ/ჰა სამ წელში ერთხელ შეტანა; სასუქების გამოყენების რენტაბელობა ამ შემთხვევაში 340 %-მდე იზრდება, ნაცვლად 176%-ისა P 180 კგ/ჰა ყოველწლიურად შეტანის ვარიანტზე.

ლიტერატურა

1. ბზიავა მ.ლ. - გაძლიერებული კვების კომპლექსფაქტორების გავლენა ჩაის პლანტაციის მოსავლიანობაზე. // ჩაისა და სუბტროპ. კულტურების ს/კ ინსტიტუტის ბიულეტენი. №1, 1956.
2. ბოლქვაძე ი.ი. - შიდა ქართლის მდელოს ყავისფერი ნიადაგების ფოსფატური რეჟიმი და ფოსფორიანი სასუქების ეფექტურობა ბოსტნეული კულტურებისათვის (პომიდორი, კომბოსტო). // ავტორეფერატი ს.მ.მ.კ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1982. 24 გვ.
3. გამყრელიძე ი.დ. - ჩაის პლანტაციებში ფოსფორიანი სასუქების გამოცდის შედეგები. კრებული. „ჩაის პლანტაციის განოყიერება“. ტ. I. 1942 წ.
4. გამყრელიძე ი.დ., ბზიავა მ.ლ., გაბისონია მ.ბ., - ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების განოყიერებაზე ჩატარებული ძირითადი სამუშაოების შედეგები. // ჩაისა და სუბტროპ. კულტურების ს/კ ინსტიტუტის ბიულეტენი. №1. 1961 წ. გვ. 58-92.
5. დოლიძე თ.გ. - შიდა ქართლის ფოსფორით სხვადასხვა ხარისხით უზრუნველყოფილი მდელოს ყავისფერი ნიადაგების ფოსფატური რეჟიმი და ფოსფორიანი სასუქების ეფექტურობა შაქრის ჭარხლისა და სიმინდის ქვეშ. // ავტორეფერატი ს.მ.მ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. 1987. 27 გვ.
6. გაჩნაძე შ.რ. - აღმოსავლეთ საქართველოს შავმიწა ნიადაგების ფოსფატური რეჟიმი და ფოსფორიანი სასუქების ეფექტურობა მარცვლეული კულტურებისათვის // ავტორეფერატი ს.მ.მ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. 1984. 24 გვ.
7. თავდიშვილი ლ. - აზოტიანი სასუქების სხვადასხვა ფორმების გავლენა ჩაის ფოთლის მოსავალზე, ქიმიურ შემცველობასა და ხარისხზე. // აგრარული მეცნიერების პრობლემები. სსაგრარული უნივერსიტეტი. 2002 წ. ტ. XX. გვ. 138-142. თბილისი.
8. კიკნაძე ნ. - ფოსფორიანი სასუქების სხვადასხვა დოზებისა და შეტანის წესების გავლენა ჩაის ფოთლის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. // ბათუმის შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ბათუმი. ტ. II. 1998 წ. გვ. 78-82.

9. კიკნაძე ნ., ონიანი ო., - ფოსფორიანი სასუქების სხვადასხვა ფორმების გავლენა ჩაის ფოთლის ბიოქიმიურ შედგენილობაზე. // საქართველოს. ს.მ.მ. აკადემიის მოამბე. თბილისი, 1999 წ. №4. გვ. 36-38.
10. კიკნაძე ნ. - წითელმიწებში ფოსფატების პერიოდული შეტანის გავლენა ჩაის ფოთლის ქიმიურ შედგენილობასა და მოსავლიანობაზე. // აგრარული მეცნიერების პრობლემები. 1999 წ. გვ. 134-137.
11. კიკნაძე ნ.ო. - ფოსფორი საქართველოს ზოგიერთი ტიპის ნიადაგში და ფოსფორიანი სასუქების ეფექტიანობა. // ავტორეფ. დისერტ. ს.მ.მ. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2003 წ. 70 გვ.
12. კორძახია მ. - საქართველოს პავა. თბილისი, 1961.
13. კუტალაძე ნ. – მოძრავი ფოსფორის სეზონური დინამიკა აჭარის წითელმიწებში, აგრარულ მეცნიერებათა პრობლემები, // ქ.თბილისი. 2006; 74-76 გვ.
14. კუტალაძე ნ., მარგველაშვილი გ. – ფოსფორის მინერალური ფორმები აჭარის წითელმიწა ნიადაგში და მათი ტრანსფორმაცია ფოსფორიანი სასუქების გამოყენების პირობებში. // საქ. ს/მ. მეცნიერებათა აკად. მოამბე №4. 2005; 210-214 გვ.
15. კუტალაძე ნ., ონიანი ო. – ფოსფატების მიგრაცია აჭარის წითელმიწა ნიადაგში. // საქ. ს/მ. მეცნიერებათა აკად. მოამბე №4. 2005; 214-217 გვ.
16. კუტალაძე ნ., მიქელაძე ო., ცინცქილაძე ა. – აჭარის ნიადაგების დახასიათება დახასიათება და მისი ნაყოფიერების ამაღლების გზები. // ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “შრომები”, 2003; 230-235 გვ.
17. კუტალაძე ნ., სეიდიშვილი ნ., თელია. ქ., ჩხაიძე ი. – წითელმიწა ნიადაგების დახასიათება და მისი ნაყოფიერების ამაღლების გზები. // ბაბბის შრომები. 2003; 50-53 გვ.
18. კუტალაძე ნ., კობახიძე მ., ჩხაიძე ი. – ფოსფატური ფონდის სტრუქტურა ჩაით გაშენებულ წითელმიწა ნიადაგში. // ბაბბის შრომათა კრებული. ბათუმი, 2006; 69-71 გვ.
19. მარგველაშვილი გ.ნ. - ფოსფორი გაეწრებულ-ყვითელმიწა ნიადაგში და ფოსფორიანი სასუქების გავლენა ჩაის ფოთლის მოსავალზე. // ავტორეფერატი დისერტაციის ს.მ.მ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. (რუს. ენაზე). სოხუმი; 1969; 34 გვ.

20. მარგველაშვილი გ.ნ., კიკნაძე ნ.ო. - ფოსფორი საქართველოს ინტენსიური მიწათმოქმედების ნიადაგებზე და ფოსფორიანი სასუქების ეფექტიანობა. (მონოგრაფია); ბათუმი. 2009 წ. 417 გვ.
21. ონიანი ო.გ. - სუპერფოსფატის ფოსფორის მჟავას გარდაქმნა წითელმიწა ნიადაგზე. // საქართველოს ნიადაგმცოდ. აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტის შრომათა კრებული. 1976 წ. ტ. 16. გვ. 162-175.
22. ონიანი ო.გ., მარგველაშვილი გ.ნ. - ნიადაგის ქიმიური ანალიზი. თბილისი. „განათლება“. 1975 წ. 507 გვ.
23. ონიანი ო.გ., მარგველაშვილი გ.ნ. - მცენარის ქიმიური ანალიზი – თბილისი. „განათლება“ 1978 წ. 415 გვ.
24. საბაშვილი მ.ნ. - საქართველოს სსრ ნიადაგები. თბილისი, 1965 წ.
25. ტალახაძე გ.რ., ანჯაფარიძე ი.ე., ლატარია ვ., კირვალიძე რ., მინდელი კ., ნაკაშიძე ლ., მინდელი მ. – საქართველოს ნიადაგები. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1983 წ. გვ. 104-136.
26. ურუშაძე გ.ნ., - ფოსფატების ეფექტურობა ჩაის პლანტაციებზე და მათი ურთიერთქმედება ნიადაგთან, // კრებული „ჩაის პლანტაციის განაყოფიერება“ ტ. 1. თბილისი, 1942.
27. ურუშაძე გ.ნ. - ფოსფატები ჩაის პლანტაციების განაყოფიერების სისტემაში. // ჩაისა და სუბტროპ. კულტურების ს/კ ინსტიტუტის ბიულეტენი. №3, 1949.
28. ურუშაძე გ.ნ. - წითელმიწა ნიადაგებზე გრანულირებულ ფოსფორიან სასუქებზე ცდების შედეგები. // ჩაისა და სუბტროპ. კულტურების ს/კ ინსტიტუტის ბიულეტენი. №1, 1951.
29. ურუშაძე გ.ნ. - ჩაის პლანტაციაში ფოსფორიანი სასუქების შეტანის წესებზე ცდების შედეგები. // ჩაისა და სუბტროპ. კულტურების ს/კ ინსტიტუტის ბიულეტენი, №4, 1953.
30. ფალავანდიშვილი შ.დ. – აჭარის ნიადაგების რაციონალური გამოყენების გეოგრაფიული ასპექტები სუბტროპიკული კულტურების განვითარებასთან დაკავშირებით. // ავტორეფერატი დისერტაციის გეოგრაფიულ მეცნიერ. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1993, 31 გვ.
31. ფალავანდიშვილი შ. – აჭარის წითელმიწა ნიადაგები და მათი საწარმო გამოყენება. ბათუმი, 1987 წ. 119 გვ.

32. ფუტკარაძე შ.ა. - ფოსფორიანი სასუქების ახალი ფორმების გადაადგილება წითელმიწა ნიადაგზე // სუბტროპიკული კულტურები, 1963, №2, გვ. 101-106.
33. ჩხაიძე გ. – სუბტროპიკული კულტურები. თბილისი, 1996 წ. 531 გვ.
34. ჭანიშვილი შ.თ. – საცდელი საქმის მეთოდიკა. თბილისი, „მეცნიერება“, 1973 წ.
35. Агрохимические методы исследования почв. 5-ое изд. доп. и перераб. – М.: Наука; 1975. 656 с.
36. Аскинази Д.Л., Гинзбург К.Е., Лебедева Л.С. – Минеральные формы фосфора в почве и методы их определения. // Почвоведение. 1963. №5. с. 6.
37. Бакхтадзе К.Е. - Биологические основы культуры чая. Тбилиси; Мецниереба; 1971; 367 с.
38. Бзиава М.Л. – Состав гумуса субтропических почв. // Почвоведение. №3. 1949.
39. Бзиава М.Л. - Удобрение субтропических культур. – Тбилиси: изд-во «Сабчота Сакартвело», 1973. 368 с.
40. Воронцов В.Е. – Биохимия чая. М.: Пощепромиздат, 1946. 278 с.
41. Габисония М.В., - Основные проблемы применения удобрений на чайной плантации в зоне подзолистых почв западной Грузии. Сборник статей к VIII международному конгрессу по минеральными удобрениями. Тбилиси. 1976 г. с. 37-41.
42. Гамкрелидзе Г.Л., Немцишвили Л.В., Ахвледиани У.Б. - Эффективность периодического внесения фосфорно-калийных удобрений на чайных плантациях в условиях Имерети. // сб. статей к VIII международ. конгрессу по мин. удобрениям. Тбилиси; 1976; с. 185-191.
43. Гедеванишвили Д.П. – Почвы субтропических районов в связи с проблемами их освоения. «Почвы Советских субтропиков». изд. Сов. секции МАП. 1936.
44. Гинзбург К.Е., Лебедева Л.С. - Методика определения минеральных форм фосфатов почвы // Агрохимия. 1971. №1. с. 125-135.
45. Гинзбург К.Е.; - Фосфор основных типов почв СССР. М.: Наука, 1981; 244с.
46. Глазунова Н.М. - Сезонная динамика легкоподвижных фосфатов в дерново-подзолистых почвах. // Тр. ВИУА. 1964. Выпуск 43. с. 19.
47. Глинка К. – Латериты и краснозёмы тропических широт. // Почвоведение. 1903. №3.

48. Годзиашвили Б.А. – Влияние магниевых удобрений на урожайность чайных и цитрусовых плантаций в условиях красноземных почв. // Сб. статей к VIII Международному конгрессу по мин. удобрениям. Тбилиси; 1976; с. 159-167.
49. Голетиани Г.И. – Влияние минеральных удобрений на свойства почвы и урожайность чайной плантации. Тбилиси. 1960.
50. Гонзалес А.А. - Характеристика фосфатного режима почв Кубы. // Автореф. дисс. канд. с.-х наук. М.: ТСХА, 1977.
51. Давтян Г.С. – К вопросу о разделении основных групп почвенных фосфатов. // Почв сов. почвоведения. М.: АН СССР. 1939. Сб. 7. с. 149-162.
52. Дарапелия М.К. - Краснозёмные и подзолистые почвы Грузии и их использование под субтропические культуры. – Тбилиси, 1949. 448 с.
53. Дарапелия М.К. - Некоторые приёмы рационального использования почвенной влаги в условиях чайных плантаций. // Почвоведение №2. 1961.
54. Докучаев В.В. – Предварительный отчет об исследованиях на Кавказе летом 1899 г. т. 12. – Тифлис: изд. отд. геог. о-ва, 1900. 32 с.
55. Долидзе Д. – Изменение свойств красноземных почв Аджарии в связи с их окультуриванием. // Автореф. диссертации к.с.х.н. Тбилиси, 1969.
56. Доспехов Б.А.- Методика полевого опыта. М.: Колос, 1973. 416 с.
57. Дугашвили П.С. - Эффективность фосфорных удобрений на длительно удобляемых чайных плантациях. // Бюл. ВНИИЧ и СК. 1955. №4, с. 3-21.
58. Дугашвили П.С. - Установление эффективности фосфорных удобрений на длительно удобляемых чайных плантациях. // Автореферат кандидатской диссертации. М. 1955. 24 с.
59. Дугашвили П.С.- К вопросу передвижения фосфатов в красноземной почве. // Бюллетень ВНИИЧ и СК. №3. 1958.
60. Иосава В.В. - Действие минеральных удобрений на развитие корневой системы чайного куста на субтропической подзолистой почве. // «Агрохимия», №7, 1966.
61. Карпинский Н.П. – Агрохимическая характеристика дерново-подзолистых почв в связи с их генезисом и окультуренностью. // Удобрения и основные условия их эффективного применения. М. Колос, 1970.
62. Кикнадзе Н.О. – Превращение фосфорных удобрений при длительном их применении на красноземных почвах чайных плантаций. // Автореф. диссертации к.с.х. науки. Тбилиси. 1991 г. 25 с.
63. Кононова М.М. – Органическое вещество почвы, его природа, свойства и методы учения. М., изд. АН СССР. 1963.

64. Краснов А.И. – К флоре бассейна р. Чаквы. // Тр. О-ва естествознания при Харьк. ун-те. 1983. т. 28. с. 183-203.
65. Кук Дж. - Системы удобрения для максимальных урожаев. М.; Колос, 1970, 520 с.
66. Курсанов А.Л. - Синтез и превращение дубильных веществ в чайном растении. М.: Изд-во АН СССР. 1952. 52 с.
67. Кярблане Х.А. - Изменение фосфатного режима Эстонской ССР при систематическом внесении удобрений. // Агрохимия. 1981. №1. с. 19.
68. Маргвелашвили Г.Н. - Фосфор в оподзоленно-желтоземной почве и действие фосфорных удобрений на урожай чайного листа. // Автореф. диссертации кандидата с.х. наук. Сухуми. 1969. 34 с.
69. Маргвелашвили Г.Н. – Формы фосфора в оподзоленно-желтоземных почвах по методу фракционного анализа Чанга и Джескона. // Субтропические культуры. 1971. №4. с. 22.
70. Маргвелашвили Г.Н. - Фосфор в почвах интенсивного земледелия Восточной Грузии и эффективность фосфорных удобрений под однолетние культуры. // Автореф. диссер. доктора с/х наук. Москва; 1980. 43 с.
71. Менагаришвили А.Д. - Агрохимия. Тбилиси; Ганатлеба. 1966. 432 с.
72. Нижарадзе А.Н. – Роль фосфорных соединений в обмене веществ чайного листа. // Биохимия чайн. пр-ва, №5. 1946. с. 67.
73. Ониани О.Г. - Суперфосфат или фосфоритная мука? К вопросу о лучшей форме фосфорных удобрений для чайных плантаций Западной Грузии. // Субтропические культуры. №3. 1961. с. 139-148.
74. Ониани О.Г. - Эффективность новых форм фосфорных удобрений под чаай. // Субтропические культуры. №3, 1962, с. 40-48.
75. Ониани О.Г. - Роль удобрений в повышении урожайности субтропических культур. // «Агрохимия», №10, 1964.
76. Ониани О.Г.- Сравнительная эффективность разных форм фосфорных удобрений на чайных плантациях. // «Субтропические культуры». №3, 1966. с. 18-34.
77. Ониани О.Г. - Превращение фосфатов при их внесении в красноземные почвы. «Агрохимия», №3, 1966, с. 26-33.
78. Ониани О.Г. - Преобразование растворимых фосфатов, внесенных в субтропические подзолистые почвы. // «Субтропические культуры». №2, 1967, с. 127.
79. Ониани О.Г. - Фосфатный режим почв чайных плантаций Грузии. // Автореферат. дисс. д.с.х.н. Тбилиси, 1968. 47 с.

80. Ониани О.Г. - Фосфатный режим кислых почв и применение фосфорных удобрений на чайных плантациях Грузии. Тбилиси: Мецниереба, 1974; 306 с.
81. Ониани О.Г., - Агрохимия калия. Москва, 1981. 199 с.
82. Ониани О.Г., Бурчуладзе Т.Е., Маргвелашвили Г.Н. - Запасное внесение фосфорных удобрений на чайных плантациях. // сб. ст. к. VIII Междунар. конг. по минер. удобрениям. Тбилиси, 1976. с. 19-29.
83. Палавандишвили Ш. – Водный режим красноземных почв Аджарии. Батуми, 1985.
84. Полынов Б.Б. – Красноземная кора выветривания и ее почвы. // Избр. тр. М., 1956. с. 365-385.
85. Прянишников Д.Н. - Избранные сочинения. т. 1. Агрохимия. Москва. 1963.
86. Путкарадзе Ш.А. – Перевдвижение новых форм фосфорных удобрений на красноземной почве. // «Субтропические культуры». 1963. №2. с. 101-106.
87. Путкарадзе Ш.А. – Урожайность чайных плантаций в связи с эффективностью последействия концентрированных и термических фосфатов. // Субтропические культуры. 1972. №4. с. 32-36.
88. Ромашкевич А. – Почвы и коры выветривания влажных субтропиков Западной Грузии. Москва, 1974.
89. Сабашвили М.Н.- Почвы влажной субтропической зоны ССР Грузии. Тбилиси, 1936.
90. Сабашвили М.Н. - Субтропические красноземы СССР. Москва, 1954.
91. Селянинов Г.Т. – Общий очерк климата черноморского побережья Кавказа. М. 1936.
92. Селянинов Г.Т. – Перспективы субтропического хозяйства СССР в связи с природными условиями. Л., 1961.
93. Тюрин И.В. – Географические закономерности гумусообразования. // Тр. Юбил. сессии, посвящ. столетию со дня рождения В.В. Докучаева. М., Л.; 1949. с. 85-101.
94. Урушадзе Г.Н. - Основные итоги опытных работ ВНИИЧ и СК по химизации чайных плантаций Западной Грузии. // Бюл. ВНИИ чая и субтроп. культур. 1954. №4. с. 3-47.
95. Фокин А.Д., Аргунова В.А. и др. - Состав органического вещества и состояние полуторных окислов и фосфатов в водах, дренирующих подзолистые почвы. // Изд. ТСХА. 1973. вып. 2. с. 99.
96. Фридланд В.М. – Почвы влажных и полусухих областей СССР: Указания по классификации и диагностике почв. – М.: Колос, 1967. 65 с.

97. Хочолава И.А. – Технология чёрного чая. // Авторизов. пер. с груз.; Под редакции проф. А.Л. Курсанова – М.: Пищепромиздат, 1947, 189 с.
98. Цанава В.П. - Применение удобрений на чайных плантациях. // Агрохимия, 1971. №1. с. 143-149.
99. Цанава В.П.; Цанава Н.Г. - Теоретические основы применения азотных удобрений на чайных плантациях. // В сб. Статьи к VIII Международному конгрессу по минеральным удобрениям. Тбилиси, 1976, с. 45-50.
100. Чириков Ф.В. – К методике учета форм фосфатов в почвах. // Химизация соц. земледелия. 1939. №10-11. с. 59-63.
101. Шарабидзе Н. - Влияние содержания микроэлементов на качество чайного листа. // «Джорджия инженеринг нюс». №2. 2006^a г.
102. Шмук А.А. - Динамика режима питательных веществ в почве. М.: Пищепромиздат, 1950. 38 с.
103. Dean L.A. - An attempted fractionation of the soil phosphorus. // Rothamsted Mem. agr. Sc. St. Albans, 1939. v. 22. P. 234-245.
104. Larsen S. - Soil phosphorus. // Jn.: Advances in agronomy. N.Y.: Akad. Press. 1967. V. 19. p. 151.

| | |
|---|----|
| შესავალი | 4 |
| თავი I. ზოგადი დახასიათება | |
| 1.1. სასუქების გამოყენება ჩაის პლანტაციებში | 6 |
| 1.2. საკვლევი ზონის ნიადაგურ-კლიმატური პირობები | 11 |
| 1.3. საცდელი ნაკვეთის ნიადაგი, მისი აგროქიმიური დახასიათება (საწყისი ნიადაგი და სასუქების შეტანის შემდეგ) | 17 |
| თავი II. ექსპერიმენტული ნაწილი | |
| 2.1 კვლევის ჩატარების მეთოდიკა | 24 |
| 2.2 ფოსფორის მინერალური ფორმები ნიადაგში და მათი ტრანსფორმაცია ფოსფორიანი სასუქების სხვადასხვა დოზით და წესით გამოყენების პირობებში | 26 |
| 2.3 მოძრავი ფოსფორის სეზონური დინამიკა ნიადაგში | 32 |
| 2.4 ფოსფატების მიგრაცია ნიადაგის სიღრმეში | 39 |
| თავი III. ფოსფორიანი სასუქების მზარდი დოზების გავლენა ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალზე და ხარისხზე | |
| 3.1 ფოსფორიანი სასუქების მზარდი დოზების გავლენა ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალზე | 44 |
| 3.2 ფოსფორიანი სასუქების გავლენა ჩაის ფოთლის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე | 53 |
| 3.3 ძირითადი საკვები ელემენტების (NPK) შემცველობა და გამოტანა ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლით | 61 |
| 3.4 ფოსფორიანი სასუქების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა ჩაის კულტურისათვის | 71 |
| რეზიუმე | 76 |
| რეკომენდაცია წარმოებას | 79 |
| ლიტერატურა | 80 |
| შინაარსი | 88 |
| ბიოგრაფია | 89 |



ნუნე გუთალაძე –შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ-ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

დაამთავრა შრომის წითელი დროშის ორდენისანი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის სპეციალობით.

გამოქვეყნებული აქვს 62 სამეცნიერო ნაშრომი რეფერირებად, რეცენზირებად და სხვა ჟურნალებში. მიღებული აქვს მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში: ბათუმი, თბილისი, ქუთაისი.

2009 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: “ფოსფორის ტრანსფორმაცია აჭარის წითელმიწა ნიადაგში და ფოსფორიანი სასუქების ეფექტიანობა ჩაის პლანტაციაში”.